

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

დოდო ჭუმბურიძე

ქაქუცა ჩოლოყაშვილი
საქართველოს ეროვნული ბმირი

მეომრის ბიბლიოთეკა №5

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეხუთე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

მეცნიერებათა ლოქტორი,
ვიცე პოლკოვნიკი **თემურ დალაქიშვილი**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნინო გიგანი**
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83



ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი

1988 წლის შემოდგომაზე, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღის აზვირთების ჟამს, თბილისის ქუჩებში გამოსული ახალგაზრდების ხელში ქართულმა საზოგადოებამ პირველად იხილა ქამარ-ხანჯალზე ხელდადებული, ამაყი მზერით და კეთილშობილური ქართული გარეგნობით გამორჩეული უცნობი ვაჟკაცის პორტრეტი. სამოცდაათწლიანი საბჭოთა დიქტატურით სულმეხუთულმა ქართველობამ, თავის ეროვნულ დრომასთან ერთად, ეს პორტრეტი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი არსებობის სიმბოლოდ აქცია. ცოტა ვინმემ თუ იცოდა მაშინ, ვინ იყო ეს იდუმალი და მისაბადი გმირი, ტოტალიტარულ* რეჟიმს მისი ხსენებაც კი მოესპო, რათა ქართველებში ბრძოლისა და დაკარგული თავისუფლების აღდგენის ჟინი არ გაცოცხლებულიყო და ეს ადამიანი ერისთვის თავდადებისა და თავშეწირვის ეტალონად არ ქცეულიყო. ეს ჩურჩულით სათქმელი და ერისკაცობის მაგალითად ქცეული გვარ-სახელი იყო ქაიხოსრო, იგივე ქაქუცა ჩოლოყაშვილი – პორტრეტზე გამოხატული XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ლეგენდა, ეროვნული მოძრაობის ბელადი და ყველასათვის საყვარელი გმირი. ქამარ-ხანჯალიც სულ რამდენიმე კვირის ჩამოტანილი იყო სან-ფრანცისკოდან, სადაც მაშინ ქაქუცას შეფიცულთა რაზმის უკანასკნელი წევრი – ალექსანდრე სულხანიშვილი ცხოვრობდა და ვინაც ეს რელიქვია სამშობლოში გამოატანა ამერიკის დიდ ქალაქებში მოწყობილი სამშვიდობო სვლის მონაწილე ჟურნალისტს – პაატა ნაცვლიშვილს. მაშინ ასეთი ნივთების შემოტანა ქვეყანაში შეუძლებელი აღარ იყო, ე.წ. „პერესტროიკამ“ დემოკრატიის ელემენტები გააჩინა და რაც მანამდე წარმოუდგენელი ჩანდა, რეალური გახდა. თუმცა ჯერ კიდევ არ იყო ადვილი წარსულში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებთან დაკავშირებული მასალების პროპაგანდა. არც მათი თავგადასავლის საზოგადოებისათვის შეხსენება სიამოვნებდა მაშინდელ საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ „არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს“. ჩვენ ცხოვრებაში შემოაბიჯა ასე საგულდაგულოდ გადამალულმა ეროვნულმა გმირმა – ქაქუცა ჩოლოყაშვილმა.

ცნობილი ქართველი მოღვაწის, ეროვნულ-დემოკრატ ალექსანდრე ასათიანის აზრით, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი მებრძოლების ლეგენდარული სიმტკიცე სიკვდილის წინაშე ღირსეული მასალაა „შექსპირის ზომის მწერალთა კალმისათვის“.

მართლაც რომ ჭირდება დიდი შემოქმედი იმ ღვაწლის ასახვას, რაც ქართველმა გმირებმა გაიღეს სამშობლოს გადასარჩენად, ქართველი ერისა და ქართული სულიერების დასაცავად.

ქართველ ერს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის უდიდესი ისტორია გააჩნია. ეს ბრძოლა სამიათასი წლისა და უფრო მეტისაც კია. ქართველთა წინაპრები იცავდნენ თავს მეზობელი ძლიერი დამპყრობლებისაგან, ინარჩუნებდნენ საკუთარ კულტურას, ტრადიციებს, თავისთავადობას, არ ათქვეფილან დიდ ხალხებში და არ გადაშენებულან, როგორც მრავალი ხალხი და ბევრი ქვეყანა გაქრა მსოფლიოს რუქიდან. ჩვენი ქვეყნის გადარჩენის

საიდუმლო, უპირველესად, მისი შვილების სიმამაცეში, მშობელი ქვეყნისადმი უსზღვრო სიყვარულსა და თავდადებაში მდგომარეობს. ხშირად ჩვენი წინაპრების ბრძოლა უაზროც ჩანდა: მტერი ურიცხვი და ვერაგი იყო და მცირერიცხოვანი ძალა მას ვერ დაამარცხებდა, მაგრამ ქართველობა მაშინაც იბრძოდა. დამარცხებაც კი, ზოგჯერ გამარჯვებას უდრის. ლალო ასათიანი წერდა: „თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა“-ო. მარაბდის ომში ქართული ჯარი, მართალია, საბოლოოდ დამარცხდა ირანელებთან, მაგრამ იმდენი ზარალი მიაყენა მათ, იმდენი ვაჟკაცის ბრწყინვალე მხედრული ნიჭი აჩვენა, რომ ქართველებს მარცხად აღარ ჩაუთვლიათ, არც შაჰ-აბასს მიუჩნევია ამ ომში თავი გამარჯვებულად, რადგან მრავალი ჯარისკაცი დატოვა ბრძოლის ველზე, ქართველი მეზობლებისაგან განგმირული. მეომრული თავგანწირვა, ზოგჯერ, მიმალული ცეცხლივითაა: ჩაინავლება საღვაც, ხალხში, რამდენიმე ვაჟკაცში და მაშინ იფეთქებს ხანძრად, როდესაც ქვეყანას დაჭირდება. ასე იყო ქაქუცას შემთხვევაშიც: ქართველ გმირთა შორის ჩამდგარი, მინავლული ცეცხლი აფეთქდა და მთელი საქართველო მოიცვა. გმირები ხომ არ კვდებიან, მათი მაგალითით ერის საუკეთესო შვილები იზრდებიან.

1801 წელს რუსეთისაგან დაპყრობილმა საქართველომ დაკარგა ყველაფერი საკუთარი: აღარ ჰქონდა სახელმწიფო, აღარ ჰყავდა მეფე, ქართული ენა საშინაო ენად იქცა, ქართული კულტურა – ეთნოგრაფიულ სამშვენისად... ხალხი ღირსება-აყრილი იყო, ღირსება კი სიცოცხლეზე მეტია, რადგან სიცოცხლეს ხშირად სწირავენ თავმოყვარე ადამიანები ღირსების დაცვას. ერი რუსეთისაკენ ერთმორწმუნეობის გამო, მფარველისა და მეგობრის ძებნაში მისწრაფოდა, მან კი მაჰმადიან მტრებზე უარესი გაუკეთა: არც ირანს, არც თურქეთს საქართველოს სამეფო ტახტი არ გაუუქმებიათ. მართალია, ირანელები შაჰის ვალს (ნაცვალს) ეძახდნენ ქართველ მეფეებს, მაგრამ ეს ვერაფერს ცვლიდა. ქართველი ხალხისთვის ის მეფე იყო. ქართული ენა და კულტურა ისევე არსებობდა, როგორც ადრე, მაჰმადიანობაზეც არ გადასულა მთელი ქვეყანა, ეკლესია-მონასტრებსაც აშენებდნენ და ქრისტიანობასაც ძველებურად ეთაყვანებოდნენ. 1801 წლიდან 1918 წლამდე არ შეწყვეტილა ქართველი ხალხის ბრძოლა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. პირველად ეს სისხლისმღვრელი აჯანყებებით აღინიშნა: 1802, 1804, 1812 წლებში აღმოსავლეთ საქართველო აჯანყდა, მთიულეთი და კახეთი, 1819-1820 წლებში იმერეთი და გურია, 1832 წელს შეთქმულება მოეწყო დიდი აჯანყებისა და საქართველოდან რუსების გაყრის გეგმით, მაგრამ შეთქმულები გასცეს. ისე დააშინეს ერის მოწინავე შვილები, რომ ლამის ხელი ჩააქნევინეს, შეაგუეს რუსულ უღელს. მაგრამ ქართველი ხალხი დიდხანს ვერ ეგუება მომხდურთა ძალადობას, ბრძოლის სხვადასხვა ხერხებიდან იმას ირჩევს, რაც ყველაზე გამოსადეგი და დროის შესაფერისია. რუსეთიც იცვლიდა ხერხებს: სისხლიანი აჯანყებების შემდეგ, მცირე ხნით დათმობის პოლიტიკას მიმართავდა ხოლმე. ასეთი იყო მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის* პოლიტიკა საქართველოში მისი მეფისნაცვლობის – 1844-1854 წლებში. ეს ადამიანი, შესაძლოა, ნაწილობრივ

გულწრფელიც ყოფილიყო ქართველების მიმართ პატივისცემაში, რადგან მისი მამა და ბიძა იყვნენ გრაფები – ალექსანდრე და სიმონ ვორონცოვები*, ლიბერალ-დემოკრატი ადამიანები XIX საუკუნის დასაწყისის რეაქციულ რუსეთში, რომლებიც ურჩევდნენ ლექსანდრე I-ს* არ დაეპყრო საქართველო, არ გაეუქმებინა ბაგრატიონთა ათასწლოვანი ტახტი, რადგან ეს იქნებოდა საერთაშორისო სამართლის დარღვევა. ალექსანდრე I იმპერატორი იყო და იმპერიები დაპყრობებით იქმნება, ამიტომ, თუმცა პატივს სცემდა ძმებ ვორონცოვებს, მაინც რეაქციონერებს დაუჯერა, ის გააკეთა, რაც იმპერიას გაზრდიდა და განამტკიცებდა: ჯერ ქართლ-კახეთი დაიპყრო, შემდეგ იმერეთი და დანარჩენი საქართველო, ნაწილ-ნაწილ, ისე როგორც ეს იმპერიულ დევიზს – „გათიშე და იბატონეს“ („დივიდე ეთ იმპერა“) შეეფერებოდა. რუსეთი ასეთიშავდა და აპირისპირებდა ერთმანეთთან საქართველოს კუთხეებს, ქართველი ხალხის შვილებს, რადგან ყველაზე საშიში მისთვის გაერთიანებული ხალხი და ქვეყანა იყო.

ვორონცოვის შემდეგ კვლავ სისხლისმღვრელი მმართველები მოვიდნენ. რუსი მოხელეები უხეშები, უვიცები, დაუნდობლები იყვნენ. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ რუსი ოფიცერი, როგორი ყეყეჩია და საკუთარ თავზე უზარმაზარი წარმოდგენის, რაც მკითხველის ღიმილსა და დაცინვას იწვევს.

ამ ოფიცერს ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეები – მთავარმმართველები: განათლების სისტემის ხელმძღვანელი კირილე იანოვსკი*, იმპერიის ცენტრში მოღვაწე ჩინოვნიკები, მაგალითად: მოსკოვის მთავარი გაზეთის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი კატკოვი*... ამ ადამიანებმა ბევრჯერ შეურაცხვეს ქართული კულტურა, მთლიანად განათლების რუსული სისტემა დანერგეს და ქართული „ძალის ენად“ მონათლეს. მაშინ წამოვიდა ახალი განმათავისუფლებელი ტალღა, რომელსაც სათავეში ქართველი ერის დიდი სულიერი მოძღვარი, თავდადებული მოღვაწე და უნიჭიერესი მწერალი ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა. სწორედ მისმა იდეებმა, თავგანწირვამ და პირადმა მაგალითმა აიყოლია ერი და დიდი გამარჯვებაც მოაპოვებინა: 1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. უდიდესი ზეიმი იყო ქართველი ხალხისათვის ეს დღე, ბედნიერი იყო ერი ამ გამარჯვებით. ამდროინდელ მრავალპარტიულ სპექტრში აღმოჩნდა ერთი პარტია, განსაკუთრებით რეაქციული, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი შეურიგებელი, კოსმოპოლიტურ*-ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამორჩეული. ეს იყო ბოლშევიკური პარტია, რომლის იდეოლოგიაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ იდეალებს.

სწორედ, ქართველი ბოლშევიკები გამოიყენა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ხელახლა დასაპყრობად. რუსეთის მე-11 არმიამ, რომლის იდეური ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე იყო, ჯერ აზერბაიჯანი დაიპყრო, – 1920 წლის აპრილში, შემდეგ სომხეთი – 1920 წლის ნოემბერში, რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1921 წლის თებერვალში, საქართველოს ოკუპაცია*

და ანექსია* მოახდინა. ქართველი ხალხისთვის მძიმე იყო ეს დარტყმა, ძნელად შესაგუებელი. აკი ქართული პოეზია სულ გმირობითა და სამშობლოს სიყვარულით უნთებდა სულს ქართველ ვაჟკაცებს. რამდენი თავდადების მაგალითი ჰქონდათ იმ ბიჭებს, კოჯორთან და ტაბახმელასთან რომ შეაკვდნენ პირსისხლიან ბოლშევიკ დამპყრობლებს. ქართველი იუნკრების ძვლებით არის მოფენილი თბილისის შემოგარენი. ისინი მაგალითად იქცნენ უამრავი ადამიანისათვის და ყოველთვის მოგვიწოდებდნენ: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. კოჯორისა და ტაბახმელას გმირებიც არ დამარცხებულან, მათ პირნათლად მოიხადეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ვინც გადარჩა, მათაც თავიანთი მოვალეობა ჰქონდათ: ან უნდა შერიგებოდნენ მონობას, ან ებრძოლათ, თუნდაც ამოდ შესკდომოდნენ წითელი ბოროტების მიერ აღმართულ კედელს. ერის მამაცმა ნაწილმა ბრძოლა აირჩია. ამ ბრძოლის მეთაური გახდა პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, კაცი, რომელიც ყოველთვის გამორჩეული იყო ქართველ მხედრობაში პატრიოტიზმითა და გმირული თვისებებით და რომელიც პირველი ირიცხებოდა „ჩეკას“ მიერ შედგენილ დასაჭერთა სიაში.

საქართველოში შემოსულმა წითლებმა* დევნა დაუწყეს საუკეთესო ქართველ მამულიშვილებს, ბევრი გადაასახლეს, ბევრი დახვრიტეს, ქვეყანა დააწიოკეს, ეკლესია-მონასტრები დაარბიეს და შებილწეს. დამოუკიდებლობის მომხრე ქართველები საეჭვოდ იყვნენ მიჩნეულნი, ბოლშევიკური „ჩეკა“ ყველას დასდევდა და იჭერდა. იმდენად თვალსაჩინო გახდა ეროვნული იდეებისა და ფასეულობების შეურაცხყოფა, რომ დაიწყო წინააღმდეგობის ძალთა შეკრება-მობილიზება და ბრძოლისათვის მზადება. ანტირუსული ბრძოლის საუკეთესო ფორმად ამ მძიმე დროს პარტიზანული ბრძოლების გაჩაღება ჩაითვა. ამით შეიძლებოდა მტრის ბანაკში არევ-დარევის შეტანა, ხალხის გამხნეება და ერთიანი სახალხო ფრონტის გაშლა წითელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ჩოლოყაშვილის სახელი ლეგენდად იქცა. ის ნამდვილი სახალხო გმირი იყო, მასზე ლექსებს წერდნენ პოეტები, დედები შვილებს მის ვაჟკაცობაზე უყვებოდნენ, ხალხში თქმულებები ვრცელდებოდა მის გმირობაზე.

•

უკიდურესად გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა ქართველი ერი. მისი შეგნებული, ეროვნულად განწყობილი ნაწილი ხედავდა, როგორ დაიღუპა 117 წლის ბრძოლის შემდეგ მოპოვებული დამოუკიდებლობა, ეროვნული იდეალები როგორ შეეწირა კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალურ იდეოლოგიას. დაიწყო ბრძოლა ეროვნულობის გადასარჩენად. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ამ ბრძოლის ლიდერად იქცა.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი პირდაპირი ჩამომავალია კახეთის 1659 წლის აჯანყების მთავარი გმირის – ბიძინა ჩოლოყაშვილისა*. სახელოვანი წინაპრის სისხლი და გენი კარგად გამოჩნდა მისი ცხოვრების წესში, მტრებისადმი ქედმოუხრელობასა და თავგანწირვაში. იგი 1888 წლის 14 ივლისს დაიბადა კახეთში, მამა-პაპათა სამკვიდრო სოფელ მატანში. მშობლებმა

– იოსებ და დარია ჩოლოყაშვილებმა დიდი როლი ითამაშეს ქაქუცას სულიერად და მაღალზნობრივად აღზრდაში. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში სწავლის დასრულების შემდეგ, სამხედრო სამსახურში შევიდა. მოღვაწეობდა ტვერის დრაგუნთა* პოლკში, სამშობლოში ოფიცრის ხარისხით დაბრუნდა. 1913 წელს დაოჯახდა. ცოლად შეირთო ნინო ილიას ასული მეღვინეთუხუცესი, რომელთანაც ორი ქალიშვილი შეეძინა – თამარი, ივივე ციცნა და ქეთევანი.

1914 წელსვე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ფრონტზე გაიწვიეს და მთელი ომი საბრძოლო ქარცეცხლში გაატარა. ქაქუცას უახლოესი მეგობარი, სიკვდილამდე მასთან განუყრელი ალექსანდრე სულხანიშვილი მას ასე ახასიათებს: „იგი იყო განსახიერება ქართველი რაინდისა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დინჯი, დარბაისელი და უაღრესად კეთილი გულის პატრონი. ისეთი თვისებებით დაეჯილდოვებინა ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას. ის ძალიან უყვარდათ ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდევ. როგორც მხდალიც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო იგი დაბადებული“.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ნება დართო ქართველ გენერალს, რუსეთის ცხენოსანი ჯარის კავალერისტ ღავით ჭავჭავაძეს, ჩამოეყალიბებინა ქართველ ცხენოსანთა ათასეული. ეს პირველი შემთხვევა იყო, რუსულ ჯარში ქართული ნაწილის შექმნისა. ღავით ჭავჭავაძე, რომელიც შემდგომში ქაქუცა ჩოლოყაშვილის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი გახდა, მთელი რუსეთის მასშტაბით იყო ცნობილი თავისი საბრძოლო გმირობით. მას ყველა რუსული ნაწილიდან მისცეს ქართველი ოფიცრობის გამოწვევისა და თავის ათასეულში გადაყვანის ნება. ასე მოხვდა მასთან ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. ქართველ ცხენოსანთა ათასეულმა დიდად გაითქვა სახელი მეომრული შემართებითა და ფრონტზე მიღწეული გამარჯვებებით. ეს ცხენოსანთა ათასეული სპარსეთის ფრონტზე იბრძოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავისი ასეულით გაიარა მესოპოტამიის მთელი უდაბნო და იქ მებრძოლ ინგლისელებს შეუერთდა

1914 წელს ქაქუცა ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა, სადაც დაიჭრა და კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანეს. როგორც დაჭრილი, ზურგის ჯარის ასეულის მეთაურად დანიშნეს. ამ დროს დაიწყო რუსების იერიში სარაყამიშზე.* სარაყამიში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე თურქეთის სტრატეგიული პუნქტია. რუსეთის ჯარი ამ ობიექტის იერიშისათვის არ კმაროდა, ოსმალები აშკარად სჭარბობდნენ. მათ ზურგიდან შემოუარეს რუსულ ჯარს და ალყაში უპირებდნენ მოქცევას. ამ დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მიიღო საბრძოლო დავალება: თავის ჯარისკაცებით უკან დაებრუნებია სარაყამიშის ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის მთა – „არწივის ბუდე“, რომელიც ოსმალებს ეკავათ. ჩოლოყაშვილმა ბრძანება მიიღო, თავის ჯარისკაცებს იარაღი დაურიგა და მთაზე იერიში მიიტანა. ქართველმა

მეომრებმა, ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით, დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს. „არწივის მთა“ ოსმალებისაგან დაიბრუნეს. საერთოდ, ქართული ჯარი სიმაძაციით და მხედრული ნიჭიერებით გამოირჩეოდა ყოველთვის, ოსმალეთის ფრონტზე კი ქართველები განსაკუთრებულად მამაცობდნენ. მათი მიზანი საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნება იყო. ძველი საქართველო, ოსმალებისაგან მიტაცებული, აქ ეგულებოდათ და ისტორიის ბელუკუდმართობის გამოსწორებას საკუთარი თავგანწირვით ცდილობდნენ. ჭანეთი, ლაზეთი, შავშეთი, ოლთისი, სპერი, ტაო, კლარჯეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა – აი, ის უძველესი ქართული პროვინციები, სადაც ოდესღაც ჰყვავოდა ქართული კულტურა, სულიერება, შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, იქმნებოდა ხელოვნებისა და ლიტერატურის შედეგები. ყველა პუნქტის აღებას თურქეთის ფრონტზე დიდი ოვაციებით ხვდებოდა ქართველი საზოგადოება, ქართველი მხედრები კი იქ უკანასკნელ ძალას არ იშურებდნენ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში არნახულ სიმაძაქეს იჩენდნენ. ოსმალები ვერ შეეგუენ „არწივის ბუდის“ დაკარგვას და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამართეს. ჩოლოყაშვილი ჩაება ამ ომში და ფეხში დაიჭრა. მან წინადადება მიიღო, რომ ლაზარეთში* წასულიყო სამკურნალოდ, მეთაურობა კი სხვისთვის გადაეცა. მამაცმა მეომარმა უარი თქვა მკურნალობაზე, ფრონტზე დარჩა, „არწივის ბუდე“ საბოლოოდ დაისაკუთრა და ბრძოლაში კიდევ ერთხელ დაიჭრა. ამჯერად უფრო მძიმედ, მკერდში მიიღო ჭრილობა. მძიმედ დაჭრილი ჩოლოყაშვილი დაბრუნდა თბილისში და წმინდა ნინოს საავადმყოფოში დაწვა, სადაც ავადმყოფს ცნობილი ექიმი გრიგოლ მუხაძე მკურნალობდა.

სარაყამიშის დაცვისათვის ჩოლოყაშვილი ოქროს ხმლით დააჯილდოვეს.

ომი დამთავრდა, აღსრულდა 117 წლის ნაოცნებარი: ქვეყანამ თავი დაიხსნა რუსული კოლონიური უღლისგან და დაიწყო ქართული სახელმწიფოს მშენებლობა. მმართველი პარტია და მთავრობის წევრები სოციალ-დემოკრატები გახდნენ. ადრე მათ მენშევიკებს უწოდებდნენ, რადგან რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრთას ეკუთვნოდნენ. დამოუკიდებელ საქართველოშიც შერჩათ ეს სახელი, თუმცა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს რუსეთთან, თავი ქართულ პარტიად გამოაცხადეს და ეროვნული იდეალები გაიხადეს პარტიული მოღვაწეობის მთავარ მიზნად. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტია ძირითად პოსტებზე თავის წევრებს ნიშნავდა, ჯარიც გამოჰყო პარტიული ნიშნით – შექმნა ეროვნული გვარდია,* რომელიც მთავრობის მომხრე სოციალ-დემოკრატებისაგან დაკომპლექტდა. ქართულ ჯარში დაბრუნდნენ ქართველი სამხედროები, ოფიცრობა, რომელთაც სახელი გაითქვეს, I მსოფლიო ომში არაერთი წარმატებით ასახელეს ქართული მხედრული ნიჭი. მიუხედავად ამისა, ბევრმა მათგანმა სამუშაო ვერ იშოვა, უფუნქციოდ დარჩა. რა იცოდნენ I მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ოფიცრობის ნიჭიერმა წარმომადგენლებმა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იმ არმიასთან მოუხდებოდათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომლის დიდებასაც ადრე ემსახურებოდნენ, რომლის წარმატებასაც განაპირობებდნენ თავიანთი მხედრული მამაცობით. სარაყამიშის გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, უბრალო ჯარისკაცი კი არა,

რუსული არმიისა და პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის მეთაური გახდებოდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, ისევე, როგორც მრავალი ქართველი ოფიცერი, განთავისუფლებულ საქართველოში დაბრუნდა, რუსეთში არსებულ ქართველ ცხენოსანთა ათასეულის წევრებთან ერთად. ის აქაც შევიდა ჯარში და ყველა იმ ბრძოლაში მონაწილეობდა, რომელიც ქვეყანამ გარეშე მტრების წინააღმდეგ გადაიხადა. ასე გამძაფრებულ პარტიულ დაპირისპირებასაც აერიდა: არ შევიდა არცერთ პარტიაში, თუმცა თავისი მსოფლმხედველობით ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნე იყო. თავის მოწოდებას დიდი მამულიშვილი მხოლოდ საქართველოს სამსახურში ხედავდა და ილიას ანდერძის უერთგულესი დამცველი იყო. ანდერძი კი ასეთ შინაარსს შეიცავდა: ჩვენ ისედაც პატარა ქვეყანა და ერი ვართ, თუ გვინდა, რომ თავი დავიცვათ, არ გავქრეთ ისტორიიდან, გავუმკლავდეთ ყველა მტერსა და ყოველგვარ დაბრკოლებას, არ უნდა დავიყოთ პარტიებად, პოლიტიკურ დასებად, სოციალურ კლასებად, უნდა ვიყოთ ერთიანი და მთლიანი, თორემ სხვანაირად ვერ გადავრჩებით. **„ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,/ მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,/ რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს.../** აი, ასე დაამარცხებს დაპირისპირებულ ძალებს მტერი ცალ-ცალკე და ჩვენი ისედაც მცირე შესაძლებლობები დაიფანტება. ერთიანობა, ილიას მსგავსად, ქაქუცასაც მიაჩნდა გამარჯვების საწინდრად და თავისი პირადი თვისებებით სულ ცდილობდა ქართველი ხალხისათვის კონსოლიდაციის, გამთლიანების ჟინი და წყურვილი ჩაენერგა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ებრძოდა საქართველოს წინააღმდეგ ომში ჩაბმულ თურქებს, სომხებს, ხან ყაზბეგიდან, ხანაც აფხაზეთიდან შემოსულ ბოლშევიკებს, დენიკინსა და მის მომხრეებს. იბრძოდა ცნობილი ქართველი გენერლების – გიორგი მაზნიაშვილის, გიორგი კვინიტაძის, დავით ჭავჭავაძის, ვარდენ წულუკიძის და სხვათა გვერდით. ქაქუცას დიდი წვლილიც იყო იმ გამარჯვებებში, ქართველმა სამხედროებმა რომ მოიპოვეს მტრების წინააღმდეგ. მათ ღირსეულად დაიცვეს დამოუკიდებლობა და საქართველოს საზღვრები. მაგრამ მტერი მაინც ჯიქურ მოდიოდა, არ თმობდა ჩვენ მიწა-წყალს, რომელიც უკვე 117 წელი იყო, საკუთარ მიწად გამოეცხადებინა. არც საერთაშორისო ვითარება აღმოჩნდა მაშინ ჩვენი ქვეყნისათვის ხელსაყრელი: ევროპის ქვეყნები მარტო მორალურად აღმოჩნდნენ საქართველოს გვერდით: მათ 1920 წლის იანვარში „დე-ფაქტოდ“ აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ერთი წლის შემდეგ კი – „დე-იურედ“, მისი ისტორიული საზღვრებიც დაადგინეს, საქართველო თავისი ჯარით ამ საზღვრებს რეალურადაც აკონტროლებდა, მაგრამ მცირე ძალებით არ შეეძლო იმ მტრული გარემოცვის გარღვევა, რაც მას მეზობლებმა შეუქმნეს, განსაკუთრებით კი I მსოფლიო ომში დაშლილმა, მაგრამ ხელახლა გასაცოცხლებლად გამზადებულმა ორმა მეზობელმა იმპერიამ: რუსეთმა და თურქეთმა. ომგადატანილი ევროპა არ აპირებდა ახალ ომში ჩაბმას საქართველოს გულისთვის, რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ უთხრეს უარი ქართველ პოლიტიკოსებს ერთა ლიგაში* ჩვენი ქვეყნის მიღებაზე. თუ

საქართველო 1919 წელს შექმნილი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდებოდა, მაშინ, გარეშე საფრთხის შემთხვევაში, ის ჯარით უნდა დაეცვათ, ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ყველაზე მთავარი გარანტი. ეს გარანტია ვერ მიიღო საქართველომ და რუსეთის პირისპირ მარტო აღმოჩნდა; იმ რუსეთის, რომელიც არ სცნობდა არავითარ ცივილიზებულ ფორმებს ბრძოლისას თუ დიპლომატიური ურთიერთობებისას, მხოლოდ დაპყრობის ველური ჟინით მოიწვედა საქართველოსკენ. რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოსთან, რომლის მიხედვითაც სცნობდა მის დამოუკიდებლობას, არ შეასრულა უამრავი დაპირება, მათ შორის ისიც, რომ გამორიცხავდა ქართველი ხალხის მიმართ იარაღით დაპირისპირებას. ასეთი იყო რუსული ბოლშევიზმის ბუნება. ამ ძალას „წითელ ხოლერას“, „მონღოლოიდურ შემოსევას“ ყველაფრის გამანადგურებელს უწოდებდნენ არათუ ქართველები, არამედ მთელ მსოფლიოში საღად მოაზროვნე ადამიანები და, მათ შორის რუსებიც. მაგალითად, 1918 წლის ივნისში რუსი მწერალი მაქსიმ გორკი სამხრეთ რუსეთის ერთ-ერთ გაზეთში, რომელიც შემდეგ ქართულმა „ერთობამაც“ გადმობეჭდა, დამლუპველად და ევროპის უბედურებად განიხილავდა ბოლშევიზმს.

ამ დიდი „მონღოლოიდური“ (პავლე ინგოროყვას ტერმინია) ძალის წინაშე მარტო დარჩენილი საქართველო, რამდენიმე დღე თავგანწირვით ებრძოდა მტერს. როდესაც რუსებმა შემოტევა დაიწყეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი დავით ჭავჭავაძე მთავრობის მიერ სამეგრელოში იყვნენ გაგზავნილნი, ამ რეგიონში ცხენოსანი არმიის ჩამოსაყალიბებლად. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე თვეებში, ქვეყნის მთავრობამ დავით ჭავჭავაძეს სთხოვა ცხენოსანი ჯარის შექმნა. გენერალმა, რომელიც კარგად ერკვეოდა ამ საქმეში, საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა: რამდენიმე ბრიგადის შექმნას და სრულ უფლებამოსილებას მოითხოვდა, რაც ხელისუფლებას არ მოეწონა. ჯარის მეთაურებისგან დამოუკიდებლად მოქმედების მოთხოვნა, ამ ურთულეს პერიოდში, ხელისუფლებას თავისთვის საშიშად მიაჩნდა. მითუმეტეს, სოციალ-დემოკრატები, კლასობრივი იდეოლოგიის გამო, თავადებს ნაკლებად ენდობოდნენ. არ ენდნენ არც დავით ჭავჭავაძეს და ეს საკითხი მოიხსნა. როდესაც 1920 წლის შემოდგომაზე რუსი ბოლშევიკების მტრული ინტერესები და მათთან შესაძლო ომი რეალური გახდა, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მთარობამ დაივიწყა შიში და დავით ჭავჭავაძეს კვლავ დაევალა კავალერიის შექმნა. მანაც ამ საქმეში გამოცდილი, თანამოაზრე და ნიჭიერი სარდალი ქაქუცა ჩოლოყაშვილი აირჩია და ერთად დაიწყეს საქართველოს ყოველ კუთხეში ცხენოსანი რაზმების ჩამოყალიბება. როდესაც დავითმა უარი თქვა, – სანამ დრო იყო, მანამ უნდა მოგეცათ უფლება, ახლა მტერი კარზე მომდგარია და ვეღარაფერი მოესწრებაო, მაშინ ჭავჭავაძისათვის პირადად ნოე ჟორდანიას* უთხოვია: „გვიშველეთ თავადო, სამშობლო განსაცდელშია, თქვენც ისევე უნდა დაგვეხმაროთ ამ განსაცდელის ჟამს, როგორც თქვენს მამა-პაპას უბრძოლია სამშობლოსთვისო“. სამეგრელოში დავით ჭავჭავაძეს და ქაქუცა ჩოლოყაშვილს რამდენიმე ოფიცერიც ახლდათ, მათ იქ ასიოდე ცხენოსნის შეგროვებაც ვერ

მოასწრეს, რომ საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს, მთავრობამ თბილისი დატოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. საჯავახოს სადგურზე შეხვდნენ ერთმანეთს უკან დახეული ქართული ჯარის ნაწილები და დავით ჭავჭავაძე, ქაქუცასთან და თავის ცხენოსნებთან ერთად.

ქაქუცა დიდი გმირიც იყო და დიდი დიპლომატიც. აჩქარებულად არ უყვარდა საქმის გადაწყვეტა, გრძნობებით არ მოქმედებდა, ალელვებულ მეომრებს ისე დაამშვიდებდა და დაარბევდა, რომ წამსვე შეაცვლევინებდა გადაწყვეტილებას. საჯავახოს სადგურზე მასთან მისულ ალექსანდრე სულხანიშვილს გადაათქმევინა უკან დაბრუნება და კახეთში გადასვლა, ჯერ ბათუმში ჩავიდეთ და შემდეგ ერთად წავიდეთ თბილისში, სადაც კოტე აბხაზს ვნახავ და მომავალ გეგმებს განვიხილავთო. ბათუმი ამ დროს თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი, თურქები და რუსები დამეგობრებულები იყვნენ, რადგან პირველ მსოფლიო ომში ორივე ერთნაირად დაზარალდა – მათი იმპერიები დაინგრა. ლენინსა და თურქეთის ახალგაზრდა პატრიოტების ბელადს – მუსტაფა ქემალ-ფაშას შორის საიდუმლო მოლაპარაკებები და პოლიტიკური გარიგება მოხდა. მუსტაფა ქემალ-ფაშა, შემდეგში ათა-თურქად (თურქეთის მამად) წოდებული, თავისი ქვეყნისა და ხალხის ამ უმძიმესი სიტუაციიდან გამომყვანი და გადამრჩენი შეიქმნა. თურქებს საქართველოს მიწების დაპყრობის სურვილი სულ ჰქონდათ, მითუმეტეს არ ასვენებდათ აჭარის მიტაცების წყურვილი, რადგან ეს ქართული კუთხე რამდენიმე საუკუნე მათ ხელში იყო და მხოლოდ 1878 წელს დაუბრუნდა სამშობლოს. საბჭოთა რუსეთი იარაღით და ფულით ეხმარებოდა ათა-თურქს, ევროპის დიდ ქვეყნებს არ აძლევდა თურქეთის დაპყრობა-დანაწილების საშუალებას. მაგრამ რუსეთი არ აპირებდა მისთვის კავკასიის დათმობას, ამიტომ აჭარაში მათი ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა. ქართველმა პატრიოტებმა, რომელთა შორის იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დაივიწყეს ის დიდი ზიზღი, რაც მათ დამპყრობელი ბოლშევიკებისადმი ჰქონდათ, გვერდზე გადადეს ყველა გრძნობა და პოლიტიკური ანგარიში და ბათუმში ბოლშევიკ-მეთაურებთან დაიწყეს მოლაპარაკება აჭარის თურქებისაგან ერთობლივად გათავისუფლების შესახებ. მოლაპარაკების სხვადასხვა დონიდან აღსანიშნავია ქაქუცას შეხვედრა რუს ბოლშევიკ გენერალ ჟლობასთან. ქაქუცა საქართველოს დამოუკიდებლობის ამ მძვინვარე მტერს ადრიდანვე იცნობდა. იგი პოლკში მსახურობდა, რომელიც თურქეთის ფრონტზე, თუქურმიშაში იდგა I მსოფლიო ომის დროს. ჟლობას ისე განარებია ქაქუცასთან შეხვედრა, ცხენიდან გადმომხტარა და ძველი ჩვეულებით წამოუძახებია: „ოხ, თქვენო ბრწყინვალეაო“. სწორედ მისი წყალობით არ განუიარაღებიათ ქართული ცხენოსანი დივიზია. ჟლობამ თავისი ცხენოსანი რაზმები ქართულთან შეაერთა და ამ ჯარის მეთაურობა ქაქუცას შესთავაზა, როგორც ძველ ნაცნობსა და ნიჭიერ მეომარს. მაგრამ ქაქუცამ უარი თქვა. მეთაურად, მისი მითითებით, გენერალი წულუკიძე დაინიშნა, თანაშემწედ კი ქაქუცა.

ის, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ფაქტიურად ამ ცხენოსან არმიაში შევიდა და თანამდებობაც მიიღო, არამცდარაა არ ნიშნავს მის შერიგებას შემოსეულ მტრებთან. ის სამხედრო იყო და ვითარება იმგვარად წარიმართა, რომ

ბათუმშივე ვერ გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას მაშინ ამ ერთადერთ ცხენოსან სამხედრო შენაერთში შესვლასთან დაკავშირებით. მით უმეტეს, დივიზიის უფროსად თავისი დიდი ხნის მეგობარი, პატრიოტი და უნიჭიერესი სარდალი წულუკიძე თავად დაანიშნინა ყლობას. დავით ჭავჭავაძის ყოფილი კავალერისტები, ყველანი ამ არმიამი შევიდნენ, მაგრამ არცერთ მათგანს არ უფიქრია ბოლშევიკურ რეჟიმთან შერიგება. მათი მიზანი იყო ყველანაირი საშუალებით მოემზადებინათ ნიადაგი სახალხო აჯანყებისათვის. მითუმეტეს, ბოლშევიკური ხელისუფლება აიძულებდა ცნობილ სამხედროებს – შესულიყვნენ მათ სამსახურში. მაშინდელი საქართველოს ბოლშევიკურმა დაზვერვამ უმეტესი მათგანი 1923-24 წლებშივე დახვრიტა, მათი ოჯახები კი რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლა. საშინელი ტანჯვა-წამება გადაიტანეს ამ პატრიოტი ადამიანების ახლობლებმაც. ყველა მათგანი თავადადებული იყო დიდი მიზნისათვის: საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ქაქუცაც ამ მიზნით შეურიგდა ბედს, შევიდა ცხენოსანთა რაზმში და მოვლენების შემდგომ განვითარებას დაელოდა.

ბათუმიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ცხენოსან დივიზიასთან ერთად, ქუთაისში დაბრუნდა, იქიდან თბილისში, ჯარით გაჩერდა ნავთლუღის ყაზარმებში, საიდანაც მოკლე ხანში გადავიდა ბორჩალოში – ეკატერინოფელდში. აქ გაუმჟღავნა მან თავის თანამებრძოლებს გადაწყვეტილება პარტიზანული ბრძოლების დაწყების შესახებ, რაშიც მაშინვე აუბეს მხარი საქართველოს ბედით შეწუხებულმა პატრიოტმა ქართველებმა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი კარგად ხედავდა რა მძიმე საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს ბოლშევიკებმა, როგორ შეურაცხყვეს ქართული სიწმინდეები და ქართველი ხალხის თავისუფალი ნება. დიდი ბიძინა ჩოლოყაშვილის შთამომავალს არ შეეძლო ამ რეჟიმთან შეგუება, საჭიროდ ჩათვალა სიცოცხლის ბოლო წუთამდე ებრძოლა ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. ის ჩუმად შეხვდა გენერალ კოტე აბხაზს, ილია ჭავჭავაძის უმცროსი დის, ნინოს ვაჟიშვილს, რომელიც დამოუკიდებლობამდე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მარშალი იყო, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა ე.წ. სამხედრო ცენტრს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ქართველ პარტიზანთა ანტისაბჭოთა გამოსვლებს 1921-1924 წლებში ხელმძღვანელობდნენ პარიტეტული კომიტეტი, დამკომი ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტი და სამხედრო ცენტრი. დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა 1922 წელს და მასში გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და „სხვისტთა“ პარტიების წარმომადგენლები. ეს იყო ინტერპარტიული ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფაღავა, შემდეგ ნიკოლოზ ქარცივაძე, მისი დაპატიმრებისა და დახვრეტის შემდეგ კი – კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. იმავე წელს ჩამოყალიბდა სამხედრო ცენტრი გენერალ კოტე აბხაზის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, ვარდენ წულუკიძის, გიორგი ხიმშიაშვილის და

როსტომ მუსხელიშვილის შემადგენლობით. ეს ცენტრი ხელმძღვანელობდა გამოსვლებს კახეთსა და ხევსურეთში.

ქაქუცა მოელაპარაკა კოტე აბხაზს მომავალი ბრძოლების თაობაზე. გადაწყდა პარტიზანული ბრძოლების გამართვა მთელს საქართველოში, რომელიც ბოლოს ერთიანი ქართული აჯანყებით დასრულდებოდა რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

უკვე 1921 წლის ივლისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, თანამოაზრეებთან ერთად დაიწყო ფიქრი ბრძოლის დაწყებაზე. ის ეძებდა საბაბს, რათა დაეტოვებინა თბილისი, მის ახლო-მახლო არმიის დისლოკაციის ადგილები და კახეთში გადასულიყო. მან ეს მოახერხა კიდეც და კახეთში გადავიდა. აქედან უნდა დაწყებულიყო პარტიზანული მოძრაობა. კახეთიდან იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გზავნიდა სანდო პირებს და ქმნიდა ფარულ ორგანიზაციებს ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველად ასეთი ორგანიზაციები ღუშეთსა და გორის მაზრაში შეიქმნა. მათი შექმნა ევალებოდა პატარა ბირთვის, რომელშიც სანდო პირები შედიოდნენ. ბირთვის საქმიანობა და შემადგენლობა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მებრძოლებს ჰქონდათ იარაღი, რომლითაც მათ „პარიტეტული კომიტეტი“ ამარაგებდათ, ან რუსებზე თავდასხმის შემდეგ თვითონ შოულობდნენ.

ქაქუცა თავას აფარებს ტყეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პატრიოტებთან ერთად, თანაც ცხენოსან ათასეულშიც ითვლება, რომელიც საბჭოთა საქართველოს ოფიციალური ჯარის ნაწილი იყო. სიღუმლო რაზმები და ორგანიზაციები მკაცრი კონსპირაციულობით დგებოდა. სახელმწიფო ჯარში კი მოღვაწეობდნენ, როგორც ბოლშევიკთა მომხრე ოფიცრები, ასევე ის ქართველი სამხედროები, რომლებსაც კარგად ესმოდათ შექმნილი ვითარება, გულში არ ეთანხმებოდნენ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, სძულდათ საოკუპაციო რეჟიმი და შინაგანად ქაქუცას მოძრაობის მხარეს იდგნენ. ისინი, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას, ამჟღავნებდნენ თავიანთ სიმპათიას და ქაქუცას რაზმელებს ეხმარებოდნენ. მაგალითად: მთავარ კომისრად დანიშნული იყო გიორგი ხიმშიაშვილი, რომელმაც გააფრთხილა ქაქუცას მეგობარი ალექსანდრე სულხანიშვილი – წითლები აღმაცერად უყურებენ ქაქუცას, ეგ საქართველოს გამოსადეგი კაცია, თქვენც გაუფრთხილდით და თვითონაც გაფრთხილდესო. ქაქუცას რაზმელებს ისტორია იცნობს „შეფიცულები“-ს სახელით. ეს სიტყვა მრავლისმეტყველი და ბევრი რამის შემცველი იყო. ისინი შეიფიცნენ საქართველოს ერთგულებისათვის, მისი შელახული ღირსების აღდგენის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ქართველი ხალხის ბედნიერების, ერთმანეთისა და საზოგადოებრივი ჰუმანური იდეალების ერთგულების ფიცით. ბოლომდე შეასრულეს კიდეც, თუმცა ბევრი მათგანი დაიღუპა ამ უთანასწორო ბრძოლაში.

მებრძოლი ბირთვის წევრები ხვდებოდნენ გავლენიან პირებს და ყოფილ მეომრებს, უზიარებდნენ მათ თავიანთ გეგმებს, ისინი კი ხალხს ამზადებდნენ. კახეთის სოფლებში მათ ბევრი ფარული ორგანიზაცია შექმნეს, ჩამოაყალიბეს საბრძოლო რაზმები, რომელთაც სათავეში სანდო და მამაცი მეთაურები

ჩაუყენეს. დროდადრო, ქაქუცა ხვდებოდა მათ, რჩევა-დარიგებების მისაცემად. ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგეს თვითონ შოულობდნენ. შეფიცულების რაზმში თავდაპირველად იყვნენ: მიხა ბალიაშვილი, ვასო თამაზაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მიშა ნაცვლიშვილი, სიმონ ჩითინაშვილი, ქიზიყელი ბიჭი ქარუმა; შემდეგში შეემატნენ: ალექსანდრე სულხანიშვილი, ქაქუცას ძმა სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიშა ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები და სხვები. ქაქუცას ძმა – სიკო, კახელებში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ამტომ ხალხი დახმარებაზე უარს არასოდეს ეუბნებოდა. როდესაც ხმა გავარდა, ქაქუცა პარტიზანულ რაზმებს აყალიბებსო, სადაც კი ხმა მიაწვდინეს, მაშინვე დიდი სიხარულით დაეთანხმნენ, ჩოლოყაშვილის დასახმარებლად ერთ კვირაში დადგა კახეთი ფეხზე და რაც გააჩნდათ, ყველაფრით ეხმარებოდნენ გაფიცულებს. როდესაც ცხენოსანი ათასეული თბილისში გადმოიყვანეს, ქაქუცამ დატოვა ჯარი და ისევ კახეთში წავიდა. იგი მთლიანად პარტიზანულ მუშაობასა და არალეგალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე გადავიდა, იშვიათად ჩამოდიოდა თბილისში, უმეტესად, თელავის, სიღნაღისა და ღუმეთის მაზრებში იმყოფებოდა. მასზე უკვე ეჭვი ჰქონდათ აღებული და თბილისში ჩამოსვლასაც ამიტომ ერიდებოდა. ერთი-ორი ღამით თუ დარჩებოდა, ისიც უალრესად ფარულად. იყო შემთხვევა, როდესაც ღამე ცნობილი ბოლშევიკის, საშა გეგეჭკორის ბინაზეც გაათია, როგორც მისმა მეგობარმა. რა თქმა უნდა, მაშინ გეგეჭკორმა არაფერი იცოდა ქაქუცას საქმიანობა-მისწრაფებათა შესახებ. იქნებ ხვდებოდა კიდევ, რომ ქაქუცას ვერასდროს მიიმხრობდა მაშინდელი ბოლშევიკური ხელისუფლება, მაგრამ გეგეჭკორი არ ამჟღავნებდა ამას, მეგობრული დამოკიდებულებით ცდილობდა თბილი ურთიერთობის შენარჩუნებას მეამბოხე სულის პატრიოტ ჩოლოყაშვილთან. ქაქუცასთვისაც ყველაზე უსაფრთხო მის ბინაზე ღამის გათევა იყო, ორივეს, – სტუმარსაც და მასპინძელსაც საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ და ამაში არც არაფერია გასაკვირი. იმ ურთულეს დროში საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება მძვინვარებდა და პატარა ერს დიდ საფრთხეს უქმნიდა. ერთმანეთთან ბრძოლაში ადამიანები ყველანაირ ხერხს იყენებდნენ მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად. ბოლშევიკი გეგეჭკორისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ზემოთ ნახსენები შეხვედრაც ამ ბრძოლაში გამოყენებული ტაქტიკის ნაწილი იყო.

პირველი შეტაკება მთავრობის წითელ რაზმებთან ქაქუცასა და მის თანამებრძოლებს სიღნაღთან მოუხდათ, 1922 წლის ივნისში. ამის გამო, ქაქუცა დააპატიმრეს. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც სიღნაღის რეგკომში* ჩეკას საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ მიღებული იმის თაობაზე, თუკი იქ ჩოლოყაშვილი გამოჩნდებოდა, უნდა დაეტუსალებინათ და თბილისში გადმოეგზავნათ. სიღნაღის რეგკომში მუშაობდა ცხენოსანთა ათასეულის ყოფილი ოფიცერი, კაპიტანი დათა

გომელაური, რომელიც თანაუგრძობდა ჩოლოყაშვილსა და მის მოძრაობას. მან გადამალა ბრძანება და ქაქუცას მეგობრებს სასწრაფოდ შეატყობინა მისი დატუსაღების ამბავი. იმავე ღამეს რევეკომს თავს დაესხა ექვსი კაცი. მათ იარაღი აჰყარეს მილიციონერებს, კარგა გვარიანად ცემეს კიდეც ისინი და ქაქუცა გაათავისუფლეს. ქაქუცა, თავის შეფიცულებთან ერთად, ალვანის ტყეში დაბანაკდა. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო საიმელო ბაზის მოძებნა. საამისოდ პანკისის ხეობა აირჩიეს. აქ მოსახლე ქისტებს შორის შეფიცულებს დიდი ხნის ნაცნობებიც ჰყავდათ და მოკავშირეებიც. ქისტები დიდ მხარდაჭერას უცხადებდნენ რაზმელებს და ყოველნაირად ეხმარებოდნენ. ადგილი დაცული იყო, აქედან გადადიოდა გზები კავკასიონის ქედისა და თუშების საზაფხულო იალაღებისაკენ. ერთი მხრივ, საფრთხის შემთხვევაში, ჩეჩნეთში შეიძლებოდა გადასვლა, მეორე მხრივ, აქ ზაფხულობით ჩამოსულ თუშებს გამოიყენებდნენ. პანკისის ბაზაში უამრავი ხალხი მოდიოდა ქაქუცას რაზმთან შესაერთებლად. წვიმიანი გაზაფხული იდგა. ერთი თვის განმავლობაში დღეში რამდენჯერმე მოდიოდა თქეში წვიმა. როგორც ალექსანდრე სულხანიშვილი იხსენებს თავის მოგონებებში, დასველებული ტანსაცმლის გაშრობას ძლივს ასწრებდნენ ცეცხლთან, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისევ უსველდებოდათ. აღდგომამდე, რომელიც იმ წელიწადს მარტში იყო, ამნაირმა ამინდებმა გასტანა. ძნელი იყო, მაგრამ დიდი მიზნითა და საბრძოლო ჟინით დამუხტული ქართველი ვაჟკაცებისათვის ეს სიძნელე არაფერი იყო. მათ სააღდგომო დღესასწაულიც ჩინებულად ჩაატარეს და სწორედ ამ დღეს მიაწერს სულხანიშვილი „შეფიცულობის“ იდეის გაჩენას. ამ ამბავს იგი ასე გადმოგვცემს: აღდგომის ზეიმზე სუფრა გაიშალა ქაქუცას რაზმში, სტუმრებიც ჰყავდათ, მათი თანამოაზრე ადამიანები, რომელთა შორის იყო ქაქუცას მოკავშირე, ხევსური დიმიტრი ჭინჭარაული, ზედმეტსახელად „ბაბო“. ორკლასიანი განათლების მიუხედავად, ამ ადამიანს დიდი მჭევრმეტყველება და საქართველოს ისტორიის კარგი ცოდნა გამოარჩევდა. ის თელავის რაიონში ჩამოსახლებული ხევსურების ხევისბერი იყო. დიმიტრიმ ესპერანტო იცოდა, ისე რომ, ამ ხევსურ კაცს არა მარტო ინგლისსა და ამერიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა მიწერ-მოწერა. სააღდგომო სუფრაზე მას სიტყვა წარმოუთქვამს, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსისა ყოფილა:

დღეს ჩვენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და მასთან ერთად წმინდა საქმისათვის ბრძოლის დასაწყისს ვზეიმობთ. აი, ამ მთებში ბალახმა აიტანა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ დაქნილი ბილიკები. რუსეთის უსამართლობას ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ვითომდა მოყვრულად მოსულნი, მტრად რომ გადაგვექცნენ, ოჯახებს გვიწიოკებდნენ და ქალებს გვიუპატიურებდნენ. იგივე მეორდება დღესაც. შენ, ქაქუცა, – მიმართა ჩოლოყაშვილს, – შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლის საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა აღადგინო ალექსანდრე ბატონიშვილის* ნათელი ბილიკები. თქვენ, რაზმელებო, – მიმართა ახლა ქაქუცას რაზმის წევრებს, – ალბათ გახსოვთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი თავის ირგვლივ. თქვენც უნდა შეიფიცოთ და გერქვათ

შეფიცულთა რაზმი, რომელიც სამუდამოდ დარჩება. თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ლამაზი ქვეყნის ბედი. ჩვენ მედგრად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს. ის არის ჩვენი მთავარი მტერი. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ვერ შეძლო ჩვენმა მამა-პაპამ. ჩვენი წინაპრების თავგანწირული ღვაწლის მეოხებით კვლავ ღვივის საქართველოს ნაპერწკალი. ჩვენ არ უნდა ჩავაქროთ ეს ნაპერწკალი. დღეს თქვენზეა დამოკიდებული ამ ნაპერწკლის გაღვივება. მაშ, გაუმარჯოს დიდი თამარის და ერეკლეს საქართველოს!..“

დიმიტრი ჭინჭარაულის ამ სიტყვის შემდეგ ქაქუცამ მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მან თქვა: ისეთი სიტყვა წარმოთქვა დიმიტრიმ, რომ ბევრი რამის დამატება აღარ არის საჭირო. დღეს ჩვენი სამშობლო გასაჭირშია. რუსეთმა ხელმეორედ გამოგვკვლიჯა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მრავალჯერ ყოფილა აწიოკებული ჩვენი ქვეყანა, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ ჩვენ წინაპრებს და მტრებს არ დამორჩილებიან. მათ ბრძოლა უგრძელებიათ. დღეს ჩვენ გვხვდა წილად, რომ ეს ბრძოლა პირველებმა დავიწყეთ და მთელ ქვეყნიერებას ვაჩვენოთ, რომ საქართველოს თავისუფლება სურს თავის მიწა-წყალზე და არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილება მტერს. გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მომავალს და ამ ჩვენი პატარა რაზმის მისწრაფებას!

ქაქუცას სიტყვის შემდეგ მოხდა შეფიცვა. დიმიტრი ჭინჭარაულმა ხევსურული წესით დააფიცა და ხვეისბერული ლოცვით დალოცა ტყეში გასული ძმები. მან საკუთარი ხელით გამოჭრა თხილის სწორი და გრძელი წნელი, შეაბა ქართული დროშა, გაუძღვა წინ და რაზმელებმა მთიულური სალაშქრო სიმღერა დააგუგუნეს.

ბინდისას დაიშალნენ, მაგრამ მთვრალი არავინ ყოფილა. ქაქუცას შეფიცულები არასოდეს თვრებოდნენ. ეს მათ ფიცში შედიოდა. სვამდნენ მცირედს, მეტწილად დღესასწაულებზე, თუმცა ღვინო ბევრი მოდიოდა ხალხისგან, ეს ტრადიცია მათ არასოდეს დაურღვევიათ.



ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმები მუდმივად მოძრაობდნენ. მათი ერთ ადგილზე გაჩერება არ შეიძლებოდა, რადგან კომუნისტური მილიცია ფეხდაფეხ დასდევდათ. ერთ ღამეს რაზმმა მატანში ტყეში გაათია, საიდანაც მეორე ღამეს ახმეტის ბოლოს გავიდა. ამ ტყეში დარჩნენ ღამით, მეორე დღეს თელავ-სიღნაღის მაზრისაკენ აპირებდნენ წასვლას.

ახმეტის ტყიდან ორი ახალგაზრდა რაზმელი – ქიზიყელი ქარუმა და ქისტის ქერიმი სოფელში გაგზავნეს სანოვავის საშოვნელად. ბიჭები გამოუცდელეები იყვნენ და გაუფრთხილებლად მოიქცნენ, რის გამოც, მილიციას ჩაუვარდნენ ხელში. ქიზიყელ ქარუმას ვერაფერი დააცდენინეს, ქისტმა კი ვერ გაუძლო წამებას და ყველაფერი თქვა, ქაქუცას ადგილსამყოფელი გააგებინა მტერს. როდესაც ბიჭებმა ძალიან დაიგვიანეს, ქაქუცა მიხვდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო და მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად მოამზადა რაზმელები. შეფიცულები ფრთხილად ათვალიერებდნენ გზებს, ხომ არავინ

მოდითა მათკენ. პატარა, მეჩხერი ტყით დაფარულ გორაკზე იმყოფებოდნენ და აქედან ხელისგულივით ჩანდა არემარე. უცებ შენიშნეს, როგორ არტყამდნენ ალყას, ერთი თეთრხალათიანი უთითებდა მილიციონერებს – რა პოზიცია დაეჭირათ. მათი საუბარიც კი აღწევდა შეფიცულთა ბანაკამდე. სულხანიშვილი საუკეთესო მსროლელი იყო და ვერ ისვენებდა, სხვებიც ნერვიულობდნენ, ეჩქარებოდათ მტერთან ანგარიშის გასწორება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქაქუცა ღინჯი იყო და აჩქარება არ უყვარდა. როდესაც მილიციონერები დალაგდნენ, ქაქუცამ დაუძახა ალექსანდრე სულხანიშვილსა და დათიკო ფარეულიძეს, იცოდა, რომ ეს ორი მიზანს არ ააცდენდა, ფარეულიძე ქისტის იყო, დიდი ვაჟკაცი. დაწეჭით ორივე, რიგიანად ამოიღეთ მიზანში აგე, ის თეთრხალათიანი და ჩემი კარნახით ესროლეთო – უთხრა ქაქუცამ. ასეც მოიქცნენ. ორმა თოფმა ერთდროულად იქუსა, თეთრხალათიანი მალლა შეხტა და იქვე დაეცა, დანარჩენები გაიქცნენ. ორი ტყვიით განგმირული თეთრხალათიანი ახმეტის კომისარი იყო. შეფიცულები განიცდიდნენ ორი ახალგაზრდა წევრის დაკარგვას, განსაკუთრებით ქიზიყელი ქარუმა ენანებოდათ, რომელიც თელავში გადაიყვანეს და, რომ ვერ გამოტეხეს, სასწრაფოდ დახვრიტეს. ქისტის ქერიმა კი დააპატიმრეს, ციხეში დაამუშავეს და გამოუშვეს, ერთი პირობით, უნდა ეთქვა, ვითომ პატიმრობიდან გამოიქცა, ქაქუცას რაზმში დაბრუნებულს, მოეკლა ჩოლოყაშვილი და, თუ მოახერხებდა, კიდევ რამდენიმე რაზმელიც. ჩეკაში ჩოლოყაშვილის თანამგრობი ადამიანებიც მუშაობდნენ, რომლებმაც ეს ამბავი შეატყობინეს, ამიტომ მომხდარში გარკვევა არ გაჭირვებიათ. როდესაც ქერიმა დაბრუნდა, გამოტეხეს და იძულებული გახდნენ, დაეხვრიტათ. ქაქუცა იშვიათად იჩენდა სისასტიკეს, ის ღმობიერი, ნამდვილად დიდი გულის ადამიანი იყო, მაგრამ კარგად იცოდა ბრძოლის დაუწერელი კანონები. ქისტის რომ გაეშვათ, სულერთია, მას მაინც მოკლავდნენ კომუნისტის მილიციონერები.

•

1922 წელი მოუსავლიანი იყო საქართველოში. შიმშილობამ ქაქუცას რაზმშიც შეაღწია. ხალხს თავად არ ჰქონდა საკვები და თავიანთ საყვარელ მეზობლებსაც ვერაფრით ეხმარებოდა. სანამ შეეძლო, კახელი გლეხობა არაფერს ზოგავდა, ხშირად, თავისთვის უფრო მცირეს იტოვებდა. იყო შემთხვევები, როდესაც შიმშილისაგან ღონეწართმეულ რაზმელს სიარული უჭირდა და მეგობრებს მიჰყავდათ ბანაკამდე. ზოგიერთმა მათგანმა იცოდა საჭმელად ვარგისი ბალახების ცნობა და რამდენიმე კვირა ასე იკვებებოდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ერთი წუთითაც არ ჩამქრალა ენთუზიაზმი და პატრიოტული სულისკვეთება არა მარტო რაზმში, არამედ უბრალო კახელებშიც. ყველამ იცოდა რა სიძნელების გადატანა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გავლა უხდებოდათ შეფიცულთა რაზმების წევრებს. სიცივე, წვიმა, ტყეში ცხოვრება, მუდმივი დევნა და ტყვიის ცეცხლში ხეტიალი საქართველოს კუთხეებში. ბრძოლის მიზანი სახუკვარი და ნათელი იყო, მაგრამ გამარჯვების შანსი – ნაკლები, რადგან წითელი ბოლშევიკური რეჟიმი ხალხს

ისე აშინებდა, იმდენად თრგუნავდა, რომ ცხადი იყო – მისი დამარცხება ასე ადვილი ტყიდან კი არა, პირისპირ მდგარი, ორგანიზებული ჯარისგანაც კი შეუძლებელი გამხდარიყო. მაგრამ ხალხს სწამდა თავისი გმირების, ისტორიული გენი ქართველი ერისა ძალუმად ფეთქავდა და უღირს სიცოცხლეს ადამიანები სიკვდილს ამჯობინებდნენ. ერთი მაგალითიც კმარა ქართველი ხალხის ვაჟკაცური სულის დასახატად:

ერთ დღეს ქაქუცა კისისხევში იყო წინანდლიდან გადმოსული. მასთან მივიდა აქაური სოფლის მწერალი, უაღრესად პატრიოტი და პატიოსანი კაცი – შაქრო ბადურაშვილი. მას რაიონში დიდი გავლენა, პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. შეიარაღებული პირტიტველა, ჯერაც უწლოვანი ვაჟიშვილი მოიყვანა ჩოლოყაშვილთან და უთხრა: „ბელადო, ოთხი ბიჭი მყავს, შენ მოგვკარე უფროსი, ჩვენი სამშობლოს ჭირის სანაცვალოდ, იმსახურე და ასწავლე სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვა.“ ძალიან იმოქმედა რაზმზე უბრალო ქართველი კაცის ამ საქციელმა. ბიჭი დაიტოვეს, მისგან კარგი მეზობლი და ვაჟკაცი დადგა, თავიც გასწირა სამშობლოსათვის. ასეთი მაგალითებით სავსეა საქართველოს ისტორია, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების მოღვაწეობით ახალი ფურცლებით ივსებოდა. რომ არა ის თავგანწირვა და პირადულზე მაღლა ქვეყნის ინტერესების დაყენება, ჩვენი სამშობლო დღემდე ვერც მოაღწევდა.



ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხასიათი გამობრძმედილ-გამოწრობილი იყო იმ ისტორიული გამოცდილებით, რაც ქართველ ხალხს გადაუტანია. მასში ერთნაირად იყო შეზავებული ყველა ადამიანური, ამაღლებული თვისება. ამიტომ მიიღო ის უყოყმანოდ ხალხმა, როგორც ბელადი და წინამძღოლი, ამიტომ ჰქონდა ასეთი დიდი ავტორიტეტი და ზეგავლენა თანამედროვეებზე. მას მტერიც კი პატივს სცემდა, რადგან პიროვნულად იმსახურებდა მოწიწებასა და თაყვანისცემას. პარტიზანული ბრძოლების მეთაურს, ზოგჯერ, გადამეტებულად მოჭარბდებოდა ხოლმე ადამიანის შებრალების, დანაშაულის მიტევების უნარი. ერთხელ, ქოდალოს ტყეებიდან ქიზიყისკენ წასულებმა, გზად ერთი ხეობა გაიარეს, საიდანაც სოფლები კარგა მოშორებით იყო. ხეობაში უამრავი მისახვევ-მოსახვევი ჩანდა. ქაქუცამ წინ მეზობლები გაუშვა, – ალექსანდრე სულხანიშვილი და სერგო მაისურაძე – კახეთში ჩასახლებული რაჭველი, მამამაცი პატრიოტი, რომელიც ადრე ხუროდ მუშაობდა. ზოგადად, რაჭველები ხის ოსტატები არიან, მაგრამ კომუნისტების თავხედობამ ეს ალალი და პატიოსანი გლეხიც ტყეში გაიყვანა. წინწასულებს ქაქუცასთვის უნდა ეცნობებიათ გამვლელების შესახებ, რომ რაზმელები მიმალულიყვნენ და ასე ერთად არავის დანახებოდნენ. ერთ მოსახვევში ანახდად წააწყდნენ ექვს მილიციელს, რომლებსაც მხარზე თოფები გაედოთ და არხეინად მიდიოდნენ. მაისურაძემ და სულხანიშვილმა მათ რინიანად უბრძანეს იარაღის დაყრა. ქაქუცას რაზმიდან ორი კაციც უცებ გაჩნდა და ექვსივე მილიციელი განაიარღეს. რაზმელები მივარდნენ მილიციონერებს და დაუწყეს ჩხუბი, ლამის

ხელში შემოკვედომოდან, რომ არა ქაქუცა. რაზმელები აგინებდნენ და უყვიროდნენ იარაღაყრილებს: თქვე ურჯულოებო, ნუ გავიწყდებათ რომ ქართველები ხართ, სხვა სამუშაო ვერ მოძებნეთ, ჩვენი ქვეყნის მტრებს რომ არ მიჰკედლებოდით, კომუნისტების სამსახურში არ შესულიყავით და ჩვენთვის არ გედიათო. ქაქუცამ ძლივს დააწყნარა თავისი მებრძოლები, მამა-შვილურად დაარიგა მილიციონერები, ნუ იმსახურებთ მილიციაში, ნურც კომუნისტურ პარტიაში შეხვალთ, თორემ ახლა კი დაგიცავთ და გადაგარჩენთ, მაგრამ სხვა დროს თუ კიდევ ჩაგვივარდებით ხელში, ვეღარ გიშველითო.

ქაქუცას ებრალებოდა შეცდენილი ქართველები, მიაჩნდა, რომ ეს ადამიანები გაუნათლებლობის გამო ვერ ერკვეოდნენ სიმართლეში. დრო მოვიდოდა და ეს „ძე შეცდენილებიც“ გაარჩევდნენ ავსა და კარგს, მტრის სამსახურის ნაცვლად, ერის სამსახურში ჩადგებოდნენ. მას შეეძლო ყაჩაღის პატიოსან კაცად ქცევა, უბრალო ადამიანის გმირად გამოზრდა.



ქაქუცას რაზმში ინგილოებიც* იყვნენ. ერთი ახალგაზრდა, ლაღო ოზანელი, მანამდე ყაჩაღად იყო გავარდნილი. ეს უსწავლელი ახალგაზრდა მწყემსი ძალიან ამაყი და ბუნებით სამართლიანი იყო, ვერ ეგუებოდა ბოლშევიკების ტერორს და ძალადობას. მოხუცი დედა და და ჰყავდა. კომუნისტებმა ვერ მიიმხრეს და ვერ დაიმორჩილეს, რისთვისაც მისი სახლ-კარი რამდენჯერმე ააწიოკეს, რაც წასაღები იყო, წაიღეს.. ერთხელაც სასტიკად ცემეს მისი მოხუცი დედა და და, რადგან ავეჯს არ ატანდნენ. ეს ვერ აპატიო ლაღომ და მის ოჯახზე მოძალადე ერთ-ერთი ბოლშევიკი მოკლა. ამის შემდეგ, ყაჩაღად გავარდნილი, თავზნეულალებული ებრძოდა კომუნისტური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს. სოფელში კრება რომ გაიმართებოდა, მიიპარებოდა და სროლას უტეხდა შეკრებილ ხალხს, კრების ჩატარების უფლებას არ აძლევდა, ვისი ჯავრიც სჭირდა, იმას ტყიდან უთვლიდა, – ფული გამომიგზავნე, თორემ მოგკლავო. შეშინებულები უგზავნიდნენ კიდევ. საოცრად ამაყი და ვაჟკაცი იყო, მაგრამ ეს გზა მას უაზროდ დაღუპავდა, ამიტომ ერთ-ერთმა თანამებრძოლმა – ვასო თამაზაშვილმა ქაქუცას სთხოვა, ეგ უბედური, მართალია ყაჩაღია, მაგრამ ბუნებით კარგი ადამიანია, ძალით გააყაჩაღეს, თუკი შენს რაზმში მიიღებ, გადავარჩენთო. ქაქუცას ბევრი არ უფიქრია, მოიყვანეთო, უთხრა. ლაღოს აუხსნა, რისთვის იბრძოდა თავად და რისი გაკეთება უნდოდათ მის რაზმელებს. ისიც უთხრა: ჩვენთან ყაჩაღობას ადგილი არა აქვს, თუკი მიგიღეთ, იმედია, ჩვენი რაზმისათვის სამარცხვინო საქმეს აღარ ჩაიდენო. „შენი ღმერთის ჭირიმე, მეც ეგ მინდაო“ – უთხრა ლაღომ და მუხლებზე მოეხვია ქაქუცას. ჩოლოყაშვილმა წამოაყენა, აბა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამო. ბიჭს სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან; მან პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და გმირულადაც შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

•
მთელმა საქართველომ იცოდა ქაქუცას მებრძოლების შესახებ, ყველგან ვრცელდებოდა ხმა: ჩოლოყაშვილმა რაზმი შეადგინა, რომელიც რუსებს ებრძვისო. მთავრობამ დაინახა, რომ ქართველი ხალხი მას კი არა, ტყეში გასულებს უჭერდა მხარს და სიყვარულს მათ მიმართ გამოხატავდა. ამიტომ ბოლშევიკები არაფერს ზოგავდნენ, ქაქუცას წინააღმდეგ რაზმს რაზმზე აგზავნიდნენ, დიდ ჯილდოს ჰპირდებოდნენ მის მკვლელს, ან ცოცხლად შემპყრობს.

ერთი შემთხვევა იყო: მთავრობისაგან შედგენილი მილიციელებისა და კომუნისტი აქტივისტების რაზმი ერთი კვირა გამწვარებული დასდევდა ჩოლოყაშვილის რაზმს, მის მომწვედევას ცდილობდა. იგივე მიზანი ჰქონდათ ქაქუცას და მის ხალხსაც. ერთ დღიას, ქაქუცამ დაინახა თუქურმიშის მიმართულებით მიმავალი მთელი მისი მღევარი, რომელიც დედოფლისწყაროსკენ მიემართებოდა. მაშინ ქაქუცა სწორედ ამ მიდამოებში მოძრაობდა და მტერსაც იქ ეგულებოდა. რა თქმა უნდა, იქ რომ ვერ ნახავდნენ, უკან დაბრუნდებოდნენ, მაგრამ დედოფლისწყაროდან უკან, მათ სამყოფამდე, ორი გზა მოდიოდა, არავინ იცოდა, რომელი გზით დაბრუნდებოდა მღევარი. ამ გზებს შორის ოთხკილომეტრიანი ტყის მონაკვეთი იყო. ქაქუცამ ასე გადაწყვიტა: რაზმი ჩაესაფრებინა ორი გზის შუა მონაკვეთში, რათა ორივეს გაკონტროლება შესძლებოდა და ადვილად გადაეკეტა მათთვის სავალი. ორივე გზის მოთვალთვალედ თითო ცხენოსანი გაუშვა, რომელთაგანაც გაიგებდა მტრის მოძრაობის მიმართულებას. მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ამ დღეს, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო საგანგებოდ მის სადევნად და შესაპყრობად შექმნილი რაზმი. უცებ მოვარდა ერთი მზირი (მოთვალთვალე), ეს იყო ქაქუცას ძმა, სიკო, რომელმაც ამბავი მოიტანა, უზუნდარის ხეობის შარავზით მოდიანო. თითქმის სირბილით დაემუნენ, რომ ხელიდან არ დასხლტომოდათ მტერი. მღევრები ცხენებით იყვნენ, რაზმელები კი ფეხით. თანაც გზისპირას სულ მეჩხერი ბურქნარი იყო, კაცი ვერ დაიმალებოდა, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა ქაქუცას რაზმს. ქაქუცას ამ დროს სულ ოცდაორი კაცი ახლდა, დანარჩენები საქმეზე იყვნენ გაგზავნილები. მეთაურმა რაზმი სამ ნაწილად გაჰყო და ერთმანეთისაგან კარგა მოშორებით განალაგა. რაზმის წევრები ბურქებში ჩასხდნენ, ორი კაცი წინ გაგზავნეს, კარგა შორ მანძილზე, იმისთვის, თუ ვინცობაა ვინმე გაექცეოდით, იმათ დაეჭირათ, ან მოეკლათ. ქაქუცასთან ერთად იყვნენ ვასო თამაზაშვილი, მალაქია მაისურაძე, სოსო ჩითინაშვილი, ილიკო იაშვილი (ინგილო) და ალექსანდრე სულხანიშვილი. ეს ჯგუფი შუაში იდგა და სანამ თავად ქაქუცა არ ისროდა, მანამდე სროლის უფლება არავის ჰქონდა. მარცხნივ ელიზბარ ვაჩნაძე იყო ჩასაფრებული ხუთი კაცით, ხოლო მარჯვნივ ჯამასპაშვილი, ასევე ხუთი მებრძოლით. ქაქუცას რაზმები დასამალად ბურქნარში გაწვენენ, სულხანიშვილი ნახევრადწამოდგარი ათვალთვარება გზას, რათა მტრის გამოჩენისთანავე ნიშანი მიეცა ქაქუცასათვის. როდესაც გამოჩნდნენ, ცოტა აცალეს, სასროლ მანძილზე მოაღწია თუ არა მათმა ნახევარმა, ქაქუცამ შესძახა, იარაღი დაჰყარეთო და

თან წინ მომავალს ესროლა. ატყდა საშინელი სროლა. ზოგი ტყვიით, ზოგი შიშით თუ თავისი ნებით ცვიოდნენ ცხენებიდან, ზოგიერთები არხში ჩაწვენ და გამაგრება მოინდომეს, მაგრამ მალე დანებდნენ ჩოლოყაშვილის რაზმელებს. წინ გადახტნენ სულხანიშვილი და მალაქია მაისურაძე, არხში ჩაწოლილებს დაუწყეს სროლა. ქაქუცამ უიყვირა და მათ უკან დაბრუნება უბრძანა. შემდეგში მიხვდნენ, რომ მეთაური მართალი იყო, მტრის ამ უთავბოლო დაბნეულობაში, შესაძლოა, ამაოდ ნასროლ ტყვიას გაეფუჭებინა ეს ვაჟკაცები, რასაც ქაქუცა ყოველნაირად ერიდებოდა. მისთვის ყოველი შეფიცულის სიცოცხლე ძვირფასი და გასაფრთხილებელი იყო. სასაცილო ის იყო, რომ ის წინ მომავალი, ვისაც ქაქუცამ ესროლა, აღმოჩნდა კომკავშირელი მილიციონერი, რომელსაც დაეკვეხნა, ქაქუცას გაკოჭილს ჩამოვიყვანო. ქაქუცამ ის სასიკვდილოდ არ გაიმეტა, ტყვია საჯდომზე ესროლა და დაჭრილი ჩამოაგდო ცხენიდან. ქაქუცას რაზმელებმა იცოდნენ ამ მილიციონერის კვენის ამბავი და მიცვივდნენ: აბა, როგორაა საქმე, დაიჭირე ქაქუცაო? მათ ამ ახალგაზრდის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ქაქუცამ არ დაანება, ოღონდ ბრძანება გასცა, ჩახადეთ ქვედა საცვალი და იარა გამოუჩინეთო. ასე შეარცხვინა, მაგრამ ცოცხალი გაუშვა და წასვლისას უთხრა, წადი და მეტი აღარ დაიკვეხო.

მიუხედავად ასეთი ლოიალობისა, იმ დღეს ქაქუცას მაინც მოუხდა ექვსი თუ შვიდი მოწინააღმდეგის დახვრეტა, ლაღო ოზანელმა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც მისი ოჯახის აწიოკებაში ელო წილი, თავად მოკლა, ბრძოლაში სულ 12-15 ადამიანი დაიღუპა, დანარჩენები ქაქუცამ გაუშვა, მაგრამ სანამ წავიდოდნენ, ასეთი საუბარი გაუმართა: ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს ტყუილად ვხოცავთ და ეს რუსების ბრალია. თუ ქართველ ხალხს უნდა კომუნისტური წყობილება, არ დაუშლით, ოღონდ რუსეთმა ჯარი გაიყვანოს, საქართველოს დამოუკიდებლობა დაუბრუნდეს, მერე კი, ხალხს რაც უნდა, მისი ნება აღსრულდებაო. ამ სიტყვების შემდეგ, იარაღაყრილი ტყვეები გაათავისუფლეს და გაუშვეს. ვინ იცის, გაიგონეს თუ არა, ჩოლოყაშვილის შეგონება ამ ქართველებმა, მიხვდნენ თუ არა მისი სიტყვების სიმართლეს, რომ მთელი ეს უბედურება და კაცისკვლა რუსი ბოლშევიკების მოგონილი და ქართველებისთვის თავსმოხვეული ჭირი იყო. ხვდებოდნენ კი მაშინ ხელისუფლებისა თუ მისი მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლები რომ საქართველოში კიდევ დიდხანს იბოგინებდა ეს ჭირი და მტერი ურთიერთწაკიდების, დასმენის, ღალატის, დაუნდობლობის ბაცილას კიდევ 70 წელიწადი გაავრცელებდა ისედაც მცირე და საუკუნეობით ნატანჯ ერში. რა თქმა უნდა, ამის ზუსტი განსაზღვრა მათ არ შეეძლოთ. პირველნი – სამუდამო გამარჯვებასა და კომუნიზმის აშენებაზე ოცნებობდნენ, მეორენი, ქაქუცას თანამოაზრენი, კი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაზე, რისთვისაც მათ, ქართველ ხალხთან ერთად, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა დახმარების იმედი ჰქონდათ და გამარჯვების რწმენას აძლევდათ საკუთარი ბრძოლის სამართლიანობა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს ყველაზე მეტად აღაშფოთებდა საქართველოს სათავეში მოქცეული ბოლშევიკების მიერ ეკლესიების რბევა, საეკლესიო ქონების განიავება, დაწვა, შებილწვა. ვინც ასე იქცეოდა, სამაგალითოდ მოითხოვდა მათ დასჯას. ერთმორწმუნეობის ნიადაგზე დაახლოებულმა რუსეთმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შებილწა ქართული სამოციქულო ეკლესია, 1921 წლიდან კი მასიურად დაიწყეს ჩვენი ტაძრების გაძარცვა-ნგრევა. ისინი საწყობებად და ბიბლიოთეკებად იყენებდნენ ქართულ საყდრებს, აქ იარაღსა და მარქსის ტომებს ინახავდნენ, რომელსაც ძალით აკითხებდნენ და უნერგავდნენ ხალხს. ზოგი ეკლესია კომკავშირულ კლუბებად აქციეს. მკრეხელობა ამაზე შორს ვერ წავიდოდა. ღვთის გმობისკენ მოუწოდებდნენ ყველას. ხალხს ჩააგონებდნენ გალაშქრებას ეკლესიების წინააღმდეგ, საამისო მაგალითებს თავად იძლეოდნენ. ცნობილია, როგორ დაანგრეს წმინდა გიორგის ეკლესია ქუთაისის ცენტრში, თბილისის ცენტრში – ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი. გაძარცვეს მოწამეთა, გელათი, უამრავი სოფელი საყდრის გარეშე დატოვეს. ამ დროს საქართველოში სულ 1500 ეკლესია დანგრეა. კომკავშირული და პარტიული აქტივისტები, აქაოდა, ჭკვიანები და განათლებულები ვართო, თვითონ ანგრევდნენ ეკლესიებს და ხალხის წინაშე თავი მოჰქონდათ. ქაქუცამ გადაწყვიტა, ერთერთი ასეთი აქტივისტისა და ურწმუნო ქართველისათვის ჭკუა ესწავლებინა. წინანდლის, ქვემო ხოდაშნისა და კისისხევის რაიონში იყო ერთი კომისარი – ბულიაშვილი, რომელიც მთელ სოფლებს აწიოკებდა თავის ხალხთან ერთად, ეკლესიებიდან გამოჰქონდა ხატები, წმინდა წიგნები, სამღვდელო შესამოსელი და წვაკდა. ერთხელაც განაცხადა: ჩემი ხელით მოვხსნი ჯვარს ეკლესიის გუმბათიდან და ნახავთ, ღმერთი თუ რამეს მიზამსო. სპეციალური დღე დანიშნა, რათა ეს ამაზრზენი სანახაობა მოეწყო. ვინც არ მივიდოდა, ყველას დასჯიდნენ, როგორც თავად გამოაცხადა. ხალხი გმინავდა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა. ქაქუცასთან მივიდნენ ამ რაიონების წარმომადგენლები. შეწუხებული ადამიანები შველას ითხოვდნენ, ბულიაშვილის მოშორებას და ამ მდგომარეობის შეჩერებას ევედრებოდნენ. იმის თქმაც არ ღავიწყნიათ, რა „სანახაობა“ დანიშნა ბულიაშვილმა. ქაქუცამ მოისმინა თუ არა, თქვა, გუმბათზე უნდა მოკვდეს ეს არამზადო და დაიწყო ოპერაციის მზადება. მან რაზმელები გაგზავნა ადგილმდებარეობის შესასწავლად და წინა ღამით ჩაასაფრა ორი მებრძოლი ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისე შერჩეულ ადგილას, საიდანაც კარგი მსროლელი გუმბათზე ასულ ბულიაშვილს არ ააცდენდა. მებრძოლებად გამოცდილი სულხანიშვილი და ახალგაზრდა ბადური (ქაქუცასთან მამის ხელით მოყვანილი ბადურაშვილი) გაუშვა. მან კარგად იცოდა ეს ადგილები, წინა ღლით შეარჩია სამიზნე, ის ღამეც იქ გაათენეს. მეორე ღლით დიდძალი ხალხი შეიყარა, ყველა უკმაყოფილო და შეძრული იყო იმ სანახაობით, რაც იქ გაიმართა. ბულიაშვილი იარაღებით მიხონავდა გუმბათისაკენ ჯვარის ჩამოსახსნელად. აი, მიუახლოვდა ჯვარს და დაუწყო თუ არა ჩაქუჩის ცემა, იმწამსვე გავარდა წყვილი თოფიდან ტყვიები და ღვთისმგმობი გუმბათიდან გადმოვარდა. ხალხმა წივილ-კივილი დაიწყო, ბევრი

მათგანი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და წივილ-კივილში სიხარულით გაიძახოდა: აკი, ღმერთი ვერას მიზამსო! ეს ამბავი მთელ საქართველოში გავრცელდა და ხალხმა ყველგან გაიხარა. ლეგენდა ლეგენდას ემატებოდა, საქართველოში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი ყველამ გაიგო და ყველა ხსნას მისგან ელოდა. ამბობდნენ, უთვალავი ჯარი ჰყავსო, თუმცა აჭარბებდნენ, როგორც ლეგენდებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ჩოლოყაშვილი ცოცხალი ლეგენდა იყო, რომელიც ხან სად და ხან სად გაჩნდებოდა ხოლმე ჩაგრულების დასაცავად და მტრების გულის გასაგმირად.



ქაქუცა ჩოლოყაშვილის საბრძოლო ისტორიაში გამორჩეულია 1922 წლის ზაფხულში ხევსურეთში მოწყობილი ანტისამთავრობო ამბოხება. ხევსურეთში ქაქუცას რაზმი ღუშეთიდან ავიდა. ამბოხი პირველ აგვისტომდე უნდა მომხდარიყო. ამბოხებამდე ერთი კვირით ადრე დაიდრნენ რაზმის წევრები ხევსურეთისაკენ. არაგვის ხეობაში მოსახლეობა არც იმდენად ბევრი იყო, ამიტომ დღისით-მზისით მოძრაობდნენ. გზად პატარა სოფელი – ორთვალი გაიარეს, სადაც ქართველ ჩეკისტებს გადააწყდნენ. პირველი ბრძოლაც მათთან გამართეს. ბრძოლაში ერთი ჩეკისტი მოკვდა, რამდენიმე დაიჭრა, ზოგიც გაექცათ. აქ აღარ გაჩერებულან და მალაროსკარისაკენ გასწიეს. დაბინავდნენ ვაჟა-ფშაველას დაარსებულ სკოლაში. სკოლას ირგვლივ ტყე ერტყა, ქაქუცას ვაშლის ხის ძირში ეძინა, ავად იყო, დროდადრო აციებდა, მაგრამ ერთი წუთითაც კი არ აძლევდა თავს მოღუნების უფლებას. აქ აკითხავდნენ ფშაველები და ეწერებოდნენ მის რაზმში. მეზობლებმა უშიშარ ადგილად მიიჩნიეს ეს ბანაკი და გათამამდნენ, ხან ტყეში გადიოდნენ თხილისა და შინდის მოსაძებნად, ხანაც თავისუფლად მხიარულობდნენ. მათ ფეხდაფეხ დადევნებულმა მილიციამ ერთი ფშაველი, მალაროსკარელი ახალგაზრდა გამოტეხა და ხიფათიც გაჩნდა: მღევარი სამი მხრიდან წამოვიდა მალაროსკარისაკენ: ერთი პირდაპირი გზით, საიდანაც თავად რაზმი ამოვიდა, მეორემ ზურგიდან დაუარა, მესამემ კი – სკოლის გაღმიდან, საიდანაც ასევე ხელისგულივით ჩანდა შეფიცულების ბინა. რაზმელებს ერთი დარაჯი ჰყავდათ გამოყოფილი, მეტსახელად კურდღელა. თავდაპირველად მას მღევარი მეზავრი ჰკონებია, როდესაც გარკვეულა, გაქცეულა რაზმისაკენ და სროლა აუტეხავს, რადგან დაგვიანების შეშინებია. რაზმში ამ დროს, ადგილზე მხოლოდ თორმეტი კაცი იყო. ქაქუცა წამოხტა, რაზმელებიც უცებ ჩადგნენ საბრძოლო ფორმაში, მტერიც თავზე წამოადგათ. წამოშლისთანავე აუტეხეს სროლა ქაქუცას რაზმს. სტრატეგიულად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ რაზმელები, რადგან სკოლის ღია ეზოში იდგნენ, მაშინ, როდესაც მღევარს ტყის საფარის გამოყენება შეეძლო. მოწინააღმდეგე სულ ახლოს მოვიდა, სკოლის ყორესთან, გზის პირას და სროლა დაიწყო. სანამ ტყეში მიმოფანტული რაზმელები გაიგონებდნენ სროლის ხმას და მიხვდებოდნენ, რომ ბანაკი საფრთხეში იყო, ბრძოლის სიძძიმე ქაქუცასა და მის თორმეტიოდე მეზობლზე გადავიდა. ქაქუცა სკოლის გვერდზე მდებარე ეკლესიის ნანგრევებთან იდგა, რადგან რაზმელები იქით იყვნენ

წასულები. ისინი უკვე გულისხმეთქვით ბრუნდებოდნენ და მეთაურიც მათ საჭირო ადგილებზე ანაწილებდა. ქაქუცამ იქვე ჩამომავალი ბილიკით, ელიზბარ ვაჩნაძე გააგზავნა სამი კაცით. ამ ბილიკზე ჩამოდიოდა ავლაბრის კომისარი თავისი მილიციით. შეფიცულები მათ შეებრძოდნენ, მოკლეს კომისარი და ორი მილიციონერი, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ქაქუცამ კიდევ სამი მებრძოლი მიაშველა ელიზბარს და ექვსი კაცით მან ის სიმაღლე დაიკავა, რომელიც არაგვზე გადებულ ხიდს გაჰყურებდა. აქედან დაუწყეს სროლა უკანგაქცეულ მტერს და ბევრი მოკლეს. ბრძოლა თანდათან გაძლიერდა, ყველა შეფიცული იბრძოდა. ქაქუცა ღია სამიზნედ რჩებოდა მტრისათვის, რადგან გალმიდან ისროდნენ და თვალნათლივ ჩანდა იქიდან, რომ ჩოლოყაშვილი არაფერს ეფარებოდა. რაზმელები უყვიროდნენ, მოეფარე რამესო, მაგრამ ამაოდ. მეთაურმა მხოლოდ მაშინ გაიაზრა მოსალოდნელი საფრთხე, როდესაც ზედ მის თავთან ტყვიამ ტოტი მოტეხა. იბრძოდა სვიმონ ყიფიანიც, რომელიც დამკომმა გაგზავნა თბილისიდან რაზმის დღიურის საწარმოებლად. ეს იყო ხანშიშესული კაცი, ნამდვილი პატრიოტი. ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქაქუცას მარჯვენა ხელი და განუყრელი მეგობარი – ალექსანდრე სულხანიშვილი, გიორგი გვერდწითელი, გაბო ოზიაშვილი, შალვა კანდელაკი, სერგო მაისურაძე და სხვები. ქაქუცამ მტერი ალყაში მოიმწყვდია, ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ ჩაიგდეს. არაგვის ნაპირას გასულმა რაზმელებმა იქ კიდევ ექვსი მილიციონერი აიყვანეს. ქაქუცას 65 რაზმელი მონაწილეობდა ამ ბრძოლაში, მოწინააღმდეგე კი 250 კაცამდე იყო, როგორც შემდეგ ტყვეებმა თქვეს. ეს სამხედრო ოპერაცია განახორციელა ავლაბრის კომისარმა, რომელმაც თავის მილიციასთან ერთად დადო პირობა, ქაქუცას ანგარიშს გავუსწორობო, პირველი კი თავად დაიღუპა ბრძოლაში.

ბარისახოში ქაქუცას რაზმში სამი ხევსური და ერთი ფშაველი მივიდა. ეს ფშაველი მიხა ხელაშვილი იყო, პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც საოცრად უყვარდა ქაქუცა და სამშობლოს განმათავისუფლებელ გმირად მიაჩნდა. ქაქუცაც ღიდ ნიჭსა და მომავალს ხელავდა მასში და ხშირად ამბობდა, თუ მშვიდობა იქნა, მიხას აუცილებლად უნივერსიტეტი უნდა გავათავებინო, ცოლოა, ამისთანა ნიჭი დაიღუპოსო.

მიხა ხელაშვილი სოფელ ახადიდან იყო. ბავშვობიდანვე იტაცებდა პოეტური სიტყვის ძალა და მადლი, უყვარდა ვაჟა, ბაჩანა, შესანიშნავი ხალხური პოეზია, უკრავდა ფანდურსა და სალამურზე, ამღერებდა საკუთარ ლექსებს და კაფიობაშიც ბადალი არ ჰყავდა. საშუალო განათლება თბილისში მიიღო. სოფელში დაბრუნებული მალაროსკარის ეკლესიის ღიაკნად და საყდრის მცველად გაამწესეს. არ შეიძლება ასეთ ადამიანს, პოეზიის, ქართული კლასიკური მწერლობის ტრფიალს, მორწმუნესა და ეკლესია-მონასტრების ქომაგს ის აეტანა, რაც იმ დროს ხდებოდა, როგორ შეურაცხყოფდნენ კომუნისტი და კომკავშირელი აქტივისტები ქართულ სულს, ეროვნულ სიმდიდრესა და ისტორიულ წარსულს, როგორ ჭრიდნენ მომავლის ტოტს, ხელყოფდნენ მთის ლალი ხალხის თავისუფლებას. თავზე ქუდს ხდიდნენ და წვერს პარსავდნენ ხევისბერებს. მასაც მიადგნენ და აიძულეს, დაეტოვებინა

ეკლესია. ის, ვინც არ იდგა ახალი დროის სატანის მოციქულებთან, აღარ უნდოდათ და ებრძოდნენ. მიხა ხელაშვილმაც დატოვა ოჯახი და მივიდა ქაქუცასთან. აქ იყო ქართული სული და სილამაზეც.

ქაქუცასა და მიხა ხელაშვილის სიყვარულიან ურთიერთობაზე ხალხური ლექსიც მეტყველებს:

**„რო ნახავს ჩოლოყაშვილი,
იმის პირ იზამს ღმინსაო (გაიღიმებსო)
ერთი ჰყავს ათის ბაღალი, –
შიში არა აქვს მტრისაო.“**

თავად მიხა კი თავის უსაყვარლეს მეთაურს ყოველთვის ამკობდა ლექსებით... მაღაროსკარის ბრძოლის შემდეგ ის აღარ მოშორებია ქაქუცას, ბევრჯერ ისახელა თავი შეფიცულთა რაზმში თავისი გმირობით. ერთხელ, სოფელ ბაკანას განაპირას, დიდ გომურში თავშეყრილ კომკავშირლებს, რომელთაც ქაქუცას დატყვევება განეზრახათ, იგი მარტო მიეჭრა, აჰყარა იარაღი და მიჰგვარა შეფიცულთა რაზმის ბელადს. ქაქუცამ ჭკუა დაარიგა გზიდან აცდენილი ახალგაზრდები და გაუშვა. მიხა დაბალი ტანის, მაგრამ ჩასხმული და ჯანიანი ვაჟკაცი იყო. 1923 წელს, როცა დუშეთში იდგნენ, მან ქაქუცას ორი დღით დედისა და ნათესავების სანახავად გაშვება სთხოვა. გზად დუშეთის მილიციის უფროსს გადაეყარა, რვა მილიციონერი ახლდა და მიხას სოფელში მიდიოდა. ამ კაცს ბევრი ბოროტება ჰქონდა ჩადენილი და ქაქუცა აპირებდა მასთან ანგარიშსწორებას. მიხას გადაუწყვეტია, მარტოს გაეკეთებია ეს და ქაქუცა გაეხარებინა, გზა შეუკრავს მილიციისათვის. ორი მოუკლავს კიდევ, მაგრამ რვა კაცს ვერ მორევია და თავი შეუკლავს. ქაქუცამ ძალზე განიცადა ამ ნიჭიერი პოეტისა და სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდის სიკვდილი. მაგრამ ომი იყო საქართველოში, კომუნისტების მიერ ინსპირირებული, ქართველებს შორის გაჩენილიყო უფსკრული, მრავალი ადამიანი უაზროდ იღუპებოდა. მიხა ხელაშვილისა და ქაქუცას ურთიერთობას კი ამ ლექსით დავინახავთ, რომელიც თვითნაბადი პოეტური ნიჭის ფშაველმა ჭაბუკმა ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ გმირს – ქაქუცა ჩოლოყაშვილს მიუძღვნა:

**ჯერ ისევ არის ზაფხული, არ დათოვლილან მთანია,
ფშავ-ხევსურეთის კლდეებსა შავნივა ჰქონდა ფხანია*
შიგ ვცხოვრობთ ფშაველ-ხევსურნი, შავი კლდის შვილნი-ძმანია,
უნდა მივიღოთ ამბავი დროების მონატანია.**

ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოჰქროლავს როგორც ქარია,
თან ახლავს ქართველთ შვილები, თითო ლომების დარია.

ბინას დასდებენ ფშავშია, სადაც მაღაროსკარია*.

თბილისით მოჰყვა ლაშქარი, რომელიც მუხლით მალია,

პურის ჭამაზედ ნასხდომებს დახვიეს თოფის ალია.

ჰა, გიდი, ჩოლოყაშვილო, გულად გდებია ტალია,

პატარა რაზმის უფროსო, ხარ მარდი კამანდარია*.

მკვდარი შეჰყარე მკვდარზედა, როგორც მტრის საბანდარია*.

წითლად შეღებე არაგვი, ფშავ-ხევსურეთის წყალია.

ფშავლებს გადაეც ნადავლი, იმათგან ანაყარია.

●

მაღაროსკარის ბრძოლის შემდეგ ქაქუცას რაზმი იმავე დღეს გაემგზავრა ხევსურეთში. გზა დაუბრკოლებლად გაიარეს, თუმცა იყო ჭორები, თიანეთის მხრიდან ორმოცი კაცი დაადევნესო. ამ რაზმს, ვითომდა, ორწყალის სიმაგრე უნდა დაეკავებინა და შეფიცულები ხევსურეთში არ შეეშვა. ორწყალი არაგვის გამყოფი კლდეა. ქაქუცამ ამ ადგილის დასაკავებლად ელიზბარ ვაჩნაძე გაგზავნა ხუთი კაცით, მაგრამ მღევრის ამბავი ჭორი გამოდგა, ქაქუცა დაუბრკოლებლად ავიდა ხევსურეთში, დაბანაკდა ბარისახოში, თუმცა რაზმელები სიფრთხილისათვის მაღავდნენ, რომელი იყო მათ შორის ქაქუცა, მაგრამ ხევსურეთში ბევრი იცნობდა მას და ესეც რომ არა, ელვის სისწრაფით გავრცელდა ჯარის ასვლის ამბავი. შეფიცულთა მთავარი მოკავშირეები იყვნენ გოგოთური და აპარიკა. პირველი 50-55 წლის კაცი, მეორე უფრო ახალგაზრდა, კომუნისტებისა და რუსების მტერი. ეს ორი ადამიანი აკავშირებდა ქაქუცას ხევსურებთან, ახდენდა რაზმების ორგანიზაციას. ხევსურეთის აჯანყებას ჩოლოყაშვილი დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევდა. ამ დროს, შეფიცულთა ცნობით, სულ ათი ათასამდე წითელი ჯარისკაცი იყო საქართველოში. ხევსურეთში უკან დაედევნებოდა ჯარი ამბოხებულებს, იქაური მიდამოების კარგად მცოდნენი – მათ ადვილად ამოხაცავდნენ. ფშავ-ხევსურთა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ მეომართა გარდა, ხევსურეთში იბრძოლებდნენ ჩრდილო კავკასიელი ჩეჩნებიც. ქაქუცა აპირებდა მათთან მოლაპარაკებას, თუმცა ეს გეგმა უფრო ადრე უნდა შეესრულებინა. ქართულ არმიაში ქაქუცას თავისი ხალხიც ჰყავდა, კერძოდ, შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი მუსხელიშვილი, რომელიც ყოველთვის აწვდიდა სანდო ცნობებს შეფიცულების რაზმს, ამოტომაც იმედი ჰქონდა, რომ კრიტიკულ მომენტში ამ ჯარს გაანეიტრალებდა. მაღაროსკარიდან დაწყებული, ხევსურები მძიმე დანაკლისს აყენებდნენ რუსის ჯარს. ერთმა კოჭლმა ხევსურმა ხუთ კაცს აპყარა იარაღი. მღევრებმა რამდენიმე დღე სდიეს ქაქუცას ნაკვალევს, მაგრამ მოულოდნელად უკან დაიხიეს, შეფიცულებს კი იმედი ჰქონდათ, რომ მათ ზურგიდან დაარტყამდნენ საქართველოს განმათავისუფლებელი ძალები. საქმე ის იყო, რომ პარტიული კინკლაობა, შეუთანხმებლობა ხშირად იჩენდა თავს და საქმეს აზარალებდა. ვერც პარიტეტული კომიტეტი და ვერც სამხედრო საბჭო ვერ ახერხებდნენ ეროვნული მოძრაობის უფრო გაბედულად აზვირთებას და ამ ტალღის სათავეში ჩადგომას. როდესაც ხევსურეთის აჯანყებაში მათ ვერ ითამაშეს გადამწყვეტი როლი, მთავრობამ უფრო თამამად შეუტია და ცალკეული გმირების თავგანწირვამ შედეგი ვერ მოიტანა.

ხევსურეთში შერჩენილი ჩოლოყაშვილის რაზმელები ელოდებოდნენ, რომ უკანდახვეა მთავრობის შენაერთებმა დროებით გაითამაშეს და მალე ისინი ახალი ძალებით მიაწყდებოდნენ ხევსურეთში განლაგებულ ეროვნულ ძალებს. ქაქუცამ მიმართა ხევსურ მეთაურებს, ეკისრათ შუამავლობა და ჩეჩნებისათვის

ეთხოვით დახმარება. ხევსურებმა უარი თქვეს, – ჩვენ პირაქეთელებს, მტრობა გვაქვს ჩენებთან და არ დაგვეხმარებიანო. მართლაც, გოგოთურის ვაჟს – სულხანაურს, ხშირად გაულაშქრია ჩენებზე, უკანასკნელ ხანს მათი მოლაკ მოუკლავს, წამოუღია მოკლულის თავი და საკუთარ ეზოში დაუმარხავს. იცოდა რა ჩენების შურისმაძიებელი ხასიათი, ციხეც აუგია, რათა თავი დაეცვა მომხდურებისგან. სულხანაური ისევ ხევსურებს მოუკლავთ, რადგან ერთხელ, ჩენურ ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩენი ჰკონებიათ. ასეთ ურთიერთობაში ძნელი იყო მოკავშირეებად ჩენების დაგულება, მაგრამ ქაქუცამ არ დაიშალა, მან ხევსურებს უთხრა, რომ გაატანდა თავის შეფიცულ რაზმელებს, სანდო კაცს გააყოლებდა, ჩენებს მტრებად რომ არ მიეღოთ მისულები. უნდა დაერწმუნებიათ ჩენები, ღროებით დაევიწყებინათ ღროებითი შუღლი, მტრობა და შურისძიება, გაერთიანებულიყვნენ და დაემარცხებინათ რუსები, რომლებიც ხევსურეთის შემდეგ მათაც მიაღებოდნენ. გამყოლებად ქისტები და პირიქითა ხევსურები უნდა აერჩიათ, რადგან ჩენები მათ მეგობრობდნენ. შატილიდან გადავიდნენ ქისტების სოფელ ჯარეგაში და შეხვდნენ იქაურ თავკაცებს, დაარწმუნეს ისინი ქაქუცას შემონათვალის სიმართლესა და ხევსურების გულწრფელობაში და დაითანხმეს.

ჩენებთან გამგზავრების წინ ერთი უცნაური ამბავი მომხდარა. ეს ამბავი თვითმხილველსა და მონაწილეს – ალექსანდრე სულხანიშვილს აქვს თავის მოგონებებში შეტანილი. მალაროსკარის ბრძოლის ერთ-ერთი გმირის, ხევსური გოგოთურის ქმედება შესაძლოა სხვადასხვანაირად შეფასდეს. დამერწმუნებით, რომ ეს დრამატული და სულისშემძვრელი პასაჟი ისედაც დრამატულ საქართველოს ისტორიას არ უნდა მოაკლდეს. არის მასში რაღაც ისეთი, რაც ჩვენ ეთნოფსიქოლოგიას, სამშობლოს სიყვარულში თავგებულადღებულ ქმედებასა და ფანატიზმსაც გამოხატავს. სიტყვა „ფანატიზმი“, რა თქმა უნდა, ზოგადად, არ არის დადებითი შინაარსის მომცველი. ქართველებს არასოდეს ახასიათებდათ რელიგიური ფანატიზმი, ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში, უფრო ტოლერანტობა სუფევდა, ვიდრე რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დაპირისპირება, მაგრამ როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის და შენარჩუნების საკითხი დგებოდა, მაშინ სამშობლოს უზენაესობის ფანატიკური განცდა იღვიძებდა. ამ გრძნობაში კი ქრისტიანობა, ქართული ენა, საქართველოს მიწა-წყალი ერთიანდებოდა. ეს სამება იყო ყველაფერზე აღმატებული. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ იმას, რაც გოგოთურის კარ-მიდამოში მოხდა, მაშინ მომხდარი ამბავი უფრო გასაგები გახდება. თათბირზე გადაწყდა ჩენებთან გადასვლა და დახმარების თხოვნა. იქვე გამოითქვა ეჭვი: არ დაგვეხმარებიან, რადგან მტრებად გვთვლიანო. იქვე გაიხსენეს სულხანაურის მიერ მოლას მოკვლის ამბავი. ქაქუცა მაინც იმედიანად იყო და ამ გზის იქით გამარჯვებას ვერ ხედავდა.. საუბრისას გოგოთური სადღაც წავიდა და როდესაც დაბრუნდა, თან მოიყვანა ორი პატარა ბავშვი – ბიჭი და გოგო. თან ხურჯინი მოაყოლა და ქაქუცას დესპანს უთხრა: „აი, შენი კვნესამე, ეს ბავშვები ჩემი შვილი სულხანაურისანი არიან, ჩვენ ქისტების სისხლი გვმართებს, ესენი წაიყვანე და მიჰკვარე ქისტებს“. რაზმელები გაფითრდნენ. ქაქუცამ ძლივს ამოიღო ხმა და

უყვირა: „გოგოთურო, როგორ შეიძლება, რომ უდანაშაულო ბავშვები მივგვაროთ ქისტებს სასიკვდილოდ“. სხვებიც გაჯავრდნენ, სისხლის ასაღებად ბავშვების ხურჯინით მიგვრა რამ გაფიქრებინაო. ასეა თუ ისე, ეს ამბავი მოხდა და ითქვა იმ ადამიანისგან, ვინც დიდი ავტორიტეტითა და სახელით სარგებლობდა ხევსურთა შორის და არა ვინმე უჩინო ან უგუნური კაცისგან.

ვინაიდან ჩენების დახმარება საქართველოს გადარჩენას ნიშნავდა, უარი კი დალუპვას, საკუთარი სისხლი და გენი, უცოდველი პატარები გაიმეტა ქართველმა კაცმა. იქნებ, ჩენთა ვაჟკაცური გულის იმედიც ჰქონდა, იქნებ არც ფიქრობდა ამაზე, ტრადიციის შესრულება სურდა უკანასკნელად და სამშობლოს გადარჩენა, ხოლო იმ ბრძოლაში, ხევსურებს რომ უნდა გაემართათ, თავადაც უსიტყვოდ მიიტანდა საკუთარ სიცოცხლეს მამულისათვის მსხვერპლად.

ვინ იცის!.. რას გაუგებ გოგოთურის მსგავს ქართველებს. ისინი თავიანთი დროის პირმშონი იყვნენ და გმირებად იმ წამებსა და წუთებში იბადებოდნენ, როდესაც საქართველოს დალუპვა ემუქრებოდა. ამგვარი არაორდინალური და არაგანსჯადი ქმედებებით სავსეა საქართველოს ისტორია.

ხევსურეთის ამბოხებაში ჩენების ვაჟკაცობა და გმირობაც ისევე დასაფასებელია, როგორც ქართველი შეფიცულების. მათ უყოყმანოდ მიიღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის თხოვნა, ჩამოვიდნენ კიდეც შატილს, მაგრამ საოცრად დაწყდათ გული, განზრახული რომ ვერ შეისრულეს: ვერ იბრძოლეს რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველ შეფიცულებთან ერთად. ჩენები უკან გაბრუნდნენ, ქართველები კი აქედან გაიფანტნენ, რადგან აჯანყების გეგმა გაცემული იყო და დასახული მიზანი ვეღარ შესრულდებოდა. ამბოხების ჩაშლის მთავარი მიზეზი შეუთანხმებლობა, პარტიული დაქსაქსულობა და დანაწევრება იყო. ბევრს აჯანყება ნაადრევად მიაჩნდა, ზოგი უკეთესი დროის დადგომას ელოდებოდა, ერთი პარტია მეორეს არ ეთანხმებოდა. იყვნენ გამცემებიც, რომლებიც საბჭოთა პოლიციასა და ჩეკას ატყობინებდნენ ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა საბრძოლო გეგმებს. ხევსურეთის ამბოხების გეგმა შტაბის უფროსთან იყო შეთანხმებული, ის დამუშავებული იყო იმ საუკეთესო ქართველი გენერლების მიერ, რომლებიც კომუნისტების შემოსვლის შემდეგაც მუშაობდნენ ქართულ ჯარში, მაგრამ საოკუპაციო რეჟიმს ვერ ეგუებოდნენ, სასტიკად განიცდიდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების მხარეს იდგნენ. საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური მათზე. 1923 წელს ისინი დახვრიტეს. ასევე დახვრიტეს ბევრი პატიოსანი ქართველი გლეხი თუ ინტელიგენტი, არასამხედრო პირები, რომლებიც თანაუგრძობდნენ ეროვნულ გმირებს. 1923 წლის 19 მაისს დაიხვრიტა „სამხედრო ცენტრის“ მთლიანი შემადგენლობა, მათ შორის იყვნენ გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე და კოტე აფხაზი; პოლკოვნიკები: როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი; ოფიცრები: ფარნაოზ ყარალაშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი; სახელმწიფო

მოხელეები: მიხეილ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე, ლევან კლიმიაშვილი.

ამ დროს დასაჭერად დასდევდნენ ქაქუცასაც, რაც კარგად ჩანს სპეციალური გამოძიების მიერ შედგენილ საბჭოურ დოკუმენტებში. ეს დოკუმენტები იმავე წელს გამოაქვეყნა „ქართველ მხედართა კავშირის“ დამფუძნებელმა საინიციატივო ჯგუფმა სტამბულში. მასში სეტანილია ის განაჩენიც, რაც „ძიების“ შემდეგ დაიწერა და რის საფუძველზეც დახვრიტეს ქართველი პატრიოტი სამხედროები. კონსტანტინოპოლში მყოფი, სამშობლოდან დევნილი ქართული სარდლობა საზოგადოებას აუწყებდა, რომ რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით, გაუსამართლებლად იქნენ ეს ადამიანები დახვრეტილნი. 1923 წლის 20 მაისისთვის დახვრეტილ ოფიცერთა და სახელმწიფო მოხელეთა შორის 4 გენერალი, 6 პოლკოვნიკი, 3 ლეიტენანტი, 7 როტმისტრი, კაპიტნები, უნტერ-ოფიცრები, ვახტმისტრები და იუნკრები იყვნენ.

განაჩენი, სადაც მოცემული იყო 19 მაისს დახვრეტილი სამხედროების სია და აღწერილი იყო მათი მთავარი საქმიანობა, – ასე იწყებოდა: „ანტანტის კაპიტალისტების აგენტების დანარჩენი მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების და მუშურ-გლეხური სახელმწიფოსათვის ღალატის გამო, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ დამთავრებული გამოძიებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო კომისია ადგენს: მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი...“

ჩამოთვლილი სამხედროები ყველა ბანდიტებად, წითელი არმიის გამცემებად და ქვეყნის მოღალატეებად არიან გამოცხადებულნი. განაჩენში დასახელებულია მათი ასაკი, განათლება, სამუშაო, რომელსაც ასრულებდნენ. დახვრეტისას ყველაზე ახალგაზრდები იყვნენ: როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი – 35 წლის, სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი – 27 წლის, ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი – 24 წლის, იასონ მათეს ძე კერესელიძე – 32 წლის, ელიზბარ ბაქარის ძე გულისაშვილი – 32 წლის, ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი – 26 წლის, დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი – 29 წლის. დანარჩენებიც იმ ასაკში იყვნენ, კიდევ ბევრი რამის გაკეთება რომ შეეძლოთ საქართველოს სამხედრო სიძლიერისათვის. როდესაც განაჩენი წაუკითხავთ დასახვრეტი ქართველებისათვის, ყველა მათგანი ისე ვაჟკაცურად მოქცეულა, ამას თვით ამიერკავკასიის „ჩეკას“ თავმჯდომარე მოგილევსკისა და მის ხელქვეით ჯალათ პანკრატოვზეც უმოქმედია. გიორგი ხიმშიაშვილს უთქვამს: „ჩვენ ვიცით, რისთვისაც გვკლავთ, თქვენც კარგად იცით, რომ ბანდიტები არა ვართ, მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი ძრისხანედ მოგთხოვთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს!“

ჯალათებისთვის მიუმართავს გაჭაღარავებულ, რაინდული სულისა და გულის გენერალ ვარდენ წულუკიძეს. ქაქუცას მსგავსად, ამ პატრიოტ ქართველსაც

სახელოვანი წინაპრები ჰყავდა, რომელთა გენი ასაზრდოებდა მასში სამშობლოს დიდ სიყვარულს და მისთვის თავგანწირვის უნარს. მისი ბაბუა იყო იმერეთის საწულუკიძეოს გამოჩენილი თავადი სიმონ წულუკიძე, რომელიც ძმასთან, დავითთან ერთად ებრძოდა რუსეთის ჯარს, რისთვისაც დავითი შეიპყრეს და სარზე ააცვეს. იყო დასჯის ასეთი საშინელი მეთოდი. ერთი კვირა ბუხები ეხვეოდა მკვდარს და ყველას დასანახად და ხალხის შესაშინებლად არ ამარხინებდნენ. ამ წინაპართა მხედრული გულოვნება ჰქონდა ვარდენ წულუკიძეს, რამაც მისი დიდი საბრძოლო დამსახურება განაპირობა, როგორც I მსოფლიო ომში, ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში. მას ჯალათებისთვის უთქვამს: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ, ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდება, იგი დაასალკლდევენს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ“. მის თავდაჭერასა და სრულ სიმშვიდეს სიკვდილის წინ, ისე უმოქმედია ჯალათზე, რომ უთქვამს: თქვენ მართლაც გმირულად კვდებით, გინდათ, გადავცემ რამეს თქვენთანებსო? რაზედაც წულუკიძეს უპასუხია: „გადავცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით ქართველ პატრიოტებს შეჰფერით.“

დახვრეტის აღწერაში სხვების სიტყვებიცაა მოტანილი, საიდანაც ჩანს, რა დიდი სულიერი სიმტკიცის პატრონები იყვნენ ქართველი სამხედროები. პოლკოვნიკი მაჭავარიანი: „ჩვენ არ გიპირებდით შებრალებას და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას, ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა“.

კოტე აბხაზი: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“

გენერალი ანდრონიკაშვილი, როგორც ყოველთვის, მშვიდი და აუღელვებელი: „სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე, იქნება ქართველები ყველა ამისთანები გეგონათ? (ხელს აშვერს ჯალათებს შორის მყოფ ერთ-ერთ ქართველზე). მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს.“

პოლკოვნიკი ჩრდილელი: წადით და უთხარით რუსებს, თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის!..“

საგანგებო კომისიაში, ვინც განაჩენი გამოიტანეს, შედიოდნენ: პანკრატოვი, მოგილევისკი (ამიერკავკასიის „ჩეკას“ თავმჯდომარე), აშუკინი, რუსეთის საოკუპაციო არმიის სამხედრო საბჭოს წევრი სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, კვანტალიანი.

სპირიდონ კედიას მეუღლე, სოფიო ჩიჯავაძე-კედია ივონებს, როგორ მივიდა თბილისელი ქალების დელეგაცია სერგო ორჯონიკიძესთან. ესენი იყვნენ: ნინო გელოვანი, ანეტა დიასამიძე, თამარ ფალავანდიშვილი, დაპატიმრებული ჩრდილელის და, რომელსაც ხელები დაუკონია ორჯონიკიძისათვის, ძმა გადამირჩინეო; მას კი ცივად უთქვამს, ეს ხალხი უკვე დახვრეტილიაო. 22 მაისს გაზეთმა გამოაქვეყნა ინფორმაცია სიკვდილით დასჯილებზე. თბილისში ჭორები გავრცელდა: იასონ კერესელიძე ვითომ „დიდების“ სიმღერით მიდიოდა, თან ყვიროდა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო“, მშვიდად იყო კოტე

აფხაზი და სხვებსაც იმავეს ურჩევდა. ვაჟკაცურად შეხვედრიან სიკვდილს გენერალი წულუკიძე და გენერალი ანდრონიკაშვილი, გოგი ხიმშიაშვილს კი „ჩეკას“ კედელზე ასეთი ლექსი წაუწერიაო:

**„... თუმცა ვერ მოვა ჭირისუფალი ჩვენ საფლავებზე,
მაინც ვნუგეშობთ, ხსოვნა დარჩება ერთგულ მხედარზე
და ქუდს მოიხდის მამულიშვილი ჩვენს ხსენებაზე.“**

მათი სიკვდილი ქართველთა გლოვის საგანი, დიდი უბედურება იყო.

არც ხალხი დარჩა ვალში. ერთ ხევსურულ სოფელში შესული რუსის ჯარი ამოხოცა ხევსურმა ქალმა, რომლის სახელი შემორჩა მხოლოდ, გვარი არ ვიცით. მას მზექალა ერქვა. მისი ძმა ქაქუცასთან იბრძოდა. ქალი სახლში მარტო ყოფილა, რუსები რომ შესულან სოფელში. მზექალას ძმის თოფით დაუხოცავს რუსები და ბოლოს მათი ტყვიით თავადაც განგმირულა.

პატრიოტების დახვრეტის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლის ჟინი კიდევ უფრო გაიზარდა, შესანიშნავ თანამებრძოლთა და მეგობართა სიკვდილმა მას კიდევ უფრო ნათლად დაანახა რეჟიმის სისასტიკე.

ლაგოდების ტყეებში მტრის ტყვიით მოკვდა ქაქუცას ძმა სიკოც. ქაქუცა მას თავიდანვე უშლიდა პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობას. ეუბნებოდა, თურმე, ორი ძმა ერთად ქორწილში არ ვარგა, შენი საქმე სხვაგან გააკეთეო. ძმამ მაინც არ დაიშალა, გული იქით მიუწევდა, სადაც ქაქუცას დაძახებაზე ასეულები იკრიბებოდნენ. ერთ დღეს სულხანიშვილს გაჰყვა და ისევ შეფიცულთა ბანაკში აღმოჩნდა. ძმა რომ დაინახა, ქაქუცამ ოდნავ საყვედურნარევი ღიმილით უთხრა, შენ მაინც არ მოისვენე და წამოხვედიო? სიკომ, ვითომდა აქ არაფერიაო, ისე უპასუხა, მერედა რა მოხდა, რომ დავინახე საშა მოდიოდა, გულმა ვეღარ გამიძლო და გამოვეყვიო. სიკოს ქაქუცა ყოველთვის წინა ხაზზე გზავნიდა. ის შეფიცულ ქართლელ ბიჭთან ერთად მოუკლავს გამცემ ოსს. კახეთის თუ ქართლის სოფლებში მცხოვრები ოსები კომუნისტების მხარეზე იყვნენ და ქაქუცას ებრძოდნენ. საყვარელი ძმა ქაქუცამ თავისი ხელით დამარხა ტყეში და ისევ გააგრძელა ბრძოლა. მოლაღატე ოსი შეფიცულებმა, სიკოს და ბაღლოს (ასეთი მეტსახელი ჰქონდა მოკლულ ქართლელს) მალევე მიაყოლეს.

1923 წელს დახვრიტეს ქაქუცას ბიძაშვილი, მატანში მცხოვრები 35 წლის ანეტა ჩოლოყაშვილი, განათლებული და პატრიოტი, ნამდვილი ქართველი ქალი. ის თავდადებით ეხმარებოდა რაზმელებს, უზიდავდა წამლებს, უხვევდა ჭრილობებს, ამარაგებდა საკვებით. „ჩეკამ“ დაატუსაღა და რომ ვერაფერში გამოტეხა, სიკვდილი მიუსაჯა. დახვრიტეს ქაქუცას სიმამრი, უამრავი ნაცნობ-მეგობარი. იყო ლალატი, ეჭვებიც. სამოქალაქო ომი ყველაზე დიდი საშინელებაა და მისი ჭრილობებიც ძნელად მოსარჩენი. ეს ომი მძვინვარებდა საქართველოშიც და ადამიანები ერთმანეთს წირავდნენ პარტიული დაპირისპირების გამო. ყველა ადამიანს როდი შეუძლია გმირობა. ბევრი გატყდა, მტრის მხარეზე გადავიდა და გასცა თავისიანები. ბევრი არ დანებდა, ბოლომდე უერთგულა სამშობლოს, მეგობრებს, ადამიანურ ღირსებას.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ხალხი – არა. თავად ქაქუცა ჩოლოყაშვილს არც უფიქრია აქ დაესვა წერტილი, სამშობლოს ინტერესები მას ისევ ეძახდა.

•
ხევსურეთის აჯანყების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ისევ კახეთსა და ქართლში იბრძოდა. მას უფროსი ძმა, შაქრო მიუგზავნეს, რომელიც მანამდე დატუსაღებული ჰყავდათ. ასევე, ახლო ნათესავი ბიძინა მაყაშვილი. მთავრობა მათი პირით უთვლიდა: შენტვის რა დაგვიშავებია, რისთვის გვებრძვი, თუ არ მოგწონს ჩვენი პოლიტიკა, საზღვარგარეთ წადი, ფულს, რამდენსაც იტყვი, მოგცემთ, მიქვალსაც გაგაყოლებთ საზღვრამდე, რომ გვენდოო. ქაქუცამ ასეთი პასუხი მისცა: გადაეცით, რომ ჩვენ ფულზე არ ვიყიდებით, პატრიოტები ვართ და საქართველოს თავისუფლება არის ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი. ავანტიურისტები და სამშობლოს მოღალატეები თქვენ ხართ, რუსის ჯარს რომ შემოუძებნით და ძლივს, ვაი-ვაგლახით მოპოვებული საქართველოს დამოუკიდებლობა დაამხეთ. თუ კიდევ შეგრჩენიათ ერთი ბეწო რაიმე მაინც ქართული, ეგ ჯარი ისევ გაიყვანეთ, როგორც შემოიყვანეთ. ჩვენ ვიბრძობთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მანამ, სანამ პირში სული გვიდგას. თუ ვერ შევძელით ამ დიდი მიზნის სისრულეში მოყვანა, მომავალი თაობა გააგრძელებს ჩვენ დაწყებულ საქმეს. მერე ძმას უთხრა, ჩემი უფროსი ძმა კი ხარ, მაგრამ ამისთანა დავალებით ჩემთან აღარ მოხვიდეთ. ქაქუცამ ისიც თქვა, რომ რუსის ჯარის გაყვანის შემდეგ, ქართველი ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას ის და მისი მეგობრები უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ, რაგინდ მათთვის მიუღებელი ყოფილიყო ის მთავრობა.

ქაქუცას უფროს ძმას ბიძის სახელი ერქვა. ერთ დღეს სწორედ მას ესტუმრა ქაქუცა ჩოლოყაშვილი რამდენიმე მეგობართან ერთად მატანში, ჩოლოყაანთ ციხეში, სადაც 75 წლის ზორბა, თოვლივით თეთრწვერა, დარბაისელი და სიმპათიური კაცი ცხოვრობდა. იგი ძველი სიმღერების განთქმული შემსრულებელი და უცვლელი თამადა იყო. ბიძას ძმისწულის ნახვა ისე გაუხარდა, ცრემლიც კი გაუბრწყინდა თვალზე. ეხვეწა, დარჩით და ჩემთან ივანშმეთო, მაგრამ ქაქუცას ნათესავებზე ისეთი მეთვალყურეობა იყო, არ გარისკეს შეთქმულებმა. წასვლა რომ დააპირა, ძია შაქრო მეორე ოთახში გავიდა, მოოქროვილი ხანჯალი გამოიტანა და ქაქუცას მისცა: მამა-პაპური ხანჯალია, შენ გქონდეს ჩემო ძმისწულო, შენ უფრო გაუთქვამ მას სახელს, ჩვენი გვარისა და სამშობლოს სადიდებლადო. ეს იარაღი ახლა საქართველოს მუზეუმში ინახება და მან ისეთივე ძნელი გზა განვლო საქართველოს ბრძოლებსა და უცხოეთში, როგორც მისმა მფლობელებმა წარსულში. იარაღს ქართული ემიგრაცია ინახავდა, უფროთხილდებოდა, ბოლოს კი გმირის სამშობლოს დაუბრუნდა.

შეფიცულები კახეთის სოფლებში დადიოდნენ. ქაქუცა ზოგჯერ აწყვერში (ახმეტის რაიონი) ათევდა ღამეს, სადაც მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა. ნინო მეღვინეთუხუცესმა აქ, მამის სახლში დარჩენა არჩია, ქაქუცას მშობლები და ძმა კი მატანში ცხოვრობდნენ. რაზმს მეთაური ყოველთვის ორად ჰყოფდა,

ცალკე აყენებდა ყარაულებს. ისინი აკონტროლებდნენ იმ ოჯახებს, სადაც რაზმელები მიდიოდნენ. ხშირი იყო შეტაკებები. ყველა სოფელში და ოჯახში მიგზავნილი იყვნენ მოთვალთვალენი და ქაქუცაზე მონადირე მილიცია. შეფიცულები ყველა ხაფანგიდან სხლტებოდნენ, დანაკლისიც იყო მათ რიგებში, მაგრამ მცირე. უფრო მეტად, თავდამსხმელები ზარალდებოდნენ. პირველი ზამთარი მატანის ტყეებში გაატარეს. 1923 წლის იანვარ-მარტში სახელდახელოდ აგებულ მიწურებში ცხოვრობდნენ. ამ „ტყის სახლებს“ მალაქია მაისურაძე „აპროექტებდა“. მას, წარმოშობით რაჭველს, კარგად ეხერხებოდა ეს საქმე. ის კი არადა, ბინები ისე ოსტატურად იყო აშენებული, შიგ ცეცხლის დანთება შეუძლებოდა და ბოლიც კი არავის აწუხებდა. ზამთარში დაბლობ ადგილებს ირჩევდნენ ბინებისათვის, ცეცხლის კვამლი რომ არ გამოჩენილიყო ტყეების სიმაღლიდან, ზაფხულობით კი – მაღალმთიან და ტყიან ადგილებს. ზოგჯერ, ხანგრძლივად თუ რჩებოდნენ, ხორციან საჭმელს, განსაკუთრებით ხინკლებს აკეთებდნენ. ქაქუცა ძალიან ცოტას ჭამდა, რაზმში ყველაზე მცირეს. ხშირად რაზმელები უნახავდნენ ხოლმე, იქნებ მერე შეჭამოსო, მაგრამ მარტო, ლუკმასაც არ ჩაიდებდა პირშიო, იგონებდნენ მოგვიანებით მისი მეგობრები. მთელ საქართველოში ხომ იცნობდნენ და პატივს სცემდნენ, კავკასიის მთაშიც ლეგენდები დადიოდა მასზე. ალექსანდრე სულხანიშვილი წერს, ჩეჩნეთში სტუმრობისას როგორი პატივით მიიღეს, სულ „ქაქუცა“ მესმოდა, ყველა ამ სიტყვას იმეორებდა, ალბათ ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ქაქუცას კაციაო. ეს იყო ხევსურეთის აჯანყების შემდეგ, 1923 წლის აპრილში. მისმა ავტორიტეტმა შეარიგა ხევსურები და ჩეჩნები, აღარ ხდებოდა ურთიერთთავდასხმები, პირუტყვისა და ადამიანების გატაცებები. შეფიცულთა რაზმის თავგანწირულმა ბრძოლებმა ეს ნაყოფიც გამოიღო: შეიქმნა კავკასიის მთიელთა შეკავშირების შესაძლებლობა, რისიც ეშინოდათ კრემლის ხელისუფალთ. ქაქუცამ კარგად იცოდა, რომ კავკასიის გაერთიანებას მთელი ისტორიის მანძილზე მოჰქონდა ხოლმე მტრებზე დიდი გამარჯვება. ახლაც წერილით მიმართავდა ჩეჩნებს. ის და მისი რაზმელები ინანიებდნენ ოდესღაც ჩადენილ წინაპართა შეცდომას, როდესაც საქართველო ებრძოდა ჩეჩნებს (იგულისხმებოდა XIX საუკუნე), და როდესაც მთელი კავკასიის საამაყო შვილი შამილი* რუსებს ებრძოდა, მაშინ, საუბედუროდ, ქართველების ერთი ნაწილი რუსებს მიემხრო. ეს მაშინო, როდესაც მთელი კავკასიის ერებს, როგორც ერთს, ისე უნდა ებრძოლა საერთო მტერთანო. იქნებ ეს იმის ბრალიც იყო, რომ დაღესტნელები, საქართველოსთვის ყველაზე ძნელ პერიოდებში, ესხმოდნენ თავს ქართველებს. რუსების პროპაგანდასთან ერთად, ამანაც გამოიწვია ის მოვლენა, რომ ქართველთა ნაწილი შეებრძოლა შამილსო, – წერდნენ ჩოლოყაშვილის შეფიცულები. დროა, შეცდომა გამოვასწოროთ, სარწმუნოებამ ხელი რატომ უნდა შეგვიშალოს, ჩვენც გვყვანან ქართველი მუსულმანები, ჩვენ ძალიან კვავართ ერთმანეთს ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებითო... ქართველები გამოთქვამდნენ სურვილს, გაეგრძელებინათ შორეული წინაპრების საქმე, ერთად ებრძოლათ რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ, კავკასიის თავისუფლებისათვის.

ქაქუცას ამ მოწოდებას ჩეჩნები სწრაფად გამოეხმაურნენ. მათი ყველაზე დიდი ავტორიტეტები შეუდგნენ ჩეჩენტა მობილიზებას. მათ ანცვიფრებათ და მოსწონდათ ქართველ შეფიცულთა თავგანწირული ბრძოლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალი მიტაევის და ათაბეის მხარდაჭერა, რომელთაც ქაქუცამ საჩუქრად მილიციისათვის წართმეული ოცდაათი ცხენი გაუგზავნა. მოსალაპარაკებლად და ბრძოლების ორგანიზებისათვის თვითონ ჩოლოყაშვილი გადავიდა ჩეჩნეთში და შეხვდა მათ. როცა რუსებმა გაიგეს, რომ ქართველები ჩეჩნებთან ამყარებდნენ კავშირს, ჯაშუშები აამოქმედეს. დიდძალი ფული შესთავაზეს რამდენიმე ჩეჩენს, რომ ქართველი შეფიცულები და მათი ბელადი მოეკლათ. მაგრამ ჩეჩნების ბუნებისათვის ასეთი ღალატი მიუღებელი იყო. ისინი ქართველებს უყვებოდნენ რუსების შეთავაზების შესახებ და დასცინოდნენ მტერს: ჩვენ ფულზე არ ვიყიდებით და ჩვენ ძმებს არ ვკლავთ, მაგათ ეს არ იციანო.

ქაქუცასა და ჩეჩნებს შორის ოფიციალური ხელშეკრულებაც გაფორმდა, სადაც დაწვრილებით იყო გაწერილი საერთო ქართულ-ჩეჩნური აჯანყების გეგმა. ალი მიტაევისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამ გეგმას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს როგორც შორეულ, ასევე ახლო წარსულშიც. ძალაუნებურად გახსენდება ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის მეგობრობა კავკასიური ბრძოლების ახალ ეტაპზე XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მათ ერთად სურდათ ჩრდილოელი დამპყრობლის დამარცხება, მაგრამ აქაც რუსებმა გაიმარჯვეს: ორივე გმირი მსხვერპლად შეეწირა კავკასიურ განმათავისუფლებელ ბრძოლას, თუმცა ერთხელ კიდევ დაგვანახა მეგობრობისა და თანამებრძოლობის უკვდავი ძალა. ქაქუცასა და მიტაევს შორის დადებული ხელშეკრულებით, თბილისიდან ჩეჩნეთში უნდა გაგზავნილიყო იმ დროს დამკომის თავმჯდომარე – გიორგი წინამძღვრიშვილი, საქართველოდან საჭირო რაოდენობით უნდა გაეგზავნათ ოფიცრობა, რადგან ჩეჩნებს არ ჰყავდათ საკმარისი სამხედროები. ამბოხების გეგმა შედგებოდა თბილისში, შემდეგ ამ გეგმას გაეცნობოდნენ ჩეჩენი მეთაურები. გეგმის მიხედვით, ანტირუსული ამბოხება ერთდროულად უნდა მომხდარიყო ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში, რუსეთიდან არ უნდა გამოეშვათ ჯარები, უნდა აეყარათ რკინიგზის ლიანდაგები, თავს დასცემოდნენ ჩრდილოეთში განლაგებულ რუსის ჯარს. გროზნო 1918-1921 წლებში რუსეთისათვის სამხედრო შტაბს წარმოადგენდა. აქ იჯდა კავკასიის დაპყრობის ორგანიზატორი სერგო ორჯონიკიძე და აქ ღებულობდა მოკავშირეებს აზერბაიჯანის დაპყრობის წინ. მე-11 არმია აქედან შევიდა ბაქოში. ამ ზურგის მოშლას ცდილობდა რუსებისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. ის, რაც ჩვენმა გმირებმა კარგად იცოდნენ, იცოდა მტერმაც და ყოველნაირად უშლიდა ხელს კავკასიელ ხალხთა გაერთიანებას. ხან შუღლსა და მტრობას აძლიერებდა მათ შორის, ხანაც შეიარაღებულ ძალებს აყენებდა იქ, საიდანაც ერთმანეთთან უნდა მისულიყვნენ და სათითაოდ ამარცხებდა. ამჯერადაც შეკრეს

რუსმა წითელარმიელებმა კავკასიონზე გადასასვლელ-გადმოსასვლელი ბილიკები, ამჯერადაც თვით ქართველთა შორის დაატრიალეს შუღლისა და ღალატის მახვილი და ერთმანეთი დაამარცხებინეს საქართველოს ბედკრულ შვილებს.

•
რაგინდ დასამარცხებლადაც უნდა იყოს განწირული, სიმართლისა და სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლა, მაინც გამარჯვების ტოლფასია. ჩვენი ქვეყანა და ქაქუცა ჩოლოყაშვილისთანა ვაჟკაცები ყოველთვის თავისზე ბევრად მრავალრიცხოვან და ძლიერ მტრებს ებრძოდნენ. წინააღმდეგობის ჟინი და ბოროტების განადგურებისკენ ლტოლვა მათ სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი. დიდ იმპერიებს რა დაამარცხებდა, მაგრამ უომრად შეგუებაც უზნეობა იქნებოდა. ერთი ქართველი მწერალი, „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებით მოგვრილ შთაბეჭდილებას რომ უზიარებდა მკითხველს, შოტლანდიურ ლეგენდას იხსენებდა და საქართველოს ისტორიულ ბედს უსადაგებდა. შოტლანდიაც, მოგეხსენებათ, ჩვენნაირი პატარა ქვეყანაა, რომელსაც ინგლისი მუდმივად ეომებოდა, შოტლანდიელები კი გმირულად იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას. ინგლისიც არ ცხრებოდა. განსაკუთრებით მეთოთხმეტე საუკუნეში შეუტია ზედიზედ და დაამარცხა კიდევ პატარა მეზობელი ქვეყანა. იჟლიტებოდა მცირერიცხოვანი ხალხი, მაგრამ იარაღს არ ყრიდა. ხალხს წინ უძღოდა ბელადი, შოტლანდიელი რობერტ ბრუსი. ერთ-ერთი შეტევის დროს თითქმის მთელი ჯარი გაიჟლიტა, ცოცხლად დარჩენილები დაიფანტნენ. შიში, სასოწარკვეთა და უიმედობა დასადგურდა შოტლანდიელთა გულებში, რწმენა, თითქოს, მოკვდა. რობერტ ბრუსი უღრან ტყეში მოხვდა მარტოდმარტო და თავი შეაფარა მიტოვებულ ქოხს. ჯაჭვის პერანგი არც გაუხდია, ისე მიეგდო კუთხეში ბრძოლისაგან ქანცგაწყვეტილი, მშიერ-მწყურვალი, სასომიხდილი. გატნჯულს ძილი არ ეკარებოდა, ბრძოლის სისხლიანი სურათები ედგა თვალწინ. ომი წაგებული იყო, დამპყრობელმა საბოლოოდ გატეხა პატარა ერის ნება. ამას მოჰყვებოდა დამცირება, გადაგვარება, ეროვნული ადამ-წესების შეგინება, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ტრადიციების ხელყოფა. ქვეყანა დაამარცხებული იყო, აზრი აღარ ჰქონდა ბრძოლას და თავად ცხოვრებასაც. ასე ფიქრობდა ქოხის კუთხეში მიგდებული, უიმედო სარდალი და მეფე.

სიძველისაგან ჩამომპალი ქოხის სხვენში ობობას გაება ქსელი და კუთხეში მიყუჟულიყო. ბრუსი ხმლით მიწვდა და ქსელი ჩამოშალა. ცოტა ხნის შემდეგ ნახა, რომ ობობამ კვლავ გააბა ქსელი და კვლავ მიიყუჟა კუთხეში. ბრუსმა ისევ დაუშალა ნაქსოვი. ლეგენდის მიხედვით, მეფე ასე შვიდჯერ მოიქცა და როდესაც ისევ, მეშვიდედაც ობობამ კვლავ გააბა თავისი ქსელი, ფეხზე წამოხტა და შეჰყვირა, ბედნიერი გადაწყვეტილება სახეს უნათებდა, თუკი უსუსური მწერი, შვიდჯერ დამარცხების შემდეგ მაინც გაუტეხელი სულითა და ენერგიით შეუდგა საქმეს, მე რაღა ღმერთი გამიწყრაო და მტკიცე ნაბიჯით

გამოვიდა ქოხიდან. გადამწყვეტი ბრძოლა შოტლანდიელებმა მოიგეს. ეს იყო ისტორიაში კარგად ცნობილი ბანოკბერნის ბრძოლა.

იმ ობობასავით, ქართველი ხალხი სულ ქსოვდა თავის ბედს. მტერი უნგრევდა ქვეყანას, ის აშენებდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის მსგავსი გმირები არ უფრთხოდნენ მტრის მრავალრიცხოვნებას და დამპყრობელი ქვეყნის სიდიდეს. მათთვის მთავარი სიმართლისათვის თავგანწირვა იყო.



ხევსურეთის აჯანყებიდან მოყოლებული, შეფიცულთა მდგომარეობა გართულდა, დევნა გაძლიერდა. 1923 წლის ზამთარი და გაზაფხული უამრავი სიძნელით იყო სავსე.

ჩეჩნეთიდან დაბრუნების შემდეგ, „დამკომთან“ მიწერ-მოწერის გამო, ქაქუცა თბილისში გამოიძახეს ამ ორგანიზაციის წევრებთან შესახვედრად. ამ დროს რაზმი გომბორის მთის ჩრდილოეთით, შროშანის ტყეში ბინადრობდა. ეს ტყე თელავის მაზრაში, ზემო ხოდაშნის სათავესთან მდებარეობს. ერთ დღეს ქაქუცამ რამდენიმე კაცი გაგზავნა ყვარელ-საბუეში თავის ხალხთან მოსალაპარაკებლად. ერთი მათგანი შეფიცული სოსო ლოსაბერიძე იყო. მან თვითონ თხოვა მეთაურს იქ წასვლა. რამდენადაც სოსო კარგად იცნობდა ამ მხარეს, ქაქუცამ უარი აღარ უთხრა და საპასუხისმგებლო საქმე დაავალა. ლოსაბერიძე, 40-45 წლის კაცი, ცხენოსანთა ათასეულის ყოფილი მებრძოლი იყო. მას ათასეულში ბოლშევიკ სამხედრო კომისართან მოუხდა ჩხუბი, რის გამოც დაატუსაღეს. ლოსაბერიძე ეროვნული მოძრაობის წევრებმა გააქციეს და კახეთში მალავდნენ, სწორედ ყვარელ-საბუეში. ამიტომ კარგად იცნობდა ამ მხარეს. ქაქუცამ მას თან ერთი ჩეჩენი მებრძოლი, სახელად ელჩი გააყოლა. ეს ჩეჩენი, ჩეჩნეთში ყოფნისას, ქაქუცას გამოჰყოლოდა სხვა ოცდახუთ ჩეჩენთან ერთად. მათ ჩოლოყაშვილის რაზმში რამდენიმე ხანს დაჰყვეს, მერე უკან გაბრუნდნენ. მხოლოდ ეს ერთი ელჩილა შემორჩა, 45 წლამდე ასაკის, კარგი გარეგნობის კაცი. პირველივე დღეს დაიწყო გაგზავნილებმა მოლაპარაკებები, ის ღამე ტყეში გაათიეს. მეორე დღეს კვლავ უნდა გაეგრძელებინათ თავიანთი საქმე. ჩეკისტებმა წამსვე გაიგეს მათი სოფელში ჩასვლის ამბავი, გულდასმით დახვედრეს მათი ადგილსამყოფელი, თორმეტი კაცით ალყაში მოაქციეს და სროლა აუტეხეს. ლოსაბერიძე და ჩეჩენი რაღაც სიმაგრეს მოეფარნენ. მალე ჩეკისტებმა სროლა შეწყვიტეს. სოსომ თავი ამოჰყო იქაურობის მოსათვალისწინებლად, ჩეკისტებმა ესროლეს და იქვე მოკლეს. ჩეჩენი არ დაიბნა უცხო გარემოში და ჩეკისტებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, წვალებით გაიგნო გზა და გარკვეული ხნის შემდეგ კვლავ შეუერთდა ქაქუცას რაზმს. რაზმელები განიცდიდნენ მის დაკარგვას, მკვდარი ეგონათ და რცხვენოდან ჩეჩნების წინაშე, ერთი კაცი დაგვიტოვეს და როგორ ვერ მოკუარეთო. ამიტომ მისი გამოჩენა რაზმში ზეიმად იქცა. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ გზავნიდნენ საბრძოლო დავალებათ. ჩეჩენ ელჩს კერვა და დალაქობა ეხერხებოდა, სათნო ბუნების ადამიანი იყო და რაზმელებზე ყოველნაირად მზრუნველობდა. აგვისტოს დღეებში მან ბევრი რამ გააკეთა ქართველებისათვის.

•

ქაქუცას თანაშემწე – შალვა ფავლენიშვილი, ხევსურეთის აჯანყების დროს მოწყდა ჩოლოყაშვილის ბანაკს. არავინ იცოდა მისი გზა-კვალი. შალვას მოვალეობას სოსო ლოსაბერიძე ასრულებდა. ახლა კი, მისი სიკვდილის შემდეგ, თანაშემწის მოვალეობა ელიზბარ ვაჩნაძეს დაავალა ქაქუცამ. ფავლენიშვილი მას ძალიან უყვარდა. 1922 წელს, ხევსურეთის აჯანყების წინ, მან ქაქუცას ათკალიბრიანი თოფი აჩუქა, რომელიც ქართველებს სომეხი ტერორისტებისათვის ჰქონდათ წართმეული. ასეთი თოფი საქართველოში სულ ორი იყო. ქაქუცას ძალიან გაეხარდა საჩუქარი. როდესაც ფავლენიშვილი დაიკარგა, მეთაური მას ეძებდა, მაგრამ რას იპოვიდა. როგორც შემდეგ გაირკვა, შეფიცულთა რაზმთან გაყრილი ფავლენიშვილი თბილისში დაბრუნდა და სანამ რაზმს იპოვიდა, დის ოჯახს შეეკედლა. გაიგო თუ არა მისი იქ ყოფნის ამბავი „ჩეკამ“, სახლს ალყა შემოარტყა. სროლისას დაიჭრა შალვას და. როდესაც ტყვიით დაჭრილი და გასისხლიანებული და დაინახა, შალვამ იფიქრა, რომ მომხდურს ველარც ის დაუსხლტებოდა და მათ ხელში ჩავარდნას თვითმკვლელობა ამჯობინა.

•

ქაქუცას რაზმში იბრძოდა იოსებ კახაშვილი. იგი სოფელ გრემოდან იყო და 1923 წელს შეუერთდა შეფიცულებს. კახაშვილი I ცხენოსანი ათასეულის ყოფილი ოფიცერი იყო, ქაქუცასთან ერთად ნამსახური. მივიდა თუ არა რაზმში, ქაქუცამ თანაშემწედ დანიშნა და რადგან გრემოდან იყო, თავის რაიონში, შილდა-ყვარელში დაავალა ხალხთან ურთიერთობა. იოსებს ორი კაცი გააყოლა, ერთი შალვა კანდელაკი და ერთიც პანკისელი ქისტი. ახალი დაღამებული იყო. შეფიცულები ჩქარობდნენ. ამ დროს კარზე ბრახუნი გაისმა. უეცრად მილიციამ ალყა შემოარტყა სახლს, კახაშვილი კართან მივიდა და მილიციონერს შეეჯახა, ძირს დასცა, მაგრამ მეორემ ესროლა და მოკლა. სახლიდან გამოვარდნილი შალვა კანდელაკი მკერდში დაიჭრა, მაგრამ გაქცევა მოახერხა, გაბედულად იბრძოდა ქისტი რაზმელი, მანაც დააღწია თავი მტრის ალყას. დაჭრილმა კანდელაკმა დიდხანს იარა, ძალა გამოელია და სოფლის ბოლოს, ერთ ბოსტანში დაიმალა. დილით მოხუცი ქალი მოვიდა, უცხო კაცი რომ დაინახა, შეშინდა. დაჭრილმა დაამშვიდა, უთხრა ვინც იყო, ჩოლოყაშვილის რაზმიდან ვარ, წუხელ სროლისას დამჭრეს, დაღამებისას ჩემი ამხანაგები მოვლენ და წამიყვანენ, არავის უთხრა ჩემს შესახებო. ქალმა პირობა მისცა, მაგრამ მაინც წამოსცდა საკუთარ ვაჟთან, რომელიც კომკავშირელი ყოფილა, ისე, რომ დედამ არ იცოდა. მან მაშინვე მილიციას შეატყობინა. კანდელაკი დაიჭირეს და წაიყვანეს თელავში, რადგან სამაზრო „ჩეკა“ იქ იყო. გზაში ავინებდა კომუნისტებს, ემუქრებოდა, დრო მოვა და ყველას გაგასამართლებენ, როგორც საქართველოს მოღალატეებსო. ჭრილობები შეუხვიეს, მაგრამ გაიგლიჯა, როდესაც დარწმუნდა, რომ ველარსად წავიდოდა, აწამებდნენ და შეეცდებოდნენ თავიანთთვის სასურველი ინფორმაციის გამოძალვას, ბოლოს კი დახვრებდნენ, თვითონვე გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს: რკინის ფანჯრებიდან ჟანგი

აფხიკა, ჭრილობაზე დაიყარა და შეგნებულად მოიწამლა სისხლი. მართლაც, იგი გარდაიცვალა.

ქაქუცა სულ იცვლიდა სტრატეგიას. 1923 წლის გვიან შემოდგომაზე, როცა ცივის ტყეში დაბინავდნენ, პირველივე დღეს დაესხათ მღევარი. იძულებული გახდნენ, მშვენივრად მოწყობილი სადგურები მიეტოვებინათ და აბარგებულყვნენ. მიდიოდნენ იქით, საითაც ჩოლოყაშვილი მიუთითებდათ. ახლაც იკითხეს, საით წავიდეთო. ქაქუცამ თქვა: ახლა ჩვენზე დიდი მღევარი წამოვა, გზას შეგვიკრავენ, ჯობია, აქვე ახლოს გავატაროთ რამდენიმე დღე სიჩუმეში და მერე ვნახოთო. ეგენი აზრზე ვერ მოვლენ, თუ ჩვენ ასე ახლოს გავერდებითო. სულ ერთი კილომეტრით გადაიწიეს იმ ბინიდან, სადაც შეტაკება მოუხდათ. ერთი კვირა დარჩნენ, გამოელიათ საკვებიც და თამბაქოც. ბედად, ბინიდან ცოტა მოშორებით, ერთ რაჭველ მენახშირეს წააწყდნენ, რომელსაც ნახშირის გამოსაწვავი ქურა ჰქონდა. თელავში, ვირით, ყოველდღე მიჰქონდა ნახშირი გასაყიდად. თამბაქო მისი დახმარებით მოიმარაგეს, საჭმელი კი, – დიდი სიფრთხილით ძველ ბინაზე დაბრუნდნენ და იქიდან წამოიღეს. იქ ფქვილის და ხორცის მარაგი ჰქონდათ დარჩენილი. ხშირად, კომუნისტები მათ მიტოვებულ პროდუქტებს წამლავდნენ, თუ დაბრუნდებიან, მოიწამლებიანო. ესეც ბრძოლის ხერხი იყო მათთვის, ამიტომ მხოლოდ ძალიან მძიმე გასაჭირის დროს თუ უბრუნდებოდნენ ნაბანაკარს შეფიცულები და იქიდან რაიმე მოჰქონდათ. საგულდაგულოდ შემოწმების გარეშე, ასეთ პროდუქტს არც ჭამდნენ.

ქაქუცას, ზოგჯერ, ცუდი სიზმარი უწამლავდა ხასიათს. საველე მდგომარეობაში, მუდმივ დევნაში მცხოვრებ რაზმელებს, ბუნებრივად ეუფლებოდათ მძიმე განწყობილება. თუმცა, უფრო მეტად მხიარულობდნენ, მღეროდნენ, კაფიებსა და ლექსებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ყვებოდნენ საინტერესო ამბებს. ეს ბრძოლების შუალედში, შესვენებისას ხდებოდა. ხანგრძლივი ხეტიალი ხშირად ფიტავდათ, შიმშილი, სიცხე, უძილობა, ჩვეულებრივი ხვედრი იყო თავგანწირული რაინდებისა და ისინიც ამას უსიტყვოდ იტანდნენ. რამდენჯერ, დაღლილებს, გზაში, თოვლიან და ყინულიან ქვებზე რამდენიმე წუთით თუ ერთ-ორი საათით წაუძინიათ. შეყინვით წვერულვაში, ფეხები ისე დაჰბუჟებიათ, ლამის წართმევიათ კიდურები, მაგრამ რწმენა არ დაუკარგავთ, გამარჯვების, საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის აუცილებლობის რწმენა.

ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებს ქაქუცასთან დაკავშირებულ ერთ შემთხვევას: ცივის მთაზე, 1923 წლის ზამთარში,

ერთ ტევრში ახალი დაბინავებული იყვნენ და ყველას ეძინა. შუალამისას ქაქუცამ უცებ გაიღვიძა, გააღვიძა ელიზბარ ვაჩნაძე და ალექსანდრე სულხანიშვილიც და უთხრა, სასწრაფოდ გამოეფხიზლებინათ მეომრებიც. მათ გაუკვირდათ და მიზეზი ჰკითხეს. ცუდი სიზმარი ვნახეო, – პირქუშად თქვა სარდალმა, ქართველმა ქალმა მითხრა, სასწრაფოდ წაიყვანე აქედან რაზმიო. არ ესიამოვნათ. სულხანიშვილმა სანოვაგეზე გაგზავნილი სამი რაზმელი გაახსენა, როგორღა მოგვაგნებენო, ვაჩნაძემ ურჩია, დილაამდე ნუ წავალთ, რაზმელები

ახალდაძინებული არიან და ნუ გავაღვიძებთ, გაგზავნილებიც მოვლენ და დილით წავიდეთო. გადაწყვიტეს და კვლავ დაიძინეს. განთიადის ოთხი საათი იქნებოდა, ქაქუცამ მეორედ რომ გააღვიძა მეგობრები, იგივე ქალი დამესიზმრა, მითხრა აქედან წადითო და გადაჭრით უბრძანა, გააღვიძეთ ბიჭები, ახლავე უნდა წავიდეთო. რაღა უნდა ექნათ, ყველა წამოიშალა ბანაკიდან და სხვა ადგილზე გადაინაცვლეს. სულხანიშვილი წერს: „ცხადად აგვიხდა იმ დამეს ქაქუცას სიზმრად ნანახი, და ალბათ, განგებისაგან მხსნელ ანგელოზად მოვევლინა ის ქალი არაერთ ჩვენგანს“...

დილით შეიტყვეს, რომ გამთენიისას მილიციის დიდი რაზმი სროლით შემორტყმოდა იმ ბინას, შიგ რომ ვერავინ უნახავთ, სროლა შეუწყვეტიათ და იქვე ჩასაფრებულან. სამწუხაროდ, სანოვაგეზე გაგზავნილი რაზმელები მობრუნებულან. ორი მათგანი მილიციას მოუკლავს, მესამე გაქცეულა, ეს მესამე – ლაღო ოზანელი შემდეგში შეუერთდა ქაქუცას რაზმს. ეს ამბავი რომ გაიგო ქაქუცამ, სცადა დაღუპული რაზმელების – ხელადისა და ბაკურადის გვამები როგორმე ტყიდან გამოეტანა და დაესაფლავებინა. ვერ მოახერხეს, მოკლულები უკვე თელავში წაეღოთ.

კახეთიდან იანვარ-თებერვალში თიანეთ-დუშეთის მაზრაში გადავინენ. გაზაფხულამდე იქ ბინადრობდნენ. ბრძოლა პარტიზანული იყო და სულ მოძრაობდნენ. ქაქუცა ყოველთვის იმარჯვებდა, მაგრამ ტოვებდა იმ ადგილს, სადაც იბრძოდა, ბოლოს კი ამ ნაბრძოლ ადგილებს ხელისუფლება იკავებდა. მიზანი ჩოლოყაშვილისა ის იყო, რომ კომუნისტურ ხელისუფლებას, რომელსაც იგი რუსებს ეძახდა, მშვიდად არ ეგრძნო თავი, არ ჰგონებოდა, რომ ქვეყანა დანებდა, ხალხი შეურიგდა ოკუპანტებს. თვით ხალხშიც არ უნდა ჩამქრალიყო გამარჯვების რწმენა, ქაქუცა რომ გაიმარჯვებდა რომელიმე უბანზე, ის უბანი შემდეგ იქაურებს უნდა გაემარებინათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდებოდა. ძალადობრივი რეჟიმი იარაღით ამყარებდა „წესრიგს“, ტყვიით, გადასახლებით, მუქარით იმორჩილებდა ხალხს. აწიოკებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, მონურ სულისკვეთებას უნერგავდნენ, მოითხოვდნენ საბჭოური სისტემის თაყვანისცემას, ყოველგვარი ეროვნულის სანაცვლოდ, ინტერნაციონალური იდეების ერთგულებას. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ნამდვილი გმირი იყო, ამ საშინელ სისტემას რომ შეებრძოლა, როგორც კეთილი რაინდი ურჩხულს. როდესაც რაზმში უცხო ახალგაზრდა მიდიოდა, მამაშვილურად, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი, ისე ექცეოდა, ესაუბრებოდა, ისე გულთბილად უხსნიდა მომავლის მიზნებსა და საბრძოლო ამოცანებს, რომ მორალურად დაცემულ ადამიანსაც კი ფეხზე წამოაყენებდა და გმირად აქცევდა. ეს იყო მისი, როგორც სარდლის, ლიდერის, ეროვნული გმირის თვისება. როგორი მშიშარაც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, ისე მოექცეოდა, ისე გამოწვრთნიდა და მოამზადებდა სულიერად, სულ გადაახალისებდა და დიდ ვაჟკაცად აქცევდა. ამას მისი თანამებრძოლები წერენ და მისი ბრძოლის ისტორიაც ამაზე მეტყველებს. მის შეფიცულებს ქართული ჩონა-ახალუხი ეცვათ, ტანსაცმელშიც ქართულ სულს დებდა და ცხოვრების წესშიც. ილია ჭავჭავაძის იდეებზე გაზრდილი ქართველი ვაჟკაცი, ამას ბუნებრივად აკეთებდა. ვინც ბანაკში მოვიდოდა, ყველას ჯერ თვითონ

გაესაუბრებოდა, ფსიქოლოგის ნიჭით ჩასწვდებოდა მის აზრებს, შემდეგ კი სხვა შეფიცულებს აძლევდა მათთან ურთიერთობის ნებას.

ქაქუცას არ მოსწონდა პარტიული დაპირისპირება და ბანაკში აკრძალული ჰქონდა რომელიმე პარტიის გინება. მე ვცდილობ ხალხი შევაკავშირო, კი არ დავაშორო და გადავკიდო. მისი სიტყვა კანონი იყო შეფიცულთათვის და მასთან კამათს არავინ მართავდა. არც რაიმე იყო საკამათო. მისი აზრები ყოველთვის მართალი და ქვეყნისთვის სასარგებლო იყო. დაპირისპირება და უთანხმოება ყველაზე მძაფრად 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისას გამოჩნდა.

●
1924 წლის აჯანყება საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებად იყო ჩაფიქრებული. ის უნდა მომხდარიყო არა მარტო მთელ საქართველოში, არამედ კავკასიის მასშტაბით. მასში უნდა ჩაბმულიყვნენ ჩეჩნეთი და აზერბაიჯანი. 1923 წლის ბოლოს პარიზიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდნენ გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი, სოციალ-დემოკრატი, თბილისის ყოფილი ქალაქის თავი, მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი აჭარასა და აფხაზეთში ბენია ჩხიკვიშვილი, ყოფილი მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ზომერიკი. აჯანყების მეთაურებს ისინი ამხნეებდნენ და საერთაშორისო მხარდაჭერის იმედს უწერგავდნენ. ასეთი მხარდაჭერა კი მაშინ არ არსებობდა, რის გამოც არც ნოე ჟორდანიას, არც ირაკლი წერეთელი* და ემიგრანტული მთავრობის სხვა წევრები აჯანყებას არ უჭერდნენ მხარს. აჯანყების მომხრე იყო ნოე რამიშვილი.* 1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში მოწვეული იქნა დამკომის გაფართოებული კრება. სამხედრო კომიტეტის მთავარსარდალმა – სპირიდონ ჭავჭავაძემ* ჩაიბარა ანგარიში საბრძოლო რაზმების მზადყოფნაზე, საკმარისად მიიჩნია არსებული სამხედრო ძალები და ჩატარებული ტექნიკური სამუშაოები, აჯანყების დასაწყებად დაინიშნა დრო – 17 აგვისტო. ამავე კრებაზე სიტყვა წარმოთქვა დამკომის თავმჯდომარის მოადგილემ იასონ ჯავახიშვილმა, რომელიც აჯანყების ყველაზე პრინციპული მომხრე იყო. აჯანყების სარდლობა სპირიდონ ჭავჭავაძეს უნდა გაეწია.

გეგმის მიხედვით, პირველად თბილისი უნდა აჯანყებულიყო. ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავისი რაზმებით თბილისიდან 20 კილომეტრზე, სოფელ ნახშირგორასთან დაბანაკდა. იქ მოიყარეს თავი მიხეილ ლაშქარაშვილის და ნაცვლიშვილის რაზმებმა, დუშეთისა და დიღმის რაზმებმა, კაპიტან ვაჩნაძის, ბორჩალოსა და მანგლისის რაზმებმა.

ამ დროს ვაზიანში დაბანაკებული იყო რუსული არტილერია. საჭირო იყო ამ ძალის ხელში ჩაგდება, რაც პოლკოვნიკ ი. ცაგურიას რაზმს უნდა მოეხდინა, რათა რუსებისათვის ჩამორთმეული ზარბაზნებით მიდგომოდნენ თბილისს, ნავთლულის მხრიდან. ი. ცაგურიას განკარგულებაში გადავიდნენ თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები. აჯანყების დაწყება უნდა ეცნობებინათ ჩრდილო კავკასიელებისათვის.

„ჩეკამ“ ყველაფერი გააკეთა აჯანყების ჩაშლისა და კრახისათვის. მათ მიაგნეს შეთქმულების მეთაურთა კვალს და დააპატიმრეს გიორგი

წინამძღვრიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი ფალავა, გ. ჯინორია და სხვები. 6 აგვისტოს დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილიც. საპატიმროდან წინამძღვრიშვილმა და ჯუღელმა მიწერეს „დამკომს“ – ხელი აეღოთ აჯანყებაზე. ვალიკო ჯუღელს მოტყუებით ათქმევინეს აჯანყების დაწყების თარიღი. „დამკომის“ წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ წერილის ავტორი სინამდვილეში „ჩეკა“ იყო, ამიტომ პასუხში აღნიშნეს, რომ „გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არ დგას და არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთ“. მაგრამ „ჩეკა“ ამით არ მოტყუვდა. დაიწყო თბილისის გამაგრება, გზების შეკვრა, პატრულირების შემოღება ლამის საათებში, საეჭვო სამხედროების დაპატიმრება. ბათუმში დააპატიმრეს გენერალი ფურცელაძე, რომელსაც აჭარის ჩართვა ევალეობდა აჯანყებაში, გურიაში გენერალი ყურაშვილი აიყვანეს. ამან მთავარსარდალზე ცუდად იმოქმედა, მას გამარჯვების იმედი გაუქრა და „დამკომს“ განუცხადა კიდევ, რომ „ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელი ხდებოდა“. „დამკომის“ თავმჯდომარე იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით ითხოვდა აჯანყებას, რომელიც, მისი აზრით, დაწყებული იყო და ახლა შეჩერება მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. მან მოითხოვა მთავარსარდალის გადაყენება და სპირიდონ ჭავჭავაძის ადგილზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანიშვნა, რაზედაც „დამკომი“ არ დაეთანხმა.

თბილისის ახლოს დაბანაკებული ჩოლოყაშვილის რაზმი სწავლობდა „ჩეკას“ შენობას, მასზე თავდასხმის მოსამზადებლად საჭირო იყო ყველაფერი წინასწარ და გულდაგულ შემოწმებულიყო. ეს შენობა იმ გიმნაზიის გვერდით მდებარეობდა, სადაც ქაქუცა სწავლობდა. შეფიცულებს აინტერესებდათ, ვინ ცხოვრობდა „ჩეკასთან“ ახლოს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სანდო ოჯახი აერჩიათ, თუკი დაჭირდებოდათ იქ დამალვა. ასევე უნდოდათ ყარაულების შეცვლის ზუსტი დროის გაგება, რა ძალა იცავდა „ჩეკას“. გამუდმებით გზებზე დაქროდნენ შეფიცულთა აგენტები, მიჰქონდათ და მოჰქონდათ საჭირო ცნობები. ერთ დღეს, ამ ადგილების თვალყურებისას, დაინახეს, რომ ეკლესიაში არავინ იყო, შევიდნენ შიგნით, ილოცეს და მღვდელსაც დაალოცვინეს თავი. გაუმხილეს ვინც იყვნენ, ოღონდ ქაქუცას ვინაობა დამალეს. მღვდელს გაეხარდა და გულითადად დალოცა მებრძოლები. უნდა ითქვას, რომ ეკლესია იმთავითვე შეფიცულებს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს ედგა მზარში. განსაკუთრებით ეს ითქმის კათალიკოს ამბროსი ხელაიაზე. ის მზად იყო წასულიყო კახეთში. როგორც ალექსანდრე ასათიანი წერს, იმისათვის, რათა ქაქუცას რაზმს კახეთ-მთიულეთიდან ჯვრით ხელში გამოჰყოლოდა.

„დამკომმა“ უარი თქვა, აჯანყების ცენტრად თბილისის არჩევაზე, რადგან დედაქალაქი მთავრობის მიერ საიმედოდ იყო გამაგრებული. ცენტრი ქაქუცა ჩოლოყაშვილის საბრძოლო ადგილები უნდა ყოფილიყო.

„დამკომის“ თავმჯდომარემ – გიორგი ანდრონიკაშვილმა ჩრდილო კავკასიაში გაგზავნა ექიმი მიხეილ იშხნელი, რომელიც თავიდანვე აჯანყებას ემხრობოდა. იშხნელმა ინახულა ალი მიტაევი და მისგან გაიგო, რომ მთა მზად იყო აჯანყებისათვის. ამ ცნობით დაბრუნდა იშხნელი თბილისში. კოტე ანდრონიკაშვილმა და იასონ ჯავახიშვილმა პირადად მოინახულეს

პასუხისმგებელი ოფიცრები, ქალაქებიდან და მაზრებიდან მოწვეული რაზმების მეთაურები და გააფრთხილეს, მზად ყოფილიყვნენ აჯანყებისათვის. აზერბაიჯანთან კავშირის დამყარება ველარ მოხერხდა, რადგან ამ საქმეზე გამოყოფილი გ. ფალავა დაიჭირეს. ამიტომ გეგმაში დარჩა საერთო აჯანყება საქართველო-ჩეჩნეთის მონაწილეობით. მაგრამ ჩეჩნეთთან მალე კავშირი გაწყდა. ამ კავშირის აღსადგენად გაგზავნეს ზურაბ ავალიშვილის ძმა – ვანო ავალიშვილი. მას ალი მიტაევი დაჭერილი დახვდა.

„დამკომმა“ მთავარსარდლად ისევ სპირიდონ ჭავჭავაძე დატოვა, მაგრამ დამუშავებული გეგმა შეცვალა. აჯანყება გადაიდო 29 აგვისტოსათვის. „დამკომმა“ ამ ამბის შესატყობინებლად ქაქუცასთან სოლომონ ზალდასტანიშვილი* გაგზავნა და თან ინსტრუქცია მისცა, ისე წარემართა მოლაპარაკება, რომ ქაქუცასაც მხარი აგვისტოს ბოლოს გამოსვლის გეგმისთვის დაეჭირა. ქაქუცა თავდაპირველად უარზე იყო, რადგან ხალხი უკვე შეკრებილიყო, შორი მანძილიდან მოსულებისა და უკვე საბრძოლველად მომზადებულთა დაშლა, უკან, სახლებში გაგზავნა და მერე ხელახლა შეკრება გაძნელებოდა. ხოლო იმ ადგილებში, სადაც იმჟამად იმყოფებოდნენ, ქაქუცა ორი კვირა მებრძოლებს ვერ შეინახავდა. სახლიდან ყველას მხოლოდ სამი დღის საგზალი ჰქონდა წამოღებული. თუ გადადება აუცილებელი იყო, ქაქუცა თანახმა იყო აჯანყება ოქტომბრის მეორე ნახევარში მომხდარიყო, როდესაც გლეხები უფრო თავისუფალნი იყვნენ და შეკრებასაც უკეთ შეძლებდნენ. „დამკომი“ მის წინადადებას არ დაეთანხმა, აჯანყების თარიღად 29 აგვისტო საბოლოოდ გადაწყდა. ამასობაში, ცუდი ამბები ხდებოდა: საბრძოლველად მისულები იფანტებოდნენ, ჩოლოყაშვილს 600 კაციდან სამოცილა შემორჩა. პარტიებიც ვერ თანხმდებოდნენ, ზოგი აჯანყებას უჭერდა მხარს, ზოგი – არა. „ჩეკაც“ მიყოლებით იჭერდა აჯანყების თანამგრძნობ პირებს. დაიჭირეს ყოფილი მიწათმოქმედების მინისტრი, ემიგრაციიდან აჯანყებისთვის დაბრუნებული ნოე ხომერიკი, ასევე: ფალავა, ბელთაძე, კახიანი და სხვები. ქაქუცამ ორი ჯგუფი გაგზავნა ქართლის სოფლებში და ღუშეთისაკენ. ერთს მიხეილ ლაშქარაშვილი მეთაურობდა. მას დავალებული ჰქონდა მილიციის განიარაღება. ღუშეთის რაზმს კი უფრო ძნელი დავალება მიეცა, რადგან იქ მეტი წინააღმდეგობა ელოდათ. ამ რაზმში შედიოდნენ: გაბო ოზიაშვილი, მალაქია მაისურაძე და კოხტაშვილი.

25 აგვისტოს ქაქუცას რაზმში მივიდა იასონ ჯავახიშვილი, 27 აგვისტოს კი „დამკომის“ მთელი შემადგენლობა გამოცხადდა, ანდრონიკაშვილის მეთაურობით. „დამკომის“ წევრები მებრძოლებს გაჰყვნენ, თუმცა ხელს უშლიდნენ, რადგან სიარული უჭირდათ. ქაქუცამ მხოლოდ სპირიდონ ჭავჭავაძე და შალვა ამირეჯიბი* დაიტოვა, „დამკომის“ მთელი შემადგენლობა კი ქვათახევის მონასტერში მიიყვანა და იქაურ ბერებს ჩააბარა. მათ სადარაჯოდ დატოვა ჯავახიშვილი და ჩრდილოკავკასიელი ჩეჩენი – ელჩი.

29 აგვისტოს დილით ქაქუცას რაზმში მივიდა მაცნე, რომელმაც თავზარდამცემი ამბავი მოუტანა: ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს გამოსვლა მოხდა ჭიათურაში, ეს იყო ღალატი, რადგან მთავრობა უკვე ორგანიზებული იყო თავისი რაზმებით და 29 აგვისტოს აჯანყებას ადვილად გაუსწორდებოდა.

ასეც მოხდა. გამოსვლა 29 აგვისტოს შუალამის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო. ეს გადაწყვეტილება ხუთმა კაცმა მიიღო. ქაქუცა ჩოლოყაშვილი აჯანყების დაწყებისათვის სხვა თარიღს ითხოვდა, მაგრამ არ დაუჯერეს. „დამკომის“ პარტიული წარმომადგენლები ვერ თანხმდებოდნენ. ძველი კომიტეტის პარალელურად ახალი განყოფილება შეიქმნა, რაზედაც იასონ ჯავახიშვილს ზალდასტანიშვილმა და იშხნელმა პროტესტი განუცხადეს. ეს ყოველივე საქმეს ხელს უშლიდა. „დამკომის“ ახლადარჩეული თბილისის განყოფილება, მისი წევრები საქმის ვითარებას კარგად არ იცნობდნენ და მათი აჯანყებისადმი მიდგომა ზერელე იყო. არადა, ამ განყოფილებას დიდი საბრძოლო ამოცანა დაეკისრა, მას ექვსი დავალება უნდა შეესრულებინა: აელო და დაეკავებინა ფოსტა-ტელეგრაფის, ჯავშნოსანი ავტომობილების, „ჩეკას“, კურსანტების, ჯავშნოსანი მატარებლებისა და საავიაციო ბაზის შენობები. ამ ამოცანების შესასრულებლად რაზმები მზად იყვნენ და განკარგულებას ელოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში გაიგზავნა შვიდი ოფიცერი მაიორ ბერიძის მეთაურობით. იქაც 29 აგვისტოს, შუალამის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო გამოსვლა. 27 აგვისტოს „დამკომმა“ ქაქუცას ბანაკიდან იასონ ჯავახიშვილის წერილი მიიღო. იგი კმაყოფილებას გამოთქვამდა ამ ბანაკის მზადყოფნით. თბილისი ამოდრავდა. ხალხს იმედი მიეცა, ოფიცრობა აღარაფერს ერიდებოდა, ყველა ქაქუცასთან გაგზავნას ან რომელიმე რაზმში ჩაწერას ითხოვდა. „ჩეკა“ თითქოს აღარც არსებობდა, ხალხი ისე პირდაპირ ლაპარაკობდა აჯანყებაზე 28 აგვისტომდე. 28-ში კი, ჭიათურის გამოსვლით, თითქოს ყველაფერი გაფუჭდა, ერთიანი აჯანყების გეგმა ჩაიფუშა. ინიციატივა კვლავ „ჩეკამ“ აიღო. გამოცხადდა სამხედრო წესები, გამაგრდა ყველა ის ადგილი, რომელიც „დამკომს“ უნდა აელო. 29 აგვისტოს ღამით დაიჭირეს კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელები და დახვრიტეს. ერთი იმედიღა დარჩა: ქაქუცა თავისი რაზმით მანგლისის მხრიდან და პოლკოვნიკი ცაგურია ვაზიანის მხრიდან მოადგებოდნენ თბილისს და აქ მყოფი რაზმები მათ შეუერთდებოდნენ. მაგრამ თბილისში არავითარი ცნობა არ მოდიოდა. მხოლოდ 31 აგვისტოს გამოჩნდა პოლკოვნიკი ცაგურია, შემოიპარა თბილისში და შეხვდა „დამკომის“ წევრებს, აუხსნა თავისი მდგომარეობა, როგორ ჩაეშალა ვაზიანზე შეტევა, რადგან მათთან არ გამოცხადდნენ მებრძოლები და სოფელ პატარძელთან როგორ შეებრძოლა კომუნისტურ მილიციას.

ჭიათურის ამბების გამო, არც ქაქუცა და მისი მებრძოლები იყვნენ ხასიათზე, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს მანგლისზე გალაშქრება, სადაც სამხედრო კურსანტების ყაზარმები იყო. სამოცდაათკაციანი რაზმით, ქაქუცამ ყაზარმებს შეუტია. ექვსი კაცი გამოყო, ალექსანდრე სულხანიშვილის მეთაურობით და დაავალა, რომ დაეტუსალებინათ როგორც ბატალიონის უფროსი, ასევე კურსანტების მეთაური, რომლებიც ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ქაქუცამ მათ მანგლისელი დიაკვანი გააყოლა, რომელიც იქაურობაში კარგად ერკვეოდა. შვიდეული დაატუსალებდა ან დახოცავდა მეთაურებს, ამის შემდეგ კი რაზმი დაეცემოდა ყაზარმებს. ღამეში დიაკვანი ისე დაიკარგა, ვერ გაიგეს, უღალატა რაზმელებს, თუ, უბრალოდ, შეშინდა ან ემძიმა ასეთი დავალება. ამასობაში

ქაქუცას კაციც დაეწიათ, ის უკან დაბრუნებას თხოვდა. მისი აზრით, ძალების გაფანტვა ასეთ რთულ ადგილას და ისიც ბნელ ღამეში, არასწორი იქნებოდა. მეთაურმა სამად გაანაწილა ძალები: მარჯვენა ფრთაზე სულხანიშვილი დააყენა 15 ბორჩალოელი თათრით, მარცხენა ფრთაზე ელიზბარ ვაჩნაძე გაგზავნა 20 კაცი, შუაში კი ჩააყენა მიშა ნაცვლიშვილი და რაფო ერისთავი, ორივეს რამდენიმე კაცი მისცა. ერთ-ერთ შეფიცულს ყაზარმაში ბომბი უნდა შეეგლო, რის შემდეგაც დაიწყებდნენ ბრძოლას. ბომბი არ გასკდა, არადა, ერთის მეტი არ ჰქონდათ. დაიწყო სროლა. კურსანტებმა ტყვიამფრქვევი გადმოდგეს ფანჯრიდან, მაგრამ გამოუცდელეებმა, თავდამსხმელებს ვერ აჯობეს. ნახევარ საათში ბრძოლა შეწყდა. ქაქუცამ აჩვენა თავისი ძალა მანგლისში დამდგარ რუსის ჯარს და ღუშეთის გზით წავიდა, პატიმრების გასათავისუფლებლად. მართლაც, გაანთავისუფლეს ის ხალხი, რომელთაგან ბევრს დახვრეტა ელოდა. მათ შორის იყვნენ მერაბ ჯორჯაძე და შალვა ნებიერიძე, რომლებიც ქაქუცას რაზმს შეუერთდნენ. მანგლისის ბრძოლაში გამოჩნდა, რომ ხალხი არ იყო ორგანიზებული, მებრძოლები არ ემატებოდნენ აჯანყებულებს, ქაქუცა მარტო დარჩა და რამდენიმე ათეული კაცი ვერ აასრულებდა დასახულ მიზანს.

ჭიათურაში აჯანყებულები ხელისუფლებამ სასტიკად დასაჯა. ისინი მატარებელში შეყარეს და დაბა ყვირილაში დახვრიტეს.

იცოდა რა, რომ აჯანყებას წარმატება აღარ ელოდა, ქაქუცა და მისი რაზმელები ბოლო ბრძოლებს მართავდნენ. „მსგავსად კელა ნაჭაში მომწყვდეული ღათვისა, რომელიც არაფერს არ ერიდება, სადაც კი დავეცი, ტყავი გავაძრეთ კომუნისტებს“, – იგონებს ალექსანდრე სულხანიშვილი.

ჩოლოყაშვილის ამ პერიოდის ბრძოლებიდან აღსანიშნავია თავდასხმა სვიმონიანთხევში დაბანაკებულ ცხენოსანი ჯარის ნაწილზე. ეს სოფელი ვაკე ადგილზეა, ჩრდილოეთიდან აკრავს მხოლოდ მაღალი გორა. აღმოსავლეთით ჩაუდის ხევი პატარა მდინარით. შუალამისას მიუახლოვდა ჩოლოყაშვილის რაზმი სოფელს. ქაქუცამ კვლავაც სამ ნაწილად გაჰყო თავისი რაზმები, როგორც ჩვეოდა და სხვადასხვა მხარეს გაგზავნა, თავად კი გორაკის დასაკავებლად წავიდა, თუ სხვებს გაუჭირდებოდათ, თავად იქიდან კარგად დაინახავდა და ადვილად დაეხმარებოდა. გარიჟრაჟამდე იბრძოდნენ მეომრები, ქაქუცას ზოგი მოწინააღმდეგე ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი შეფიცულებს ჩაუვარდათ ხელთ. მთელი სოფელი გამოიშალა და მადლობა გადაუხადა მებრძოლებს. მათ სოფლის მაღაზიის მთელი ავლადილება დაურთეს მოსახლეობას, თვითონ კი მილიციის 160 ცხენი დარჩათ, საიდანაც საუკეთესოები ამოირჩიეს, უნაგირებიც დაადგეს და შეფიცულთა რაზმი ცხენოსან გვარდიად იქცა. აქვე გაიგეს პირველად „დამკომის“ პროკლამაციის შესახებ, რომელმაც აჯანყება დამთავრებულად გამოაცხადა.

შეფიცულთა რაზმმა თიანეთის მაზრიდან თელავში გადაინაცვლა და აქაც სერიოზული ბრძოლები ჩაატარა, რომელთაგან გამორჩეულია ხევგრძელის ბრძოლა. ამ ბრძოლის ეპიზოდს შალვა ამირეჯიბი იგონებს. ქაქუცას აჯანყების შემოტრიალების იმედი ჰქონდა და ამის გაკეთებას კახეთიდან აპირებდა. ამიტომ მტრის ცხენები და იარაღი დაიტოვა, ტყვეები კი გაათავისუფლა, წერს იგი.

ხევრძელა პატარა მდინარეა ერწოსა და თიანეთის საზღვარზე, იგი ილტოს ერთვის და ალაზანში ისე ჩაედინება. ქაქუცამ რაზმი დაასვენა, რადგან ეს ადგილი უშიშარად ჩათვალა და ხალხი გაგზავნა სანოვაგისთვის. დანაყრების შემდეგ, თვალის მოსატყუებლად მიწვნენ. უცებ, ყარაულად გამწესებულმა ახალგაზრდამ მოიბრინა და აუწყათ, ტყეში რუსები შემოვიდნენო. ქაქუცა წამოიჭრა. ამასობაში მტერი სულ ახლოს მოვიდა, ტყვიამფრქვევი კაკანებდა და ხეებს ლეწავდა. ბანაკი შეინძრა და წუთში მოგროვდა. დარაზმული ხალხი სარდალმა სროლით და ყიჟინით მიუშვა წითელარმიელებზე, ოსტატურად შემოპარული მტერი ახლა ქვევით, ხევრძელის გასწვრივ გარბოდა. მართალია, ბრძოლამ სულ ცოტა ხანს გასტანა, მაგრამ მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მოწინააღმდეგისგან კარგად მოფიქრებული სამხედრო გეგმა იყო, რომელიც ქაქუცას შეპყრობას და განადგურებას ისახავდა მიზნად. მანგლისის შემდეგ კომუნისტები დასდევდნენ ქაქუცას, მაგრამ მის კვალს აგნებდნენ და ისევ კარგავდნენ. სიმონიანთხევში შეეჯახნენ, მაგრამ დამარცხდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ ჩოლოყაშვილი ერწოდან კახეთში გადავიდოდა, ამიტომ გზაშივე დაახვედრეს არტილერია და ჯარი. თუ ქაქუცას ხევრძელზე დაახვენიდნენ, იქ ჩასაფრებული ჰყავდათ სხვა ჯარი, აუცილებლად მოიმწყვდევდნენ და ან მკვდარს, ან ცოცხალს ჩაიგდებდნენ ხელში. როდესაც თვითონ მოწინააღმდეგე დაექანა ხევრძელაზე, იქ ჩასაფრებულებს ქაქუცას რაზმი ეგონათ და სროლა აუტეხეს. საკუთარ ხალხს ესროდნენ და კლავდნენ. ეს ამბავი რაზმმა კისისხევში გაიგო. ბოლშევიკებს ურმებით ჩაჰქონდათ თავიანთი დაჭრილები და მკვდრები, ხალხს კი ეუბნებოდნენ, ესენი ქაქუცას რაზმელები არიანო.

ავგისტოს აჯანყების მსხვერპლთა რიცხვი აურაცხელი იყო. მთავრობის მიერ დასახელებულ რაოდენობაში, ალბათ, მარტო მებრძოლები შევიდნენ. უბრალო ადამიანები, დაჭერილები, გადასახლებულები და საშინელ პირობებში დახოცილები კიდევ მრავალი იყო.. მითუმეტეს, მანამდეც და შემდეგაც, ეროვნულად განწყობილი ქართველების წინააღმდეგ რეპრესიები არ შეწყვეტილა. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე სერგო ორჯონიკიძემ ავგისტოს აჯანყებაში 980 დაღუპული დაასახელა.

ასეთი მარცხის შემდეგ, ერთ-ერთი ჩეკისტი, გვარად მიასნიკოვი, თბილისში მოწყობილ საჯარო ლექციაზე ამბობდა, ჩოლოყაშვილი ისეთ პარტიზანულ ტაქტიკას მიმართვს, რომ მასთან რეგულარული ჯარის ბრძოლა უშედეგაოა.

ავგისტოს ერთიანი აჯანყების გეგმა, მართალია, ზოგადად ვერ განხორციელდა, მაგრამ ეროვნული ძალები წარმატებით იბრძოდნენ მთელ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს რაიონებში ამბოხებულებმა დაიკავეს სტრატეგიული პუნქტები, დაატუსაღეს ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ბრძოლის გაღრმავება ვეღარ მოახერხეს. გურიაში აჯანყებულთა ხელში იყო ხიდისთავი, ნაგომარი, საჯავახო და სხვა სოფლები. გენერალ ყარალაშვილის დაჭერის შემდეგ ბრძოლებს მეთაურობდნენ: ს. მათითაშვილი, თ. მუხარაშვილი და პ. ჭანუყვაძე. 31 ავგისტოს გურულებმა ოზურგეთზე მიიტანეს

იერიში. იგი გამაგრებული დახვდათ ბათუმიდან და სამტრედიიდან ჩამოსული რუსის ჯარით. უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულები იძულებული ხდებოდნენ, უკან დაეხიათ. ორ სექტემბერს ისინი მტრის ალყაში მოექცნენ. მემბოხეებმა ალყა გაარღვიეს, ტყესა და მთებში გავიდნენ, ბევრი მათგანი თურქეთში გადავიდა, საიდანაც უცხოეთში გაიფანტნენ.

მემბოხეთა ხელში იყო სამეგრელო და სვანეთი. სამეგრელოში მოძრაობას, გენერალ თოფურის დაჭერის შემდეგ, როტმისტრი დავით მხეიძე ჩაუდგა სათავეში. პოლიტიკურ ხელმძღვანელად დანიშნული იყო ეროვნულ-დემოკრატი შალვა კალანდარიშვილი. 29 აგვისტოს აჯანყებულებმა სენაკი დაიკავეს, იქაური „ჩეკა“ განაიარაღეს, ციხიდან პატიმრები გამოუშვეს და იარაღი დაურიგეს. მთავრობის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ რამდენიმე დღის მანძილზე გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ როდესაც მეთაური ბრძოლაში დაიჭრა და ხელისუფლებამ დამატებითი ძალები გაგზავნა, მეომრებმა უკან დაიხიეს, ზოგი მთებში მიიმალა, ზოგი კი სვანეთში აჯანყებულებს შეუერთდა. 29 აგვისტოს სვანეთიც ანტისამთავრობო ძალების ხელში გადავიდა. 30 აგვისტოს აქედან დაძრულმა 500 კაცმა ქუთაისს შეუტია, მაგრამ ქალაქი ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გამაგრებული და რაზმი იძულებული გახდა, ისევ უკან, სვანეთისაკენ დაეხია. სამი კვირა დასჭირდა ხელისუფლებას სვანეთის დასამორჩილებლად. ჩანდა, რომ ხალხს ერთი ხელმძღვანელი ესაჭიროებოდა, ისეთი მეთაური, რომელიც მათ განგებამ მისცა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოიყენეს. ეს იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელსაც სარდლის, ეროვნული გმირის, დიდი ადამიანის და ჭეშმარიტი წინამძღოლის ყველა თვისება ჰქონდა. მას არ მიეცა საშუალება ისე ემოქმედა, როგორც თვითონ თვლიდა საჭიროდ.

ჩოლოყაშვილის ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და მან მიიღო მტკივნეული, მაგრამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: დაეტოვებინა სამშობლო და საზღვარგარეთ წასულიყო შეფიცულებთან ერთად. ღუმეთში გაგზავნილ გაბო ოზიაშვილს, მალაქია მაისურაძეს და კოხტაშვილს ელოდნენ. რომ არ გამოჩნდნენ, ქაქუცამ ჩიქოვანი გაგზავნა მათ მოსაძებნად. ორი კვირა ელოდა მათ დაბრუნებას. ლელო ჩიქოვანი გამოჩნდა, დანარჩენები – არა. გული დაწყდათ და კახეთიდან ქვემო ქართლისკენ გადმონაცვლეს. უკანასკნელად დაათვალიერეს და ილოცეს დავით გარეჯის მონასტერში, ვერც ნათესავები მონახულეს და ვერც ოჯახები, ისე აიღეს გეზი თურქეთისაკენ. ვინ იცოდა მაშინ, როდისღა ინახულებდნენ მშობელ ქვეყანას, ახლობლებს, როდისღა დატკბებოდნენ ამ მიწითა და ცით. ეს დღე შეფიცულთათვის ყველაზე მძიმე და გულისმომკვლელი იყო სამი წლის მშფოთვარე ცხოვრების მანძილზე.

გულდამძიმებულნი მიაბიჯებდნენ შეფიცულები, მიდიოდნენ გზაზე, რომელიც არავინ იცოდა. ბედად, მეცხვარეები შეხვდათ და ერთმა მათგანმა იკისრა მეგზურობა. მეცხვარემ მიასწავლათ გზა, მგრამ მასთან დაშორებულებს, მაინც გაუჭირდათ გაგნება, დიდი წვალებით მიადგნენ თურქეთის პირველ სოფელს, სადაც თეთრი ბაირაღით შევიდნენ. 1924 წლის სექტემბერი იყო. ქართველებს თურქი გენერალი შეხვდათ, რომელმაც იცოდა ქაქუცასა და მისი რაზმის ბრძოლის ისტორია, თანაუგრძობდა კომუნისტების წინააღმდეგ მებრძოლ

ქართველებს, ამიტომ მათ მიმართ დიდი პატივისცემა გამოხატა. იარაღი ქართველებს მაინც აყარეს. მეომრებმა ეს ამბავი საშინლად განიცადეს, ქაქუცამ ისინი ანუგეშა, ყველა ქვეყანაში ასეთია კანონი, იქ შესული მეომრები უნდა განაიარაღონო. თურქმა მხოლოდ ქაქუცას იარაღს არ ახლო ხელი, სურათის გადაღებაც კი შესთავაზა თავის თანამებრძოლებთან ერთად, მერე გულუხვი სუფრა გააშლევინა ქართველებისთვის. იმ ღამეს იქ დარჩნენ, მეორე დღეს ჩავიდნენ ართვინში. სასტუმროს დასაქირავებელი და საკვების შესაძენი ფული არ ჰქონდათ. საქართველოდან წასვლამდე, ქაქუცას მისმა რაზმელებმა უთხრეს, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას დასხმოდნენ თავს და ფული წაეღოთ, რაზედაც მან სასტიკი უარი განაცხადა, კომუნისტები ისედაც ცდილობენ ჩირქი მოგვცხონ, თითქოს ყაჩაღები ვართ და არა პოლიტიკური მებრძოლები, ახლა რომ ეგ გავაკეთოთ, მაშინ ხალხს მთლად დაარწმუნებენ ჩვენს ყაჩაღობაში. ამას ნუ გავაკეთებთ, აქამდე გაჭირვებით და შიმშილით ვემსახურეთ სამშობლოს ინტერესებს და თავს აწიც ნუ გავიჭუჭყიანებთო. ყველა დაყაბულდა მის აზრს. ასე აღმოჩნდნენ ქაქუცას შეფიცულები საზღვარგარეთ სრულიად უფულოდ და უარაფროდ. მაგრამ ქართველი ყველა გასაჭირში იპოვის გამოსავალს. მათ ხომ კომუნისტებისათვის წართმეული ცხენები ჰყავდათ. უცხოეთში მათ ვერ წაიყოლებდნენ, ამიტომ იქვე გაყიდეს. თურქებმა კარგად იციან ცხენის ფასი, მაგრამ იმდენს ვერ გადაიხდიდნენ, ლტოლვილებს რომ სჭირდებოდათ. ამიტომ ცნობილმა სერვერ-ბეგმა*, გათურქებულმა ქართველმა (გვარად ჯაყელმა) მურღულის საბადოზე მომუშავე გერმანელ ინჟინრებზე გააყიდვინა გვარიან ფასად ეს ცხენები. განსაკუთრებული მოწონება ქაქუცასა და სულხანიშვილის ცხენებს ხვდა. ქაქუცას რჩევით, საშა სულხანიშვილის საუკეთესო, ვერცხლის მოოქროვილი უნაგირი სერვერ-ბეგმა მიიღო საჩუქრად. ასე გადაუხადეს სამაგიერო პატივი ქართველებმა თავიანთ მოკეთეს.

ართვინიდან შეფიცულები ხოფაში ჩავიდნენ, იქიდან კი სტამბოლში გაჰყვნენ გემს. არც იქ დაჰკლებიათ ჭირი და ვაგლახი. იქაურ ქართულ ემიგრაციას რატომღაც, ქართველების დაქსაქსავა სურდა და აშინებდნენ, საფრანგეთში არ მივიღებნო. ქაქუცამ მტკიცედ განაცხადა, რომ ის არ აპირებდა მარტო წასვლას, თავის რაზმთან განშორებას. სტამბულიდან მარსელში, მარსელიდან კი პარიზს გაემგზავრნენ და სამუდამოდ დაცილდნენ სამშობლოს. მხოლოდ ერთი შეფიცული, ღრმად მოხუცებული ალექსანდრე სულხანიშვილი ჩამოვიდა საქართველოში და მშობელ მიწაში განისვენა. დანარჩენები საფრანგეთის მიწას მიებარნენ. რაც მთავარია, ისინი გულით, სულით და ოცნებით არასოდეს დაშორებიან მშობელ ქვეყანას. საქართველოში დარჩენილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახის ბედიც ტრაგიკული იყო. რა გასაკვირია, XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩვენ ქვეყანაში დევნიდნენ ყველას, ვისაც კი საზღვარგარეთ ჰყავდა ნათესავი და ახლობელი, ვინც საეჭვოდ მიაჩნდათ. მისი ოჯახი ჯერ აჰყარეს სოფელ აწყვერიდან და იბულებით გადმოსახლეს თბილისში, შემდეგ კი ისეთი მეთვალყურეობა დააწესეს მათზე, რომ მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს. პატარა ბავშვებზე, ხშირად, ათასგვარი ძალდატანებით ახდენდნენ

ზემოქმედებას, რათა რამე ეთქმევიანებინათ მამაზე. შემდეგ გადაასახლეს. უდანაშაულო ადამიანებს აწამებდნენ.

თვითონ ქაქუცაც ეწამებოდა, რადგან კარგად იცოდა კომუნისტების მეთოდები, იცოდა რა ღლეს დააყრიდნენ მის ოჯახს. არც სხვამხრივ ელოდა დალხენილი ცხოვრება უცხოეთის ცის ქვეშ. ადვილი არ იყო ასეთი დიდი პატრიოტისათვის სამშობლოს გარეთ ყოფნა, მაგრამ რწმენას არ კარგავდა, უცხო ქვეყანაშიც ზრუნავდა თავის რაზმელებზე, ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, ბრძოლის გაგრძელებასა და ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებაზე. პარიზში შეფიცულთა რაზმის წევრები ეროვნული ტანსაცმლით დადიოდნენ, რადგან მეტი არც ჰქონდათ. ჩონებით, ფაფახებით, თუშური ქუდებით, ქამარ-ხანჯლებით დიდად აკვირვებდნენ ფრანგებს, რომლებიც ქუჩაში ცნობისმოყვარედ შესცქეროდნენ უცხოდ შემოსილებს. ზოგიერთი ძველი ემიგრანტი დაეხმარა რაზმელებს ახალი ტანსაცმლის შეძენასა და სხვადასხვა ხარჯების გადახდაში.

ორი კვირა დარჩნენ პარიზში. ქაქუცას სურდა, რაზმელებთან ერთად ეცხოვრა. ამიტომ აირჩია პარიზის ახლოს დასახლებული პუნქტი – ვიროფლე და იქ, უზარმაზარი პარკის გვერდით იქირავეს ერთი დიდი სახლი. უმეტესობამ მუშაობა ტაქსის მძღოლად დაიწყო, რაც არც ისე ადვილი იყო, წინასწარ უნდა ჩაებარებინათ გამოცდა, სადაც მანქანის მართვის ცოდნასთან ერთად, პარიზის ქუჩების კარგი ცოდნაც უნდა გამოემჟღავნებინათ.

ქაქუცას მარჯვენა ხელი სტკიოდა, თითქმის ვერ ხმარობდა. სულხანიშვილს თხოვა, უფრო სწორად, დააფიცა, ჩვენი ბრძოლის ისტორია აღწერე, შენზე კარგად ვინ იცისო. მთავარი ჭრილობა ქაქუცას ფილტვში ჰქონდა, ის გაუმიზეზდა და ჭლექად ექცა. ავადმყოფობა მძიმე იყო და კარგ მკურნალობას მოითხოვდა. ერთხანს მოიკეთა კიდეც, სანატორიუმში მკურნალობის შემდეგ, მაგრამ სისტემატიური მკურნალობის ფული ემიგრანტებს არ ჰქონდათ და სარდლის მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა.

სანამ ვიროფლეში ცხოვრობდა, არ მოიშორა შეფიცულები, ერთად უნდა ვიყოთო, არიგებდა, ათას რამეს უყვებოდა. ჩვენი ძმა და დამრიგებელი იყოო, – იგონებს ალექსანდრე კარგარეთელი. მასთან უამრავი ადამიანი მოდიოდა, სანახავად თუ მოსაკითხად. საქართველოში დაბრუნების იმედი ასულდგმულებდა.

საქართველოში კი ქაქუცას შესახებ, მის ბრძოლებსა და თავგანწირვაზე ლეგენდებს ყვებოდნენ. მისი გმირობის გაცოცხლებასა და მისი შეფიცულებით ქვეყნის განთავისუფლებაზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაზე ოცნებობდნენ. შემდეგში პარიზელ ემიგრანტთა რიგებს შემატებული თელაველი ვანო ბარკალაია ყვებოდა:

ერთხელ ხმა გავარდნილა, ვითომ ქაქუცა საზღვარგარეთიდან მოდიოდა დიდი ჯარით, საქართველოს გასათავისუფლებლად. ამ ხმებს მის (ბარკალაიას) ყურამდეც მიულწევია. მანაც, თურმე, არც აცივა, არც აცხელა, დაავლო ხელი თავის ფოტოაპარატს, ნაბადს და წავიდა თურქეთის საზღვრისაკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ დახვედროდა ქაქუცას და მის ჯარს. როდესაც განმათავისუფლებელი ჯარები მოადგებოდნენ ქვეყანას, გადაელო ისტორიული

ფოტოები შთამომავლობისათვის. სამწუხაროდ, ეს ამბავი მხოლოდ ხალხის ფანტაზია და ამო იმედი გამოდგა. ამ დროს ბარკალაია 65 წლის იყო. იგი უკან აღარ დაბრუნებულა, კომუნისტურ საქართველოში ცხოვრებას პარიზში წასვლა და ქაქუცასთან დაკავშირება ამჯობინა. ბევრი ფოტოსურათი გადაუღო მან ქაქუცასა და მის ბიჭებს, რათა ისტორიას არ დაკარგვოდა მათი სახეები.

ბრძოლებითა და ფიქრებით განაწამები სარდალი სულ უფრო სუსტდებოდა. მეორედ რომ გაგზავნეს სანატორიუმში, ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს, ადვილიდან დაძვრის უფლებაც აღარ მისცეს. იწვა პალატაში, სადაც ყოფილი რაზმელები აკითხავდნენ, ძლივს ლაპარაკობდა, ცოტა ეძინა და ცოტას ჭამდა. ვახტანგ ღამბაშიძეს ელოდა, ძველ მეგობარსა და ექიმს, ეგონა ის მოარჩენდა. მანამდე სულხანიშვილს თხოვა, ჩემი ოქროს ძეწკვი და ჯვარი ჩემ შვილს ჩაუტანე საქართველოშიო. ეს ჯვარი მართლაც, უფროსი ქალიშვილის, თამარის იყო. თავისი დაკარგვოდა და პარტიზანად გასვლის წინ შვილის ჯვარი დაეკიდა გულზე. მორწმუნე კაცს ბრძოლაში ის ეგულებოდა იმედად. ახლა, სიკვდილის წინ, სიზმარში ენახა ქალიშვილი, ვითომ ჯვარს თხოვდა. გაღვიძებულმა ჩააბარა მეგობარს და თხოვნაც გაუმეორა. მაშინ ისიც უთხრა, ჩემი ნეშტი დაწვითო. ყოველთვის წინააღმდეგი იყო მიცვალებულის დაწვის, მაგრამ ახლა ასე დაიბარა. მეგობრები მიუხვდნენ, რატომაც, ფერფლის წაღება საქართველოში უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე ნეშტის. მაგრამ არ დაწვეს, იმედი ჰქონდათ, ოდესმე საქართველოს მიწას დაუბრუნებდნენ მის სასიქადულო შვილს. ორჯერ დაასაფლავეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი საფრანგეთში, ჯერ სენტ-უანის სასაფლაოზე, შემდეგ კი ლევილში გადაიტანეს მისი ცხედარი. მესამედაც მოუწია საფლავის შეცვლა. უკვე თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნდა და მთაწმინდაზე დაიდო საშვილიშვილო სამარე. ეს 2005 წლის 21 ნოემბერს მოხდა. მისი საფლავიც შეემატა საქართველოს წმინდა სავანეს. დიმიტრი ყიფიანის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას და სხვა გმირების გვერდით განისვენა საქართველოსთვის თავგანწირულმა რაინდმა. იმ დღეს, როდესაც დიდი და ეკლიანი გზით გამოვლილი მისი ნატანჯი სხეული უბრუნდებოდა სამშობლოს და კუბო მთაწმინდისაკენ მიიკვლევდა გზას, თითქოს გაისმოდა ქაქუცას საყვარელი ძველი ქართული სიმღერა. შეფიცულები ზშირად აგუგუნებდნენ მას და სიტყვები, რომლებსაც სიმღერა შეიცავდა, თითქოს ახლა ერთადერთს ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეკუთვნოდა:

**ვინა თქვა საქართველოზე
ეგ არის, ლომი კვდებაო,
ჩაუხტა ბედის ვარსკვლავი
და აღარ ამოხტებაო...**

აქ არ მთავრდება გმირის თავგადასავალი. ის საუკუნოდ გაგრძელდება და სხვა ისტორიულ გმირობებს დაუდებს სათავეს. მისმა ცხოვრებამ დიდი ზნეობრივი გაკვეთილი მისცა ქართველობას.

გმირები არიან ადამიანები, რომლებიც ეპოქალური მიზნების დასახვისა და განხორციელებისათვის იბრძვიან, წირავენ თავს, ანდა მთელ თავიანთ ცხოვრებას უძღვნიან ამ საქმეს. ისინი სხვაზე შეუმცდარად გრძნობენ რა უნდა

აკეთონ, ქვეყნისა და ერისთვის საჭირო სწორ გზას პოულობენ. სერგო ორჯონიკიძე, რომელიც მე-11 არმიას შემოუძღვა საქართველოში, თავისი დროის „გმირი“ იყო, მაგრამ გმირად საზოგადოების მხოლოდ ერთი პატარა ჯგუფის მიერ შერაცხული. ხალხს ის არ მიუჩნევია გმირად, ისტორიამ მისი გზა და საქმე ერისა და ქვეყნის ღალატად აღიარა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი, რომელიც ორჯონიკიძესა და სხვა მისნაირებს დაუპირისპირდა, მართალი იყო თავის ბრძოლაში და ხალხმაც მაშინვე სწორად შეაფასა მისი როლი. მებრძოლ ქაქუცას ერეკლე მეფეს ადარებდნენ და მის ჩამომავლად თვლიდნენ სახალხო პოეტები. ურდოებად მიიჩნევდა ხალხი შემოსულ კომუნისტებს, ქაქუცას კი ამ ურდოებისგან დამხსნელ ბელადად:

**ველად გაჭრილა ქაქუცა,
ჩოლოყაშვილის გვარისა,
გვერდში ჰყავს ბევრი ვაჟკაცი,
მტრის დამყენები თვალისა.**

**არ ეშინიათ სიკვდილის, თავი აქვთ გადადებული,
სურთ საქართველო დაიხსნან, ურდოთგან აოხრებული.**

სხვა სახალხო მთქმელიც ქვეყნის მდგომარეობას უკიდურესად კრიტიკულად ხედავდა და ერთადერთ მშველელად ქაქუცა ჩოლოყაშვილს მიიჩნევდა:

**შენი ჭირიძე ქაქუცავ, ქართველთ ლაშქართა ბელადო,
მტრის მოგერება გცოდნია, გამუსვრა ხელდახელადო...
შემოსეულნი ჯალათნი აღარ ინდობენ ხალხსაო,
უძაღლო სოფელს ჰხედავენ, მიტომ იგდებენ თავსაო,
შენ გაჩნდი ჩვენად საშველად, კახეთს აგროვებ ჯარსაო,
ოღონდ გვიშველე ქაქუცავ, მოგცემთ ქუდზედა კაცსაო.**

ხალხის ნდობა და სიყვარული ურთულეს დროსა და ურთულეს მდგომარეობაში ძნელი მოსაპოვებელია, მაგრამ ჩოლოყაშვილის შემთხვევაში, ეს ბუნებრივად მოხდა, საჭირო არ გამხდარა მის შესახებ ვინმეს პროპაგანდა გაეწია, ხალხთან მისასვლელი გზა მან თავად გაიკვლია, თავისი საქმითა და კაცობით. ამაში ყველაფერი უწყობდა ხელს: ჩამომავლობა (მისი წინაპრები ხომ ქაქუცასავით თავგანწირული რაინდები იყვნენ!), გარეგნობა (უნაკლოდ ქართული გარეგნობის ვაჟკაცი იყო, ნებისმიერი ეროვნების ადამიანს რომ მოხიბლავდა), ხასიათი, გონება, სწორი აზროვნება, ზნეობრივი სრულყოფილება, ვაჟკაცობა და უშიშრობა, ყველაზე მაღლა სამშობლოს ინტერესების დაყენება, მთავარსარდლის, წინამძღოლის ნიჭი, ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენის უნარი, ხალხის შემაკავშირებლის, განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანთა შემრიგებელ-გამაერთიანებლის, მტრობის მეგობრობად გადაქცევის, სიყვარულის, შენების, მომავლის განჭვრეტის ნიჭი და უნარი, მიმტევებლობა და შეურიგებლობა ერთდროულად... აი, ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ასეთი სრულყოფილი ადამიანები სანტრელია ერში. პატარა საქართველო სწორედ იმიტომ გადარჩა ათასწლეულთა მანძილზე, რომ ასეთ გმირებს ბადებდა ჟამი-ჟამ, ეს გმირები კი მის სიძლიერეს აღუღაბებდნენ, დაშლამდე მისულს

ხელახლა წამოაყენებდნენ ფეხზე და მომავლისაკენ წინსვლის საშუალებას აძლევდნენ ჩვენს ხალხსა და ქვეყანას.

**ტანზე აბჯარი აისხი, თავზარი დაეც მტერსაო,
ყინულის ნისლი დააწვა ფშავ-ხევსურეთის მთებსაო.
წინაპართ დრომა აღმართე, მტრის სისხლში ამოვლებული,
შენ შემოგხარის ქვეყანა, დიდი ხნის დაობლებული, –**

შეჰკლადებდა ხალხი სამი წლის მანძილზე საქართველოს ტყეებსა და მთებში ლომივით მებრძოლსა და მეამბოხე გმირს. მისმა გარდაცვალებამ უცხოეთში დიდი მწუხარება მოუტანა ქართველ ხალხს, რომელსაც კვლავ ასულდგმულებდა სასწაულის იმედი, რომ ქაქუცა უცხოეთიდან ჯარით დაბრუნდებოდა და იხსნიდა გველეშაპისაგან დამონებულ მის ქვეყანას:

**არწივმა მხრები დაუშვა, მძიმედ დახუჭა თვალია,
აღარ გვყავს ჩოლოყაშვილი, ზეცით დარეკეს ზარია,
მთებო, იტირეთ ცრემლებით, ბარო, მოიკალ თავია,
მზეო, დაბნელდი უდროოდ, კახეთს ჩააცვი შავია,
იგლოვოს ყველა ქართველმა, ძაძით შემოსოს ტანია...**

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლისა და თავდადების ისტორია გვასწავლის, რა არის საჭირო ჩვენი ერის ძლიერებისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობისათვის. პირველ რიგში, ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებას. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალი უნდა გახდეს ქართველისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის უბირველესი და ის უნდა ჰფარავდეს პარტიულ, კუთხურ, წოდებრივ თუ რაგინდარა ინტერესს. ამას გვასწავლის ისტორიული გამოცდილება. ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, ილია ჭავჭავაძის მიერ დასახულ ამ გზას მისდევდა. წინაპრების გეზითა და სწორი მიმართულებით მიჰყავდა თანამედროვენი, „ბილწს არ ეკვროდა ზავითა“, ქვეყანას არ ანებებდა მომხდურთ. დანგრეული ეკლესიები, დამწვარი ხატები, მხოლოდ იმ ნიშნით დახოცილი ადამიანები, რომ მათი წინაპრები თავადები იყვნენ, სკოლაში საკუთარის ნაცვლად, დამპყრობლის ისტორიის სწავლა, შენს სამშობლოდ საბჭოთა კავშირისა და არა საქართველოს დასახელება, ტყუილი, რომელიც სულ უნდა გემეორებინა, – აი ის, რასაც ვერ ეგუებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მისი თანამებრძოლები და რისთვისაც გაწირეს თავი. სანამ ის ფასეულობები, რის დაცვასაც ისინი ემსხვერპლნენ, ძვირფასი იქნება, მანამდე ქაქუცა ჩოლოყაშვილის გმირობა და საბრძოლო ისტორიაც მაგალითად დარჩება ქართველი ახალგაზრდობისათვის.

მთაწმინდაზე აკიაფებული ცისკრის ვარსკვლავი კი თავდადებული გმირის, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტზე უსაზღვროდ შეყვარებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავს სხივებს ისევე უხვად დააფენს, როგორც აქამდე ჰფენდა აქ განსვენებულ ქართველთა წინაპრების ღირსეულ საფლავებზე.

განმარტებითი ლექსიკონი *

ალექსანდრე ბატონიშვილი – ერეკლე II-ის ვაჟი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ებრძოდა რუსეთს და მის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა ჩრდილო კავკასიელ მუსულმანებს, ასევე – სპარსეთის მმართველებს. გარდაიცვალა სპარსეთში, დასაფლავებულია თეირანში.

ალექსანდრე და სიმონ ვორონცოვები – რუსი გრაფები, რომლებიც იმყოფებოდნენ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის „საიდუმლო საბჭოში“, იყვნენ ლიბერალ-დემოკრატი მოაზროვნეები.

ალექსანდრე პირველი – რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წ.წ. მის დროს მოხდა საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ

ანექსია – ლათინური „ანექსიო“, შეერთება, ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის თავის სახელმწიფოსთან ძალით შეერთებას, დაპყრობას.

ბიძინა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი XVII საუკუნეში, იბრძოდა სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ, ხელმძღვანელობდა 1659 წლის კახეთის აჯანყებას.

დრაგუნთა პოლკი – ცხენოსანი ჯარი, რომელიც გათავალისწინებული იყო ქვეითად და ცხენდაცხენ საბრძოლველად. ასეთი ჯარი არსებობდა მეფის რუსეთში.

ერთა ლიგა – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა I მსოფლიო ომის შემდეგ, 1919 წელს და მიზნად ისახავდა მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში. საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ ვერ მოახერხა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება.

ეროვნული გვარდია – არსებობდა დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წ.წ.). ის, ძირითადად, მმართველი პარტიის ერთგულ და პარტიული ნიშნით შექმნილ ჯარს წარმოადგენდა.

იანოვსკი კირილე პეტრეს ძე – კავკასიაში განათლების სისტემის ხელმძღვანელი, დააკანონა რუსული განათლების სისტემა, ებრძოდა ქართულ ენას.

ინგილოები – საინგილოს მკვიდრნი. ტერმინი ნიშნავს ახლადმოქცეულს, უკავშირდება ძველი ჰერეთის მკვიდრთა ძალით გამაჰმადიანებას XVII-XVIII

საუკუნეებში. ამჟამად საინგილო აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. ინგილოთა ნაწილი ქართულ ენაზე მეტყველებს, ნაწილს კი – დაკრული აქვს ეროვნება.

ირაკლი წერეთელი – (1881-1959), ცნობილი სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, რუსეთის „დროებითი მთავრობის“ წევრი, ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ცნობილი ქართველი მწერლის, გიორგი წერეთლის ვაჟი და ნიკო ნიკოლაძის დისშვილი.

„კამანდარი“ – მეთაური

კატკოვი – რუსული რეაქციული გაზეთის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი. გააკრიტიკა ქართველი ხალხი ეროვნული გრძნობებისათვის, კერძოდ, ქართულ თეატრში დადგმული სპექტაკლი, დავით ერისთავის „სამშობლო“, როდესაც სცენაზე ქართული დროშა გამოიტანეს და მაყურებელი ატირდა. მას მწვავე პასუხი ილია ჭავჭავაძემ გასცა.

კოსმოპოლიტური – მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, რაც ნიშნავს მსოფლიო მოქალაქეს. კოსმოპოლიტია ადამიანი, რომელიც თავის თავს არ აკუთვნებს არცერთ ეროვნებას. ეს იდეოლოგია უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობას და სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი და ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის იდეას.

ლაზარეთი – სამხედრო საავადმყოფო, იხსნებოდა ომების დროს, ან არსებობდა სამხედრო ნაწილთან.

მალაროსკარი – სოფელი ფშავში

მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი – რუსეთის მოხელე, მეფისნაცვალის ამიერკავკასიაში 1844-1854 წ.წ. გამოირჩეოდა განსაკუთრებული კეთილგანწყობით საქართველოს მიმართ.

ნოე ჟორდანი – ქართველი სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. დაიბადა 1868 წელს, გარდაიცვალა 1953 წელს საფრანგეთში, დასაფლავებულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ნოე რამიშვილი – (1881-1930) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის პირველი თავმჯდომარე (შემდეგ ამ პოსტზე იგი შეცვალა ნოე ჟორდანიამ, რამიშვილი კი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი. მას რკინის მინისტრს უწოდებდნენ შეუვალობისა და პრინციპულობის გამო).

იმყოფებოდა ემიგრაციაში. 1930 წელს მოკლეს პარიზში, დასაფლავებულია ლევილში.

ოკუპაცია – მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან და ნიშნავს ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაკავებას.

რეკომი – რეკოლუციური კომიტეტი.

საბანდარი – სათიბის პატარა ბულული მთაში

სარაყამიში – ადგილი ცენტრალურ თურქეთში

სერვერ ბეგ ათაბაგი – გამუსულმანებული ქართველი, ე.წ. სამაჰმადიანო საქართველოს (ასე უწოდებდნენ თურქეთში მოქცეულ ქართულ ტერიტორიებს) წარმომადგენელი, გვარად ჯაყელი. I მსოფლიო ომის შემდეგ სათავეში ედგა „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნას, სურდა ამ რესპუბლიკაში თურქებისაგან დაპყრობილი და გამაჰმადიანებული ქართველების გაერთიანება.

სოლომონ ზალდასტანიშვილი – (1891-1941) 1921-1924 წლების ანტიკომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, იყო სამხედრო პირი, პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული, დამოუკიდებლობის კომიტეტისა და სამხედრო ცენტრის წევრი, 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე. ცხოვრობდა საფრანგეთში, გარდაიცვალა რუმინეთში.

სპირიდონ ჭავჭავაძე – სამხედრო ცენტრი ხელმძღვანელი, გენერალი, დანიშნული იყო 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყების სარდლად, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

ტოტალიტარული – ტოტალიტარულია რეჟიმი, როდესაც მყარდება აშკარა მემარჯვენე თუ მემარცხენე დიქტატურა.

ფხა – კლდის წვეტი

შალვა ამირეჯიბი – (1887-1943), ეროვნულ-დემოკრატი, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში. ცნობილი პოეტი, იყო ცნობილი ქართველი მსახიობის, ვერიკო ანჯაფარიძის მეუღლე. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში.

შამილი – დაღესტნის იმამი (სულიერი მეთაური,) ასევე ბელადი დაღესტნის ომისა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის გაბატონების წინააღმდეგ კავკასიაში (1834-1859). 1859 წელს ტყვედ ჩაიგდეს აულ ლუნიბთან და

რუსეთში წაიყვანეს. მისი თხოვნით, მექაში წასვლის უფლება მისცეს, გზაში გარდაიცვალა.

„ჩეკა“ – განსაკუთრებული საგამოძიებო კომიტეტი, რუსული სიტყვების „Чрезвычайный комитет“ დასაწყისისგან არის შედგენილი. ეს ორგანიზაცია დაუნდობლად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირებს.

წითლები – ასე ერქვათ ბოლშევიკ-კომუნისტებს, რადგან მათი ღროშა წითელი, სისხლისფერი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- არსენიძე რ. – აჯანყება საქართველოში; პარიზი, 1964
- ბენდიანიშვილი ალ. – ეროვნული საკითხი საქართველოში (1801-1921), თბილისი, 1980
- ბენიძე ვ. – 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1991
- გვაზავა . – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პარიზი, 1928
- გრძელიძე რ. – 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1992
- ზალდასტანიშვილი ს. – საქართველოს 1924 წლის ამბოხება, პარიზი-თბილისი, 1989
- კახიანი მ. – მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924
- კირთაძე ნ. – 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996
- კრებული – ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შემდგენელი გურამ შარაძე, თბილისი, 1989
- კრებული – სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნა, ქართველ მხედართა კავშირის დამფუძნებელ საინიციატივო ჯგუფის გამოცემა, სტამბული, 1923
- ლორთქიფანიძე გრ. – ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995
- ლომაშვილი ფ. – ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, თბილისი, 1965
- ნათელაძე მ., დაუშვილი ა. – საქართველოს უახლესი ისტორია, თბილისი, 2004
- ნაცვლიშვილი პ. – საქართველოს მიწა, თბილისი, 1994
- ორჯონიკიძე ს. – მენშევიკების აგენტურა საქართველოში, ტფილისი, 1924
- სულაქველიძე კ. – რა მოხდა? (ვინ და როგორ მოაწყო აგვისტოს აჯანყება), თბილისი, 1927
- სულხანიშვილი ალ. – მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007
- სურგულაძე ა., სურგულაძე პ. – საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბილისი, 1991